ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

Beijing 2008
დარჩა 64 დღე

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 131 (12 507) 5 ივნისი ხუთშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი



## ტატანაშვილი ჩეხეთში ითამაშებს

ქართული ფეხბურთი 2-4

## გუჯაბიძეები ჰიმალაიზე

ალპინიზმი 13




## სვენი არ მოასვენეს: ახლა მექსიკაში




## კრისტიანო რონალდო: მანჩესტერიდან წავალ...



5

# კასანო ისევ ჩხუბობს






## განგაში ესპანელთა ბანაკში: ვილია რუსეთთან ვერ ითამაშებს

მზადება ევროპის ჩემპიონატისთვის 6-7

# მოგონებები ევროპის ჩემპიონატზე

რევაზ ძოძუაშვილი და მურთაზ ხურცილავა იხსენებენ...

ორი ინტერვიუ ერთ თემაზე 2-3



# ტატანაშვილი ჩეხეთშია

## ჯერ სამედიცინო შემოწმება, მერე კონტრაქტი?


დიმიტრი ტატანაშვილი

თბილისის „ამერის“ თავდამსხმელი **დიმიტრი ტატანაშვილი** გუშინ ჩეხეთში გაემგზავრა. საქართველოს ნაკრებისა და „ამერის“ თავდამსხმელს, რომელმაც ეროვნული ჩემპიონატის ბომბარდირებში მეორე ადგილი დაიკავა, ჩეხეთის უმაღლესი დივიზიონის კლუბი, პლზენის „ვიქტორია“ იწვევს. ამ გუნდს უფრო „პლზენის“ სახელით იცნობენ.

ინფორმაცია „ამერში“ დაგვიდასტურეს. როგორც შევიტყვეთ, 24 წლის თავდამსხმელი პლზენის კლუბში ხვალ სამედიცინო შემოწმებას გაივლის. დიდი შანსია, რომ ტატანაშვილმა „პლზენთან“ პირდაპირ კონტრაქტი გააფორმოს.

პლზენის „ვიქტორიამ“ ჩეხეთის დასრულებულ ჩემპიონატში, თექვსმეტ გუნდში 38 ქულით მეცხრე ადგილი დაიკავა. ჩეხეთის საკლუბო ჩემპიონატი უეფას 52 წევრ ქვეყანას შორის, მეთხუთმეტე ადგილზეა და უსწრებს ისეთ ქვეყნებს, სადაც თამაში ქართველი ფეხბურთელების დიდი ნაწილისთვის ოცნებაა – შვეიცარიას, ბულგარეთს, ნორვეგიას, დანიას, ავსტრიას, სერბეთს, ისრაელს, შვედეთს, პოლონეთს, უნგრეთს, ხორვატიას, კვიპროსს, ფინეთს, ლატვიას, ლიტვას, მოლდოვას, ბელორუსს, აზერბაიჯანსა და ყაზახეთს.

ამის გათვალისწინებით, თუკი დიმიტრი ტატანაშვილმა ჩეხურ კლუბთან კონტრაქტი გააფორმა, წარმატებულ ტრანსფერად უნდა ჩაითვალოს.

**მერაბ მამულაშვილი**

ფიფას რეიტინგი

# საქართველომ საფეხურით წაიწია

ფიფა Coca-Cola World Ranking

გუშინ ფიფამ ივნისის რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელშიც მაისში ჩატარებული ამხანაგური მატჩების შედეგებია გათვალისწინებული. შეგახსენებთ, რომ გასულ თვეში ჩვენმა ნაკრებმა ორი ამხანაგური მატჩი გამართა. ესტონეთში 1:1 ფრისა და პორტუგალიაში 2:0 წაგების მიუხედავად, რეიტინგში საფეხურით ზემოთ ავინაცვლეთ და ამჟამად მე-80 ადგილზე ვიმყოფებით.

რაც შეეხება მოწინავე ათეულს, სიახლე მხოლოდ ისაა, რომ ინგლისი ათეულში შევიდა. მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე ჩვენი ჯგუფის მეტოქეებზეც ვთქვათ. იტალიასა და ბულგარეთს ცვლილებები არ შეხებიათ და შესაბამისად, ისევ მე-3 და მე-18 პოზიციებზე არიან. ირლანდიამ ერთით, კვიპროსმა კი 6 საფეხურით უკან დაიწია. ჩერნოგორია კვლავაც აგრძელებს წინსვლას, ამჯერად 8 ადგილით ზემოთ აინაცვლა.

20 აგვისტოს დასკვნით ამხანაგურ მატჩს ჩვენი ნაკრები უელსთან სტუმრად გამართავს. უელსელები ახალ რეიტინგში გასულ თვესთან შედარებით საფეხურით უკან არიან.

| | |
|---|---|
| 1. (1) არგენტინა | 1559 |
| 2. (2) ბრაზილია | 1513 |
| **3. (3) იტალია** | **1424** |
| 4. (4) ესპანეთი | 1303 |
| 5. (5) გერმანია | 1274 |
| 6. (6) ჩეხეთი | 1246 |
| 7. (7) საფრანგეთი | 1143 |
| 8. (8) საბერძნეთი | 1133 |
| 9. (11) ინგლისი | 1123 |
| 10. (10) ჰოლანდია | 1111 |
| **18. (18) ბულგარეთი** | **949** |
| **42. (41) ირლანდია** | **674** |
| 53. (52) უელსი | 578 |
| **64. (58) კვიპროსი** | **503** |
| **80. (81) საქართველო** | **383** |
| 142. (150) ჩერნოგორია | 180 |

** შენიშვნა - ფრჩხილებში მითითებულია წინა თვის რეიტინგში დაკავებული ადგილი*

**დავით ცაბაძე**

# გოგობერიშვილი რჩება, მუჯირი მიდის?

აზერბაიჯანში ჩემპიონატი დასრულდა და "ბაქოში" დიდი წმენდა დაიწყო. აზერბაიჯანული სააგენტო "აზერისპორტის" ინფორმაციით, გადაწყვეტილი ამბავია - "ბაქოს" 8 ფეხბურთელი დატოვებს. სამი მოთამაშის საკითხი კი კითხვის ნიშნის ქვეშაა. ეს სამეული კი ასეთია: მეკარე **ჰალიდ სისოკო**, ნახევარმცველი **ამირან მუჯირი** და ფორვარდი **ელი სისე**.

სააგენტო "აპა" კი სხვა ცნობას ავრცელებს:

"ჩვენ ალექსანდრე გოგობერიშვილს დავიტოვებთ, მაგრამ მის თანამემამულე ამირან მუჯირს გამოვეთხოვებით. ახალ ფეხბურთელებსაც დავიმატებთ, მათ შორის ცენტრალურ ნახევარმცველსა და თავდამსხმელს... გუნდი გერმანულ "კოტბუსთან" ერთად მოემზადება," - აღნიშნავს კლუბის მენეჯერი **ზეინალ მამედოვი**.

**დავით ცაბაძე**

ჩვენები ევროპის ჩემპიონატებზე

# ქართული



1972 წელი. ევროპის ჩემპიონატის ფინალი. საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტანი მურთაზ ხურცილავა იყო

**ევროპის ჩემპიონატზე, დღემდე სულ 5 ქართველ ფეხბურთელს უთამაშია- მურთაზ ხურცილავას, რევაზ ძოძუაშვილს, გივი ნოდიას, თენგიზ სულაქველიძესა და კახა ცხადაძეს. მათგან, სამმა, ძოძუაშვილმა, ხურცილავამ და ნოდიამ ერთად იასპარეზეს 1972 წელს, ბელგიაში ჩატარებულ ჩემპიონატში. საბჭოთა კავშირის ნაკრები მაშინ, ფინალშიც გავიდა, მაგრამ გფრ-ს ნაკრებთან 3:0 წააგო. ფინალში მხოლოდ ძოძუაშვილმა და ხირცილავამ ითამაშა. ნახევარფინალში კი, უნგრეთის წინააღდეგ, გივი ნოდიამაც ითამაშა. 70-ე წუთზე ნოდია ბანიშევსკის ნაცვლად შევიდა მოედანზე.**

**1972 წლის ევროპის ჩემპიონატზე საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტანი მურთაზ ხურცილავა გახლდათ. რევაზ ძოძუაშვილი საუკეთესო მცველად დაასახელეს.**

**ვნახოთ თუ როგორ იხსენებს 36 წლის წინათ ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატს ფინალური მატჩის მონაწილე ორი ქართველი.**

## მურთაზ ხურცილავა: ფინალში წაგებას თავისი მიზეზები აქვს.

- 1972 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალამდე რთული გზა გავიარეთ. მაშინ კონტინენტის პირველობა სხვა სისტემით ტარდებოდა. ბელგიაში, დასკვნით ეტაპზე მხოლოდ 4 გუნდი გადიოდა. მეოთხედფინალებამდე კვიპროსთან, ესპანეთთან და ჩრდილოეთ ირლანდიასთან ვითამაშეთ.მეოთხედფინალში იუგოსლავია ორი შეხვედრის ჯამში დავჯაბნეთ, ნახევარფინალში კი უნგრეთს კონკოვის მიერ გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით ვაჯობეთ.

ფინალში გფრ-თან 3:0 დავმარცხდით და ამ წაგებას თავისი მიზეზები გააჩნია. მთავარი მიზეზი თაობათა ცვლა იყო. ბელგიაში გამგზავრებულ შემადგენლობას ეს პროცესი ძალზედ შეეტყო. თავად განსაჯეთ, სასტარტო შემადგენლობის 11 ფეხბურთელიდან 7 ახალი იყო. მხოლოდ მე, ძოძუაშვილი, რუდაკოვი და კაპლიჩნი ვიყავით "ძველებიდან". დოლმატოვი, ბაიდაჩნი, კონკოვი და სხვები, ნაკრების ახალწვეულები იყვნენ. კაზინკევიჩიც გვყავდა, რომელიც უმაღლესში კი არა, პირველ ლიგაში მოასპარეზე ლვოვის "კარპატში" თამაშობდა. ბანიშევსკის კი წელიწადის განმავლობაში ფეხბურთისთვის თავი ჰქონდა დანებებული, მაგრამ მაინც დაუძახეს, თამაში დააწყებინეს და ბელგიაშიც წამოიყვანეს ფინალურ ეტაპზე. აღსანიშნავია ისიც, რომ გფრ-ის ის ნაკრები, გერმანიის ყველა დროის საუკეთესო ნაკრებადაა აღიარებული... კიდევ ერთი მიზეზი ტაქტიკის ცვლა იყო, რომელიც უმთავრესად დაცვის ხაზს შეეხო. მანამდე კლასიკური სქემით ვთამაშობდით, ლიბეროთი და წინა მცველით. ფინალში კი მცველებს ფაქტობრივად ერთ ხაზზე თამაში დაგვევალა. იმ დროისათვის, ეს ჩვენთვის "ახალი ხილი" იყო და, ბუნებრივია, გაგვიჭირდა...

სხვათა შორის, ბელგიაში წასვლამდე, ერთი თვით ადრე, მიუნხენში ოლიმპიური სტადიონი გფრ-ისა და სსრკ-ს ამხანაგური მატჩით გაიხსნა. იმ შეხვედრის პირველი ტაიმი 0:0 დასრულდა. მეორე ნახევარში, იმ ახალი სქემით, მცველები "ერთ ხაზზე" გვათამაშა და შეხვედრა 4:1 წავაგეთ. იმ ახალ სქემაზე, ფინალამდეც გვესაუბრებოდნენ მწვრთნელები. ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი, ფინალში ამ ახალი სქემით გვეთამაშა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ეს ახალი ტაქტიკით აირჩიეს. დღემდე ვერ ამიხსნია, რატომ მიიღეს მწვრთნელებმა ასეთი გადაწყვეტილება.

ევრო 2008-ზე ვის ვქომაგობ და როგორია ჩემი პროგნოზი? საქართველოს ნაკრები რომ ასპარეზობდეს, უბედნიერესი ადამიანი ვიქნები. ყოველთვის კარგ ფეხბურთს ვგულშემატკივრობ და ვინც ასეთ თამაშს აჩვენებს მას ვუქომაგებ. ათზე მეტი წლის განმავლობაში სსრკ-ს ნაკრებში გამოვდიოდი, კაპიტანი ვიყავი და რუსეთის ნაკრების მიმართ გარკვეული სიმპათიები მაქვს. ეს არ უნდა იყოს გასაკვირი.

# მეტრეველი, ძოძუაშვილი და ხურცილავა

## უეფას სიმბოლურ ნაკრებში სამი ქართველია



სლავა მეტრეველი

ევრო 2008-ის მოახლოებასთან ერთად, უეფას ოფიციალურმა ვებგვერდმა ევროპის ჩემპიონატების ისტორია გამოაქვეყნა და განვლილი 12 ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრებები შემოგვთავაზა. სასიხარულოა, რომ მასში ლეგენდარული სამი ქართველი ფეხბურთელია - **სლავა მეტრეველი, რევაზ ძოძუაშვილი და მურთაზ ხურცილავა.**

1960 წლის ჩატარებული ევროპის ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრები ასე გამოიყურება:

**ლევ იაშინი, ვლადიმირ დურკოვიჩი, ლადისლავ ნოვაკი, იგორ ნეტო, იოზეფ მასოპუსტი, ვალენტინ ივანოვი, სლავა მეტრეველი,** მილან გალიჩი, ვიქტორ პონედელნიკი, დრაგოსლავ სეკულარაცი, ბორა კოსტიჩი.

1972 წლის ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრები კი ასეთია: **ევგენი რუდაკოვი, რევაზ ძოძუაშვილი,** ფრანც ბეკენბაუერი, **მურთაზ ხურცილავა,** პაულ ბრაიტნერი, ული ჰოენესი, გიუნტერ ნეტცერი, ჰერბერტ ვიმერი, რაულ ლამბერი, იუპ ჰაინკესი, გერდ მიულერი.

**დავით ცაბაძე**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: **პაატა გელაშვილი;** მიმართულების რედაქტორები: **მამუკა ჩიხლაძე** (ქართული ნაწილი); **გია თვალაბეიშვილი** (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: **პაატა თოთაძე** (ქართული ფეხბურთი), **შალვა ბიბილაშვილი** (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: **ნოდარ დუგლაძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: **მიხეილ ჯაში;** გავრცელების სამსახური: **ბაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.**

მისამართი: **0159 თბილისი, ახმეტელის 10ა** (დიღომი, ახალი კინოსტუდია, I სართული); ტელეფონები: **46 32 62, 46 32 56, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი);
ფაქსი: **+995. 32 46 32 62;** ელფოსტა: **sporti@sporti.ge;** ინდექსი **66435 INDEX.**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# კვალი



1972 წელი. ევროპის ჩემპიონატი. საბჭოთა კავშირი-ჩრდილოეთ ირლანდია. რევაზ ძოძუაშვილი და ჯორჯ ბესტი

## რევაზ ძოძუაშვილი: ფინალი წავაგეთ, მაგრამ ნაძლევი მოვიგე

– ევროპის 1972 წლის ფინალამდე, ერთი თვით ადრე მოგვიწია გფრ-თან თამაში. მიუნხენში ოლიმპიური სტადიონის, სწორედ სსრკ-სა და გფრ-ს ნაკრებების ამხანაგური მატჩით გაიხსნა. გერმანელებმა ფინალამდე დაგვზვერეს. მეტოქე გენიალური მწვრთნელი ჰემლუტ შიონი ხელმძღვანელობდა. გერმანული ფეხბურთის აღორძინებაში, შიონს უდიდესი წვლილი მიუძღვის. მეტსაც გეტყვით, არ სცდებიან, როცა 1972 წლის გფრ-ის ნაკრებს, გერმანული ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესოდ აღიარებენ.

მიუნხენის ოლიმპიური სტადიონის გახსნის მატჩზე, ჩემს ფლანგზე ახალგაზრდა ფეხბურთელი კრემერსი იყო გამწესებული. თავს არ ვიქებ, ვიდეოფირიც არსებობს და შეგიძლიათ ნახოთ, იმ შეხვედრაში ძალიან კარგად ვითამაშე. მატჩის შემდეგ, "ადიდასის" წარმომადგენელი, წარმოშობით იუგოსლაველი და რუსულის მცოდნე გამეცნო და გამესაუბრა. მკითხა - კრემერსი ახალი ფეხბურთელია ნაკრებში. მას პერსონალურად მეურვეობდი და ამ ფეხბურთელზე თქვენი აზრი მაინტერესებსო.

- კარგი ფეხბურთელია, ბევრი კარგი თვისება აქვს, მაგრამ ფინალში ფეხს არ გავანძრევინებ-თქო, მივუგე. გადაირია, გამორიცხულია, მოდი დავნაძლავდეთ, თუ კარგად ითამაშებ "ადიდასის" სრულ კომპლექტს გაჩუქებ. თბილისში ნამყოფი ვარ, ახლაც მახსოვს ქართული კონიაკი და თუ კრემერსმა დაგჯაბნა, მაშინ ერთი ყუთი ქართული კონიაკი შენზეაო. მართალია, ფინალი წავაგეთ, მაგრამ ჩემი ფრთიდან არათუ კრემერს, არამედ არც სხვა ფეხბურთელს ჩაუწოდებია ბურთი ჩვენს საჯარიმოში... მატჩის შემდეგ ნაძლავი გამახსენდა... ვიფიქრე, იმ იუგოსლაველს ნაძლავი აღარც კი ემახსოვრება-თქო. გამოვიცვალე და გასახდელიდან რომ გამოვედი, ვხედავ ის იუგოსლაველი "ადიდასის" ორი კომპლექტით მელოდება - ისე კარგად ითამაშე, ერთ კომპლექტს კი შეგპირდი, მაგრამ ღირსი ხარ და ორს გჩუქნიო... (იცინის) ფინალი კი წავაგეთ, მაგრამ კარგად ვითამაშე, ჩემი ფუნქცია პირნათლად შევასრულე, ნაძლავიც მოვიგე.

რაც შეეხება ფინალს, იმ წაგებას თავისი მიზეზები და ახსნა აქვს. ჯერ ერთი, ფინალში მცველები ერთ ხაზზე გვათამაშეს. მეორეც, ფინალში მთავარი მწვრთნელის გარეშე ვიყავით - პონომარიოვი ავად გახდა და ფინალში გუნდს მისი თანაშემწეები გულიაევი და ზონინი ხელმძღვანელობდნენ.

ერთსაც ვიტყოდი, მსაჯებიც გერმანელებს ეხმარებოდნენ, ვიდეოფირზე კარგად ჩანს, მიულერმა პირველი გოლის გატანისას, აშკარად ხელით გაისწორა ბურთი და ისე შეაგდო. თუმცა, მაშინ საბჭოეთის მიმართ იმხელა აგრესია იყო, რომ გფრ-ის ფეხბურთელს და თანაც მიულერს, ხელით კი არა, ორივე ხელით რომ შეეტანა ბურთი კარში მაინც ჩათვლიდნენ.

1972 წლის ჩემპიონატის გარდა, დღესაც კარგად მახსენდება ჯორჯ ბესტის წინააღმდეგ ჩატარებული ჩინებული თამაში. ბესტის მაისურა ქუთაისში მუზეუმში და 50 ათას ფუნტადაა შეფასებული...

რას ველი და ვის ვქომაგობ ევრო 2008-ზე? დღეს ის ნაკრებია ძლიერი, ვისაც დიდი ტაქტიკური და სტრატეგიული მარაგი გააჩნია. მჯერა, რამდენიმე ნაკრები არაერთ ტაქტიკას წარმოადგენს. კარგა ხანია, ევროპის ჩემპიონატზე რუსეთის ნაკრები არ ყოფილა და საკითხავია, როგორ იასპარეზებს, ამასთან გუუს ჰიდინკი ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელად მიმაჩნია და მაინტერესებს რამდენს მიაღწევს რუსეთის ნაკრებით. გერმანიასა და ჰოლანდიას კარგი გუნდები ჰყავთ, მაგრამ ორივეს ახალგაზრდა მწვრთნელი ხელმძღვანელობს. არადა დაბრძენებული მწვრთნელები უფრო ხშირად იგებენ.

პროგნოზი? ძნელი სათქმელია. თუმცა, მაინც გეტყვით, ვინ იცის იქნებ გამართლდეს კიდეც. ჩემი ოთხეული ასეთია - იტალია, საფრანგეთი, ჩეხეთი და გერმანია.

**დავით ცაბაძე**

| ევროპის ჩემპიონატი. ფინალი | |
|---|---|
| გფრ-სსრკ | 3:0 |

18 ივნისი, 1972 წელი. ბრიუსელი.

1:0 მიულერი (27), 2:0 ვიმერი (52), მიულერი (58)

გფრ: მაიერი, ჰიოტგესი, ბრაიტნერი, შვარცენბეკი, ბეკენბაუერი, ვიმერი, ჰაინკესი, ჰიონესი, მიულერი, ნეტცერი, კრემერსი.

სსრკ: რუდაკოვი, ძოძუაშვილი, ხურცილავა, კაპლიჩნი, ისტომინი, კონკოვი, ტროშკინი, კოლოტოვი, ბაიდაჩნი (კოზინკევიჩი), ბანიშევსკი, ონიშჩენკო.

არბიტრი: ფ. მარშალი (ავსტრია)

# ლუიჯან, ერთი, ჩვენებური შაუბერე!

## როგორ დათანხმდნენ ვარსკვლავები ბადაგონის რეკლამას უფასოდ

**შოთა არველაძის გაცილების შემდეგ, "შერატონ-მეტეხი-პალასში" ბანკეტი გაიმართა. ის, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, ყურადღების მიღმა დარჩა. არადა, სტადიონზე ნანახი მხოლოდ ჟურნალი იყო იმ გულწრფელ ემოციებთან შედარებით, "მეტეხში" რომ ამოხეთქა.**

ტრადიციულად, ასეთ სალამოებზე პრეზიდენტს ელიან და მერე იწყება მოლხენა. ახლა პირიქით მოხდა – **მიხეილ სააკაშვილი** დროულად მოვიდა, მაგრამ **შოთას** და **ტიჯანი ბაბანგიდას** დაუგვიანდათ და პრეზიდენტმა იკითხა, შოთა სად არისო? თურმე, შოთამ და ბაბანგიდამ დოლიძის ქუჩაზე მინი-მოედანი გახსნეს და, რა თქმა უნდა, ხალხმა შოთა შეაყოვნა.

როგორც იქნა, გამოჩნდა ხალხის სიყვარულით თავაწეული, ბედნიერი და საზოგადოებაც ტონუსში მოიყვანა. სალამო შოთასავით ლაღი იყო. "აიაქსის" მენეჯერმა შოთა არველაძეს კლუბის წერილი და საჩუქარი გადასცა.

ეროვნული სტადიონის გენერალურმა მენეჯერმა ირაკლი მეძმარიაშვილმა არველაძეების ოჯახს ეროვნულზე ვიპლოჟის გასაღები ჩააბარა. ეს პირველი გასაჩუქრებული ლოჟაა.

**ფრანკ დე ბურმა** იმდენი იცეკვა, ორი ტაიმის ენერგია დახარჯა - **არტურ ნუმანმა, ბრაინ ლაუდრუპმამა, თოლუნაი ქაფქასმა, ფრედი გრიმმა** და **დენი ბლინდმაც** გვარიანად მოილხინეს.

**დინ გორე** (რომლის გადაცემითაც შოთამ პირველი აიაქსური ბურთი გაიტანა, შემდგომში, "ფეიენოორდისა" და "ბარნსლის" ფეხბურთელი) ისე გახურდა, დასაკრავ ინსტრუმენტებზე ჯიგრიანად ევროპულ-აფრიკულები "შეუბერა" და ხალხი აიყოლია.

ქართულმა ცეკვებმა **მიხაელ მოლსი** და "ლევანტეს" იტალიელი ვარსკვალი **დამიანო ტომაზი** მოხიბლა. მოლსი სცენიდან ზურგით იჯდა, პირველი ცეკვის შემდეგ, სკამი შემოატრიალა და უცნობ ცეკვას გაოცებული უცქერდა. გვითხრა კიდეც ქართული ცეკვები ძალიან მაგარიაო.

ადამიანს გულწრფელობა და სიყალბე ინტონაციაში ეტყობა. მოლსი კი აშკარად კმაყოფილი იყო იმით, რომ ასეთ გარემოში მოხვდა. ეგაა, "ხანჯლურზე" ოდნავ შეშინდა, მაგრამ საკუთარ რეაქციაზე მალევე გულიანად გაეცინა.

დამიანო ტომაზი, იტალიის ნაკრებისა და "რომას" ყოფილი ფეხბურთელი, "ლევანტეში" შოთას თანაგუნდელი მაგიდისკენ არც შეტრიალებულა, მთელი სალამო ქართველთა გართობას ადევნებდა თვალს და ეტყობოდა, იტალიელებზე ემოციური ხალხის გაცნობა მისთვის სიურპრიზი იყო.

**ლუი ვან გაალმა ლიზა ბაგრატიონთან** ერთი-ორი ქართული ცეკვის ელემენტი შეასრულა – ისე, მისი ასაკის ქართველი ბიძები რომ ცეკვავენ.

აფერუმ, ლიზა ბაგრატიონს! კუნთმაგარ ფეხბურთელებზე მეტი ენერგია დახარჯა, ეს ერთი და, მეორე: "ბადაგონის" ღვინოებით გადაღლებაზე ვარსკვლავთ-ბიჭუნები იოლად დაითანხმა. წესითა და რიგით, ნებისმიერი მათგანი ამაში დიდ თაანხას მოითხოვდა. ლიზამ ეს მომხიბლავი ღიმილით მოახერხა.

რაზეა ლაპარაკი, **რეზო არველაძე** ნიჭიერი კაცია. ისე იმღერა, სცენამ უდაოდ დიდი ტალანტი დაკარგა. აჩიკომ ცეკვის საოცარი ნიჭი და "სუხიშვილების" დანაკლისი აჩვენა.

შოთამ კი მოილხინა, ხალხს მოეფერა, იხუმრა, დალია – ბოლოს და ბოლოს, კარიერის შემდეგ მაინც გარისკა – და მაინც, სევდიანი იყო, ძალიან სევდიანი.

მთავარი მოახერხა, ყველას სიყვარული დაიმსახურა. ბანკეტზე იყვნენ ფედერაციის მმართველებიც და პოზიცია-ოპოზიცია: **მიხეილ სააკაშვილი, გიორგი გაბაშვილი, გიგა ბოკერია** და მეორე მხრივ - **ლევან გაჩეჩილაძის** ვაჟი.

ასეთია სიყვარულის ძალა, რომელიც ყველას აერთიანებს. სიყვარულს კი დამსახურება უნდა.

გმადლობთ, შოთა!

**მერაბ მამულაშვილი**

# მხოლოდ ერთი დინამო

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ (IFFHS) თვის საუკეთესო 350 კლუბის რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელსაც სათავეში 286 ქულით „მანჩესტერ იუნაიტედი“ უდგას. მეორე ადგილზე არგენტინული „ბოკა ხუნიორსია“ (267 ქულა), მესამეზე კი „ჩელსი“ (258 ქ.). სამწუხაროდ, 350-გუნდიან სიაში მხოლოდ ერთი ქართული კლუბია – თბილისის „დინამო“, რომელმაც ორწლიანი პაუზის შემდეგ ქვეყნის ჩემპიონობა დაიბრუნა. „დინამოს“ რეიტინგში 75 ქულა აქვს და 243-ე პოზიციაზეა (-12 ადგილი).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# კობიაშვილმა თბილისში პრეზიდენტს უმასპინძლა

ამ ცოტა ხნის წინათ თურქულ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია, "ბეშიქთაში" "შალკეს" გურჯ **ლევან კობიაშვილს** ეპატიჟებაო. ცხადია, გერმანიიდან თბილისში შოთა არველაძის გამოსათხოვარ მატჩზე ჩამოსულ კობიაშვილს ამ ამბავზე ვკითხეთ და გვიპასუხა, ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამებაო.

კობიაშვილმა თბილისში სახელდახელო მასპინძლობა გასწია-მის სტუმარი "შალკეს" პრეზიდენტი **იოზეფ შნუზენბერგი** გახლდათ, რომელიც დღეს დატოვებს ჩვენს დედაქალაქს. ცხადია, კობიაშვილი "შალკედან" წასვლას რომ აპირებდეს, ასეთ კაცს არ ისტუმრებდა თბილისში. ლევანს "შალკესთან" 2010 წლის ზაფხულამდე აქვს კონტრაქტი.

**დავით თავართქილაძე**

# გილაურისამ ისპაჰანს აჯობა



ქვედა რიგში მარჯვნივ აქსენტი გილაური

ირანი თვრამეტგუნდა პრემიერლიგაში **ჯაბა მუჯირის** ისპაჰანის "სეპაჰანი" მეორე ადგილზე გავიდა, **აქსენტი გილაურის** "პეგა" კი - მეთხუთმეტეზე. ამით ირანში სეზონი არ დამთავრდა- "პეგა" და "სეპაჰანი" თასის მეოთხედფინალში გადაეყარნენ ერთმანეთს. მატჩში მასპინძელი "პეგა" იყო და რაშთის სტადიონზე 22 ათასი კაცი შეიკრიბა საკუთარი გუნდის მხარდასაჭერად. "პეგამ" 4:2 მოუგო "სეპაჰანს", რომელიც ირანში სათასო გუნდად ითვლებოდა.

**დავით თავართქილაძე**

# რომან ახალკაცი ოლიმპიკში ჩაირიცხა



**რომან ახალკაცი** ორი წელიწადია აზერბაიჯანის ჩემპიონატში ასპარეზობს. ის აქამდე ევლახის "ქარვანში" თამაშობდა. რამდენიმე დღის წინათ აზერბაიჯანულმა სააგენტოებმა ინფორმაცია გაავრცელეს, რომლის თანახმადაც, „ქარვანის“ სამივე ქართველი ლეგიონერი, **ლექსო ინწკირველი, გოჩა ტრაპაიძე** და რომან ახალკაცი, ტრანსფერზე დააყენეს.

გუშინ შევიტყვეთ, რომ რომან ახალკაცი აზერბაიჯანში დარჩა, ოღონდ გაცილებით ამბიციურ კლუბში გადავიდა – გუშინ დილით 26 წლის შემტევმა ნახევარმცველმა ბაქოს „ოლიმპიკთან“ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

რომან ახალკაცს, რომელსაც „ქარვანთან“ ორწლიანი ხელშეკრულების ვადა ამოეწურა, აზერბაიჯანის ჩემპიონატის ერთდროულად ორი ლიდერი და უმდიდრესი კლუბი იწვევდა – ლენქორანის „ხაზარი“ და ბაქოს „ოლიმპიკი“. ბაქოელებმა გაცილებით იაქტიურეს და ახალკაცმაც „ოლიმპიკის“ წინადადება მიიღო.

შეგახსენებთ, რომ რომან ახალკაცი თამაშობდა გორის „დილაში“, ქუთაისის „ტორპედოში“, მოსკოვის „ლოკომოტივში“, ევლახის „ქარვანში“ კი ორი წლის წინათ რუსულმა კლუბმა გაანათხოვრა. შემდეგ „ლოკომოტივთან“ კონტრაქტის ვადა ამოეწურა და „ქარვანთან“ ხელშეკრულება თავისუფალი აგენტის სტატუსით გააფორმა.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. სეზონის შეჯამება. ოლიმპი

# უარი ინტერტოტოზე და ახალი საჩემპიონო სამიზნე

**ოლიმპი**

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| ორბელაძე | 25 | 24 | 1 | 3 | - |
| მ. მახვილაძე | 24 | 24 | 2 | 3 | - |
| სილაგაძე | 22 | 21 | 1 | 6 | - |
| კახელიშვილი | 22 | 19 | 2 | 7 | 1 |
| გეწაძე | 20 | 20 | 1 | 2 | - |
| დევდარიანი | 20 | 18 | 4 | - | - |
| ნ. მგელაძე | 15 | 10 | 1 | 1 | - |
| რ. ჯიქია* | 13 | 13 | 6 | 4 | - |
| ნავალოვსკი* | 13 | 13 | - | 1 | - |
| ომელიანოვი** | 13 | 12 | 2 | 1 | - |
| ჯოჯუა** | 13 | 9 | - | - | - |
| დვალიშვილი* | 12 | 10 | 1 | - | - |
| ძებაძე* | 12 | 9 | - | 1 | - |
| კოშკაძე* | 12 | 2 | 2 | - | - |
| ხუბუა** | 11 | 10 | - | 1 | - |
| მერლანი (მეკ.) | 10 | 10 | -5 | 1 | - |
| აკუასაგა* | 10 | 9 | - | 2 | 1 |
| გაბედავა** | 10 | 7 | 1 | 2 | - |
| სებისკვერაძე | 9 | 6 | - | 3 | - |
| სტეფანიშვილი** | 8 | 4 | - | - | - |
| შეყრილაძე (მეკ.)** | 7 | 7 | -6 | - | - |
| ჟივკოვიჩი* | 7 | 3 | - | - | - |
| იმედაძე** | 7 | 1 | 1 | - | - |
| გ. ლომაია (მეკ.)** | 6 | 5 | -1 | - | - |
| ჯილდასი* | 6 | 4 | - | - | - |
| გ. რეხვიაშვილი** | 5 | 4 | - | - | - |
| მ. ალავიძე (მეკ.)* | 4 | 4 | -4 | 1 | - |
| კოვალევსკი** | 4 | 3 | - | - | - |
| კორსანტია* | 3 | 1 | - | - | - |
| ჭიჭველიშვილი | 2 | 2 | - | - | - |
| ჩივაძე* | 2 | 1 | - | - | - |
| გ. იაშვილი | 2 | - | - | 1 | - |
| დვალი* | 2 | - | - | - | - |
| ილია მოდებაძე* | 2 | - | - | - | - |
| მესხი* | 2 | - | - | - | - |
| მეტრეველი** | 2 | - | - | - | - |
| ყრუაშვილი | 1 | 1 | - | - | - |
| აფრიამაშვილი** | 1 | - | - | - | - |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 26 | 23 | 1 | 2 | 67-18 | 70 |
| 2. ვიტ-ჯორჯია | 26 | 19 | 3 | 4 | 45-14 | 60 |
| 3. ზესტაფონი | 26 | 18 | 5 | 3 | 56-16 | 59 |
| ***4. ოლიმპი*** | ***26*** | ***16*** | ***4*** | ***6*** | ***26-16*** | ***52*** |
| 5. ამერი | 26 | 15 | 3 | 8 | 48-27 | 48 |
| 6. მესხეთი | 26 | 11 | 6 | 9 | 29-30 | 39 |
| 7. მგლები | 26 | 10 | 3 | 13 | 27-33 | 33 |
| 8. სიონი | 26 | 9 | 5 | 12 | 34-35 | 32 |
| 9. ბორჯომი | 26 | 9 | 4 | 13 | 32-39 | 31 |
| 10.ლოკომოტივი | 26 | 7 | 6 | 13 | 27-35 | 27 |
| 11. სპარტაკი | 26 | 5 | 8 | 13 | 15-28 | 23 |
| 12. მერანი | 26 | 6 | 1 | 19 | 15-54 | 19 |
| 13. ბათუმი | 26 | 4 | 4 | 18 | 16-51 | 16 |
| 14. დილა | 26 | 1 | 5 | 20 | 12-53 | 8 |



ოლიმპელთა კაპიტანმა მიხეილ მახვილაძემ სეზონი სტაბილურად ჩაატარა

იმ გუნდისგან, რომელიც წინა სეზონში საქართველოს ჩემპიონი გახდა, ფაქტობრივად, ალარაფერი დარჩა. ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში "ოლიმპი" თითქმის ყველა წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა, დაითხოვეს მთავარი მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილიც. ყოველივე ამის შემდეგ რუსთავულ კლუბს კრიზისი დაეწყო, ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე "ასტანასთან" შერცხვენას ჩემპიონატის უსახური სტარტი მოჰყვა.

პირველივე ტურის შემდეგ, ვარლამ კილასონია მთავარი მწვრთნელობიდან ასისტენტის თანამდებობაზე დააბრუნეს და მის ნაცვლად უკრაინელი ანატოლი პისკოვეცი დანიშნეს. ვერ ვიტყვით, რომ სლავმა სპეციალისტმა გუნდს თავისი ხელი ძალიან დაატყო, მაგრამ "ოლიმპმა" რამდენიმე დასამახსოვრებელი მატჩი მაინც ჩაატარა. გასული წლის დეკემბერში რუსთაველები კი სუპერთასზე "ამერთან" განადგურდნენ.

წელინადი "ოლიმპმა" დსთ-ის თასზე ასპარეზობით დაიწყო. ვერ ვიტყვით, რომ რუსთაველები სანკტ პეტერბურგში დიდი წარმატებით გამოვიდნენ, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ბოლო წლებში ქართული კლუბები ამ ტურნირზე ჯგუფურ ეტაპსაც ვერ გასცდნენ, მეოთხედფინალი ნორმალური შედეგი იყო.

მეორე წრის სტარტზე "ოლიმპმა" სტუმრად "დინამოს" სძლია და თითქოს სეზონის მეორე ნახევარი ექსჩემპიონს ალმავლობით უნდა ჩაეტარებინა, მაგრამ ეს პისკოვეცის უკანასკნელი წარმატება იყო. იგი მალევე გაათავისუფლეს და სეზონი გუნდმა ხვიჩა ქასრაშვილის ხელმძღვანელობით ჩაამთავრა. ჩემპიონატის ბოლო ტურებში "ოლიმპს" არცთუ რთული კალენდარი ჰქონდა, მაგრამ ქასრაშვილმა მაინც შთამბეჭდავ შედეგს მიაღწია – მისი ხელმძღვანელობით გუნდმა შვიდ მატჩში შვიდი გამარჯვება მოიპოვა.

თასის გათამაშებას მეოთხედფინალიდან გამოეთიშნენ, ჩემპიონატი კი ქვემოქართლელებმა მეოთხე საფეხურზე ჩაამთავრეს. ეს შედეგი ინტერტოტოს თასზე ასპარეზობის უფლებას იძლეოდა, მაგრამ "ოლიმპის" მესვეურებმა ნაკლებად პრესტიჟულ ევროტურნირზე უარი თქვეს.

## საუკეთესო მატჩი

ყველაზე მაღალ დონეზე "ოლიმპმა" "დინამოსთან" გასვლით შეხვედრაში ითამაშა. პისკოვეცმა თამაში კონტრშეტევებზე ააგო და მისმა ჩანაფიქრმა გაამართლა კიდეც. ექსჩემპიონმა ჩემპიონს დამაჯერებლად სძლია.

## ყველაზე ცუდი მატჩი

მაშინ, როცა საპრიზო სამეულში მოხვედრის იმედი გადაწურული ჯერ არ ჰქონდათ, ოლიმპელები შინ "ზესტაფონთან" 0:3 განადგურდნენ. ეს პისკოვეცის ბოლო ქართული მატჩი აღმოჩნდა...

## პლუსი

გუნდის დაცვა თითქმის ყოველთვის დამაჯერებლად მოქმედებდა და ეს მიღებული ბურთების მცირე რაოდენობაშიც აისახა.

## მინუსი

საგოლე მომენტების შექმნა "ოლიმპს" ძალიან უჭირდა, შესაბამისად, გუნდის შედეგიანობა მეტად დაბალი იყო.

## რჩეულნი

"ოლიმპის" დაცვის საიმედოობა **ორბელაძე-მახვილაძე-სილაგაძის** გამოცდილმა ტრიომ განაპირობა, გუნდის ლიდერი კი **დავით დევდარიანი** იყო, რომელიც ჯერ ახალგაზრდულ, შემდეგ კი ეროვნულ ნაკრებამდე დაწინაურდა.

## პროგრამა მინიმუმი

"ოლიმპის" ხელმძღვანელობა მომავალი სეზონისთვის ბრძოლისუნარიან გუნდს ქმნის, რომელიც ევროთასები საგზურისთვის იბრძოლებს.

## პროგრამა მაქსიმუმი

სავსებით შესაძლებელია, "ოლიმპი" ჩემპიონობასაც შეეჭიდოს.

## მზადება

"ოლიმპი" მომავალი სეზონისთვის სამზადისს 16 ივნისს რუსთავში დაიწყებს, შემდეგ გუნდი ურეკში გადაინაცვლებს. გამორიცხული არც უცხოურ შეკრებაზე გამგზავრებაა.

## საკადრო პოლიტიკა

გუნდიდან წავიდნენ **ალექსანდრ ომელიანოვი, გრიგოლ იმედაძე,** ტრანსფერზე დააყენეს **გელა ხუბუა.** ჯერჯერობით, გაურკვეველია **მიხეილ მახვილაძისა** და **დავით ჭიჭველიშვილის** საკითხი. ახალწვეულები კი საკმაოდ ძლიერები არიან – **შოთა ბაბუნაშვილი, გიორგი მეგრელაძე, კოკა მიკუჩაძე, გაგა ჩხეტიანი** და **ნოდარ მაჭავარიანი.** არც **გიორგი გაბიდაურის** გადაბირებაა გამორიცხული.

## ფინანსური მდგომარეობა

ქართული საზომებით, "ოლიმპი" წელგამართულ კლუბად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**




**I ტური**
შ დინამო 0:2

**II ტური**
ს ბათუმი 1:0
გოლი: კოშკაძე

**III ტური**
შ ამერი 1:0
გოლი: რ. ჯიქია

**IV ტური**
ს ვიტ ჯორჯია 1:2
გოლი: რ. ჯიქია

**V ტური**
შ მესხეთი 0:0

**VI ტური**
ს ზესტაფონი 1:2
გოლი: კოშკაძე

**VII ტური**
შ ლოკომოტივი 1:0
გოლი: რ. ჯიქია

**VIII ტური**
ს დილა 1:1
გოლი: რ. ჯიქია

**IX ტური**
შ მგლები 2:1
გოლები: რ. ჯიქია, დვალიშვილი

**X ტური**
შ სიონი 1:0
ავტოგოლი: სტურუა

**XI ტური**
შ მერანი 2:0
გოლები: კახელიშვილი, დევდარიანი

**XII ტური**
ს სპარტაკი 2:0
გოლები: რ. ჯიქია, ორბელაძე

**XIII ტური**
ს ბორჯომი 0:0

**XIV ტური**
ს დინამო 2:1
გოლები: ომელიანოვი, დევდარიანი

**XV ტური**
შ ბათუმი 1:0
გოლი: დევდარიანი

**XVI ტური**
ს ამერი 1:2
გოლი: ომელიანოვი

**XVII ტური**
შ ვიტ ჯორჯია 0:1

**XVIII ტური**
ს მესხეთი 0:0

**XIX ტური**
შ ზესტაფონი 0:3

**XX ტური**
ს ლოკომოტივი 1:0
გოლი: სილაგაძე

**XXI ტური**
შ დილა 1:0
გოლი: მახვილაძე

**XXII ტური**
ს მგლები 2:0
გოლები: დევდარიანი, ნ. მგელაძე

**XXIII ტური**
ს სიონი 2:1
გოლები: კახელიშვილი, გეწაძე

**XXIV ტური**
შ ბორჯომი 1:0
გოლი: მახვილაძე

**XXV ტური**
ს მერანი 1:0
გოლი: გაბედავა

**XXVI ტური**
შ სპარტაკი 1:0
გოლი: იმედაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატრანსფერო სპეკულაციები

# კრისტიანო რონალდო: მანჩესტერიდან წავალ...

## პორტუგალიელ სუპერვარსკვლავზე პრეტენზია ბარსელონამაც გამოთქვა. გამოსავალი ლაპორტას წასვლა და არჩევნებში როსელის გამარჯვებაა. კატალონიაში, შეიძლება, სკოლარიც გამოჩნდეს



რჩება იმის შანსი, რომ ზაფხულის ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერი **კრისტიანო რონალდოს** სახელს დაუკავშირდეს. წესით, ამ ბურუსით მოცულ და დამაინტრიგებელ ისტორიას უკვე ნათელი უნდა მოჰფენოდა, რაკი თავად ფეხბურთელმა თქვა, ორ-სამ დღეში ჩემზე სიახლეს გაიგებთო. ეს ორი - სამი დღეც გავიდა და აი, გუშინ, "სანმა" რონალდოს ერთ-ერთი მეგობრის მიერ გამხელილი ამბავი დაბეჭდა. კრისტიანოს უთქვამს, "მანჩესტერ იუნაიტედიდან" აუცილებლად წავალ, ოღონდ, ახლა თუ არა, ერთი წლის მერე აუცილებლადო.

მაგრამ გაურკვევლობა რჩება - "თუ ამ ზაფხულს არა". რას ნიშნავს ეს? იმას, რომ რონალდოს ჯერ არაფერი აქვს გადაწყვეტილი და ევროპის ჩემპიონატის დასრულებამდე არც არაფერი გაირკვევა. მოარული ხმებით, პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელმა **ლუიშ ფელიპე სკოლარიმ** ურჩია თავის მთავარ იმედს, ტრანსფერზე ფიქრი მომავლისთვის გადადოს და კონცენტრირება მთლიანად ევროფორუმზე გააკეთოს. ლოგიკურია.

როგორც "სანი" წერს, რონალდოს დაუვალებია აგენტ **ჟორჟე მენდეშისთვის**, "მანჩესტერიდან" წასვლის სტრატეგია შეიმუშაოს, მაგრამ არა ახლა, არამედ ერთი წლის შემდეგ. წესით, სერ **ალექს ფერგიუსონი** კმაყოფილი უნდა იყოს, რასაც ვერ ვიტყვით "რეალის" პრეზიდენტ **რამონ კალდერონზე**, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ რონალდოს სურვილს წინ ვერაფერი აღუდგებოდა. მაგრამ რონალდოს ჯერ არ სურს "რეალში" თამაში.

ამასობაში, კიდევ ერთი ინტრიგა იბადება: კრისტიანოზე, თურმე, "ბარსელონაც" აცხადებს პრეტენზიას. პერსპექტივა ასეთია: მოგეხსენებათ, "ბარსას" დღევანდელ მმართველობას წყალი შეუდგა. **ჟოან ლაპორტას** იმპიჩმენტით ემუქრებიან. დიდია შანსი, რომ სექტემბერში პრეზიდენტის რიგგარეშე (წესით, 2010 წლისთვის უწევს) არჩევნები გაიმართოს. საკუთარი კანდიდატურის წამოყენებას აპირებს კლუბის ყოფილი მალალჩინოსანი **სანდრო როსელიც**, რომელიც კატალონიურ გრანდში 2003 წელს სწორედ ლაპორტასთან ერთად მივიდა. პრეზიდენტთან უთანხმოების გამო, როსელმა "ბარსელონა" ორი წლის წინათ დატოვა. საქმის არსი ისაა, რომ როსელის საპრეზიდენტო დანაპირები კრისტიანო რონალდო იქნება. ფეხბურთელის აგენტ მენდეშთან მას მეგობრული ურთიერთობა აქვს. ეს სერიოზული უპირატესობაა. ამ ურთიერთობის ნაყოფი იყო სწორედ **დეკუს** ტრანსფერი. თუ სექტემბერში რიგგარეშე არჩევნები ჩატარდა და როსელმა გაიმარჯვა, ის ყველაფერს ილონებს იმისთვის, რომ "ბარსაში" მწვრთნელად სკოლარი მიიყვანოს (სკოლარის პორტუგალიური კონტრაქტი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ იწურება). ეს კი "კამპ ნოუსკენ" გზას რონალდოსაც გაუხსნის.

ჩემპიონთა ლიგა

## მილანი თუ ლევსკი?

მოგეხსენებათ, სერია A-ს ბოლო გათამაშების შედეგებით, "მილანი" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ვერ მოხვდა. ამის გამო, სახელოვანი კლუბის ბიუჯეტს სერიოზული შემოსავალი დააკლდება, რაც გარკვეულწილად ზაფხულის სატრანსფერო აქტივობაზეც ჰპოვებს ასახვას. მაგრამ, სრულიად მოულოდნელად, "მილანს" შანსი გაუჩნდა, ლიგის მომავალ გათამაშებაში მესამე საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაერთოს. თუმც საკითხავია, ეს შანსია, თუ უბრალოდ, სასურველის რეალურად გასაღება.

საქმე შემდეგშია: ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციამ ჩემპიონ სოფიის ცსკა-ს, ფინანსური პრობლემების გამო, ლიცენზია ჩამოართვა, უმაღლესი დივიზიონიდან გააგდო და აცნობა უეფას, რომ ქვეყნის 31-გზის ჩემპიონი მთავარ ევროტურნირში ვერ ითამაშებს. მართალია, არმიული კლუბის პრეზიდენტი **ალექსანდრ ტომოვი** ვერდიქტის გასაჩივრებას აპირებს, მაგრამ დიდი ალბათობით, განაჩენი ძალაში დარჩება.

წესით, ცსკა-ს ადგილი ვიცე-ჩემპიონმა "ლევსკიმ" უნდა დაიკავოს. ამ კლუბის პრეზიდენტმა **ტოდორ ბატკოვმა** ასეთი განცხადება გააკეთა: *"არც მორალური და არც სპორტული თვალსაზრისით, ჩემპიონთა ლიგისთვის მზად არ ვართ, მაგრამ ჩვენს შესაძლებლობებს აუცილებლად გადავხედავთ. ასეა თუ ისე, ბულგარეთს თავისი კვოტა აქვს და ვფიქრობ, ნორმალურია, თუკი ვაკანსიას ჩვენ შევავსებთ"*.

შეგახსენებთ, რომ "ლევსკი" ჯერჯერობით, ერთადერთი ბულგარული კლუბია, ვინც 2006 წელს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვდა. ერთ-ერთი იქაური ფანი, ვინმე **ვალენტინ ანგელოვი** ამბობს: *"დაუჯერებელი ამბავია. თუ კლუბი ამ შანსს ხელიდან გაუშვებს, მთელი ევროპის თვალში იდიოტები ვიქნებით"*.

მაგრამ რა შუაშია "მილანი"? არის შანსი, რომ "როსონერი" ვაკანტურ ადგილზე დაუშვან, როგორც ყველაზე რეიტინგული კლუბი. მოკლედ, პერსპექტივა არის, მაგრამ გავიხსენოთ 2006 წლის მაგალითიც. "მილანი" ჩემპიონთა ლიგაში დაუშვეს იმის მიუხედავადაც, რომ "კალჩოპოლის" სკანდალის გამო, ქულები დააკლდა და სერია A-ს კვარტეტს მიღმა აღმოჩნდა. თუმცა სარჩელმა გაჭრა და "როსონერის" ლიგაში ადგილი მაინც მისცეს, "ლანსი" კი, რომელიც მაღალი კოეფიციენტის გამო ვაკანტური ადგილის შევსებას აპირებდა, პირში ჩალაგამოვლებული დარჩა.

ახლა, ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, იტყვის თუ არა საბოლოო თანხმობას "ლევსკის" ხელმძღვანელობა. მაგრამ მანამდე, ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციამ სოფიურ კლუბს ლიცენზია უნდა გამოუწეროს.

მანჩესტერ სიტი

## პიუზი გადაწყდა




"მანჩესტერ სიტიმ" **მარკ ჰიუზი** ახალ მწვრთნელად გამოაცხადა. სამშაბათს, "სიტიმ" და "ბლექბერნმა", სადაც უელსელი სპეციალისტი ბოლოს მუშაობდა, კომპენსანციის ოდენობა შეათანხმეს. გადაწყდა, რომ "მოქალაქეები" 5 მილიონ გირვანქას გადაიხდიან. შემდგომი ნაბიჯი უშუალოდ მანჩესტერულ კლუბსა და მწვრთნელს შორის მორიგება იყო და გუშინ ამასაც ბეჭედი დაესვა. "სიტის" თავმჯდომარე **გერი კუკთან** მოლაპარაკების შემდეგ, ჰიუზმა 3-წლიანი კონტრაქტის დეტალები შეათანხმა.

მანჩესტერში ის ბლექბერნელ ასისტენტ **მარკ ბოუენთან** ერთად მიდის. გავიხსენოთ, რომ ჰიუზმა "ვარდებს" ორჯერ მოუტანა ევროსაგზური. "სიტის" მეპატრონე **ტაქსინ შინავატრა** იმედოვნებს, რომ უელსელი მის სამფლობელოშიც ანალოგიური წარმატებით ილვაწებს. ტაილანდელი ბოსი მზადაა, ახალ მწვრთნელს საზაფხულო ტრანსფერებისთვის 35 მილიონი გირვანქა გამოუყოს.

დანიშვნა

## ერიქსონი მექსიკას განვრთნის



**სვენ გორან ერიქსონის** უმუშევრობამ მხოლოდ ერთი დღე გასტანა. "მანჩესტერ სიტიდან" წასული შვედი სპეციალისტი სამშაბათს მექსიკის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა.

*"ძალიან ამაყი ვარ. მექსიკის ნაკრებში მუშაობა ჩემთვის დიდი გამოწვევაა და შეთავაზებასაც ამიტომ დავთანხმდი. ჩვენი მიზანი, მსოფლიო თასზე მოხვედრაა, სადაც გაცილებით უკეთ უნდა ვითამაშოთ, ვიდრე ეს ბოლო მუნდიალზე იყო. ვერ ვიტყვი, რომ მექსიკურ ფეხბურთზე დიდი ცოდნა მაქვს, მაგრამ ვიცი, რაც უნდა გავაკეთო. სწრაფი ცვლილებებია საჭირო"*, - უთხრა ერიქსონმა მექსიკელ ჟურნალისტებს.

მისი დანიშვნა უცნაური ფორმით მოხდა. ერიქსონის კანდიდატურა განსახილველად მექსიკის უმაღლესი დივიზიონის 18 კლუბის პრეზიდენტმა დააყენა. ისინი იქაური ფეხბურთის ფედერაციის ეროვნული გუნდების კომიტეტში არიან გაერთიანებული. "გვადალახარას" პრეზიდენტი **ხორხე ვერგარა** აღფრთოვანებულია, რომ ინგლისის ნაკრების ყოფილ მწვრთნელს მხარი კომიტეტის 18-ვე წევრმა დაუჭირა.

როგორც ჩანს, მექსიკელები ერიქსონს დიდ იმედებს უკავშირებენ. ვაკანტურ პოსტზე ის მექსიკური ფეხბურთის ლეგენდა **უგო სანჩესს** ცვლის. სანჩესმა ამ თანამდებობაზე წელიწადი და ოთხი დაჰყო, მაგრამ ღირებული ვერაფერი გააკეთა. ფეხბურთის ფედერაციის მიზანია, მექსიკის ნაკრებმა როგორმე გადალახოს მეოთხედფინალის დაწყევლილი ბარიერი, რის იქითაც ის არასოდეს წასულა. ამისთვის, ახალი ხედვა, ახალი იდეები და მკაცრი დისციპლინაა საჭირო. ერიქსონმა სწორედ ეს უნდა მოიტანოს.

სვენი სრულყოფილ მუშაობას სამი თვის შემდეგ შეუდგება, როცა კონკაკაფ-ის შესარჩევი ტურნირი დაიწყება. მანამდე კი საკვალიფიკაციო ეტაპია. აქ მექსიკა ბელიზთან ორ მატჩს გამართავს. ამ თამაშებისთვის "სომბრეროებს" დროებითი მწვრთნელი **ხესუს რამირესი** დამოძღვრავს. ეს კაცი გაუძღვება გუნდს, არგენტინასთან და პერუსთან ამ კვირაში გასამართ ამხანაგურ შეხვედრებშიც, რომელიც შეერთებულ შტატებში გაიმართება.

ინტერი

## ხუთი კაცი დახლზე

### მოურინიო ბალასტს იცილებს. პორტუდან კი კვარეშმა მოდისო



**ჟოზე მოურინიო** მუშაობას შეუდგა. ის ახლა სატრანსფერო სტრატეგიის შემუშავებითაა დაკავებული. როგორც თავად ამბობს, ახალი სეზონისთვის 24 ფეხბურთელი დასჭირდება. შესაბამისად, ახლები მოვლენ, ძველებიდან კი ზოგს გაყიდიან. ამ ფულს **მასიმო მორატი** საზაფხულო ტრანსფერებში დააბანდებს.

"გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, ჟოზე ძირითადი შემადგენლობის ხუთ ფეხბურთელს შეელევა, მათ შორის, **ერნან კრესპოსა** და **დეიან სტანკოვიჩს**. ეს უკანასკნელი **რობერტო მანჩინის** ფავორიტი იყო, თუმც ეს არ ნიშნავს იმას, რომ სერბს ამის გამო იცილებენ. სტანკოვიჩი იმ ფეხბურთელთა რიგს განეკუთვნება, რომელთა სარფიანად გაყიდვა დიდ სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს. გასული სეზონის დიდი ნაწილი დეიანს ტრავმის გამო გაუცდა.

რაც შეეხება კრესპოს, ის მოურინიოს ყოფილი შეგირდია. ერნანს მანჩინის დროსაც ემუქრებოდა ტრანსფერზე დაყენება, მაგრამ ვერ გარისკეს. გასაყიდთა სიაში ყოფილა კიდევ ერთი ფორვარდი **დავიდ სუასოც**, რომელზეც გასულ ზაფხულს დიდი ამბავი იყო ატეხილი "ინტერსა" და "მილანს" შორის, მაგრამ ჰონდურასელი დიდ კლუბში სათამაშოდ მზად არ აღმოჩნდა, არადა, 29 წლისაა. ესე იგი, მისი ადგილი ისევ "კალიარიშია".

დიდი ეჭვია, რომ "ინტერი" **ნიკოლას ბურდისოსაც** გაასხვისებს. ესეც ოთხი. მეხუთე? მეხუთე **ადრიანო** იქნება. თვის ბოლოს მას არენდის ვადა ეწურება და "სან პაულოდან" "ინტერში" უნდა დაბრუნდეს. ნაკლებადაა მოსალოდნელი, რომ მოურინიომ ადრიანოსთან საერთო ენა მონახოს.

ამ ოპერაციებიდან შემოსულ თანხას, როგორც აღვნიშნეთ, "ინტერის" ხელმძღვანელობა ტრანსფერებში ჩადებს. თავად მოურინიომაც აღიარა, რომ "ჩელსიდან" ორი-სამი ფეხბურთელის წამოყვანას აპირებს. ერთ-ერთი, უთუოდ **ფრენკ ლემპარდია**, მეორე კი მცველი **რიკარდო კარვალიო**, რომელმაც, ალბათ, ბურდისო უნდა შეცვალოს, ხოლო მესამე - **დიდიე დროგბა**.

ამას გარდა, გუშინ ეს ინფორმაციაც გაჩნდა: ჟოზემ თავისი ყოფილი "პორტუდან", შეიძლება, **რიკარდო კვარეშმა** გადაიბიროსო. მოგეხსენებათ, ეს კლუბი ჩემპიონთა ლიგიდან მოკვეთეს და ფინანსური კრიზისის თავიდან ასაცილებლად, რამდენიმე წამყვან მოთამაშეს გაყიდის. მათ შორისაა სწორედ კვარეშმა, რომელიც მოურინიოს **ლუიშ ფიგუს** ალტერნატივად სჭირდება. მართალია, ფიგუ კიდევ ერთი წლით აპირებს დარჩენას, მაგრამ... რომ გადაიფიქროს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2008

# კასანო ჩვეულ სტიქიაში

## კონფლიქტები ამოწურულია. დონადონიმ ახალი კონტრაქტი გააფორმა

იტალია

**ანტონიო კასანო** სკანდალში გაეხვა. როდესაც **რობერტო დონადონიმ** 23-კაციანი შემადგენლობა დაასახელა, **ფილიპო ინძაგის** ნაცვლად, კასანოს უხმო. ანტონიოს საუცხოო სეზონი ჰქონდა. ის ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდა იტალიელი თავდამსხმელია, მაგრამ უმძიმესი ხასიათი აქვს. მიმომხილველთა ერთმა ნაწილმა მწვრთნელის არჩევანი სწორედ ამ მიზეზით დაიწუნა. და აი, ავსტრიაში ჩასვლიდან ორი დღის შემდეგ, კასანო ერთბაშად ორ თანაგუნდელს ნაეჩხუბა - **ჯორჯო კიელინისა** და **ანდრეა ბარძალის**. კიელინი დამწუხრებულია. ერთი დღით ადრე, მან **ფაბიო კანავარო** დაამტვრია. თანაგუნდელები კიელინის უთანაგრძნობენ და ამხნევებენ. კასანომ კი მისი შეურაცხყოფა განიზრახა.

გუშინდელი ვარჯიშისას კიელინი ანტონიოს ფეხებში ჩაუხტა და სუფთად აართვა ბურთი. კასანო მაინც განრისხდა და მცველს უხამსი ჟესტი უჩვენა. გავიდა რამდენიმე წუთი და კასანო ისე ძალიან ეუხეშა ბარძალის, რომ კინაღამ ეს უკანასკნელიც შინ გაისტუმრა. უხეშობას გაწევ-გამოწევა მოჰყვა. დონადონის საქმეში ჩარევა და დაპირისპირებულ ფეხბურთელთა დაშოშმინება მოუხდა. უსიამოვნება გასახდელშიც გაგრძელდა. მწვრთნელი იქაც მომრიგებელი მოსამართლე იყო. იტალიური დელეგაციის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა ჟურნალისტებს აუწყა, რომ კონფლიქტი ამოწურულია. მიმომხილველები შიშობენ, რომ დონადონის კასანოს გამო კიდევ არა ერთი დაძაბული დღე ელოდება.



კასანო თავისას არ იშლის

გუშინ **ფაბიო კანავარომ** კოჭის ოპერაცია გაიკეთა. მან საოპერაციო მაგიდაზე სულ რაღაც ნახევარი საათი გაატარა. ექიმების ვერდიქტით, "აძურის" კაპიტანი ორი თვე ვერ ითამაშებს. ოპერაცია ავსტრიელმა ქირურგებმა ჩაატარეს. ქირურგიულ პროცედურას იტალიის ნაკრების ექიმი **ანდრეა ფერეტი**, აგრეთვე მადრიდის "რეალის" წარმომადგენელი ესწრებოდნენ. როგორც უკვე გაუწყეთ, კანავარო ავსტრიაში რჩება და თანაგუნდელებს ტრიბუნიდან უგულშემატკივრებს. ნაკრებში მისი ადგილი "ფიორენტინის" მცველმა **ალესანდრო გამბერინიმ** დაიკავა.

***P.S.** გუშინ, რობერტო დონადონიმ იტალიის ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი ორი წლით გააგრძელა.*

# მარკო ჯერ კმაყოფილია

ჰოლანდია

ჰოლანდიის ნაკრები შვეიცარიაშია. მეტოქეების - იტალიისა და საფრანგეთისგან განსხვავებით, "ტიტებს" სერიოზული საკადრო პრობლემები არ აქვთ. გამოჯანმრთელდა **რობინ ვან პერსი**. მართალია, **რაიან ბაბელი** შინ გაემგზავრა, მაგრამ გუნდს თავდასხმაში არა ერთი ძლიერი ფეხბურთელი ჰყავს. შემთხვევითი არ იყო, რომ ბაბელის ნაცვლად, ვან ბასტენმა მცველს, **ხალიდ ბულარუზს** უხმო.

ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრების წინ, გუნდმა სამი ამხანაგური მატჩი ჩაატარა - ორი მოიგო, ერთი ფრედ დაასრულა და ექვსი გოლი შეაგდო. ჰოლანდიელთა თავდასხმა ეფექტურად გამოიყურება. სიკვდილის ჯგუფიდან გასაღწევად გოლებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება, ისევე, როგორც დაცვის საიმედო თამაშს. უნდა ვაღიაროთ, რომ ჰოლანდიელთა უკანა ხაზი რიგ შემთხვევებში მოისუსტებდა. *"ამ მომენტამდე კმაყოფილი ვარ,* - თქვა ვან ბასტენმა შვეიცარიაში ჩაფრენის შემდეგ. - *ვმუშაობთ წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით. იმედია, ყველაფერი ასე გაგრძელდება."*



მარკო ვან ბასტენი

ფეხბურთელებმა გამგზავრების წინა დღე ოჯახებთან ერთად გაატარეს. გუშინ საღამოს ისინი ლოზანის ოლიმპიურ სტადიონს ეწვივნენ და მსუბუქად ივარჯიშეს. ჰოლანდიელი ჟურნალისტების ვარაუდით, ვან ბასტენი გუნდის თამაშს გარემარბებზე ააწყობს. ვან პერსის გამოჯანმრთელება იმას ნიშნავს, რომ ფლანგებზე ის და **არიენ რობენი** ითამაშებენ. ისინი ხშირ-ხშირად გაცვლიან პოზიციებს. მწვრთნელს მათი დრიბლინგისა და სისწრაფის იმედი ექნება.

9 ივნისს, ჰოლანდია იტალიას ეთამაშება. იტალიას წამყვანი მცველი **ფაბიო კანავარო** გამოაკლდა. ჟურნალისტებმა ჰოლანდიელ ფეხბურთელებს ამ ფაქტის შეფასება სთხოვეს. **დირკ კუიტმა** მიუგო: *"ყოველთვის გულდასაწყვეტია, როდესაც ფეხბურთელი დიდ ტურნირს ბოლო წუთს მიღებული ტრავმის გამო ეთიშება. სწორედ ასე დაემართა რაიან ბაბელს."* **ედვინ ვან დერ სარი**: *"დიდი ფეხბურთელები დიდ ტურნირებს ალამაზებენ. სამწუხაროა, რომ კანავარო არ ითამაშებს."*

მსოფლიოს ჩემპიონებთან შეხვედრის წინ **ვესლი სნეიდერმა** თამამი განცხადება გააკეთა: *"იტალიის დამარცხება სავსებით შესაძლებელია. მეტოქეზე მომეტებული წარმოდგენის შექმნა არ ღირს. შეხედეთ იტალიას? გგონიათ, მათ ჩვენი არ ეშინიათ? დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ნერვიულობენ. ფრანგებიც ნერვიულობენ, იმიტომ, რომ ჩვენ ძლიერი გუნდი გვყავს. ევროპის ჩემპიონატზე ფავორიტებს თანაბარი შანსები აქვთ. ტაქტიკურად, ტექნიკურად და ფიზიკურად ყველა მათგანი ძლიერია. ჰოლანდიას წარმატების რეალური შანსი აქვს."*

ჰოლანდიის ნაკრები სასტუმრო "ბეუ რივაჟ პალასშია" გაჩერებული. მისი ფანჯრებიდან ჟენევის ტბისა და მის გადაღმა, საფრანგეთის ალპების დაუვიწყარი ხედი მოსჩანს. ჰოლანდიელები ყველა მნიშვნელოვანი ტურნირის წინ ლოზანაში ჩერდებიან ხოლმე, ახლა მით უმეტეს, როდესაც შვეიცარია ევროპის ჩემპიონატის თანამასპინძელია.

# სკოლარი: კითხვები მხოლოდ ნაკრებზე

## კრისტიანო რონალდოს მომავლის განხილვა აკრძალულია

პორტუგალია

ნოიშატელში პორტუგალიის ნაკრების პირველ ვარჯიშს 12 ათასი გულშემატკივარი დაესწრო. დამსწრეთა აბსოლუტური უმრავლესობა შვეიცარიაში პორტუგალიური სათვისტომოს წარმომადგენელი იყო. მათ ეროვნული ნაკრების მაისურები ემოსათ და საყვარელ გუნდს ომახიანად ქომაგობდნენ. **ლუიშ ფელიპე სკოლარის** გამოჩენას დიდი ოვაციები მოჰყვა. კიდევ უფრო დიდი ხმაური ატყდა, როდესაც გვირაბიდან **კრისტიანო რონალდომ** გამოჰყო თავი. თითოეულმა ადამიანმა "ქსამაქსის" სტადიონზე მოსახვედრად 15 შვეიცარიული ფრანკი გაიღო. კვირას პორტუგალია კიდევ ერთ ღია ვარჯიშს ჩაატარებს. წინა დღეს სკოლარის შეგირდები ევროპის ჩემპიონატის პირველ მატჩს გამართავენ. ჟენევაში, მათი მეტოქე თურქეთის ნაკრები იქნება. A ჯგუფში შვეიცარიისა და ჩეხეთის ნაკრებებიც ითამაშებენ.

პორტუგალიელთა პირველი ვარჯიში უფრო მეტად სანახაობა იყო. ფეხბურთელებს ოფლი თითქმის არ დაუღვრიათ. რა გასაკვირია, რომ ლუიშ ფელიპე სკოლარის არავითარ ტაქტიკურ სქემაზე არ უმუშავია. პორტუგალიის ნაკრების ტექნიკურმა დირექტორმა კარლოს გოდინიომ ასეთი კომენტარი გააკეთა: *"ჩვენ ერთადერთი ნაკრები ვართ, რომლის ღია ვარჯიშებზე შემოსვლა ფასიანია. ამავე დროს, ერთადერთი ვართ, რომლის ვარჯიშებზე ამდენი მაყურებელი იყრის თავს."*

სკოლარიმ ჟურნალისტებს კრისტიანო რონალდოს ტრანსფერზე კითხვების დასმა კატეგორიულად აუკრძალა. ნებისმიერი პრესკონფერენცია, რომელსაც პორტუგალიელები ევროპის ჩემპიონატის დღეებში გამართავენ, ექსკლუზიურად სანაკრებო ამბებს მიეძღვნება. მწვრთნელი ამა თუ იმ ფეხბურთელის საკლუბო კარიერის განხილვაზე დროის დახარჯვას არ აპირებს. უპასუხოდ დარჩა კითხვა, რომელიც უშუალოდ მწვრთნელის მომავალს ეხებოდა. ჟურნალისტი დაინტერესდა, ევროპის პირველობის შემდეგ სკოლარი ინგლისში გამგზავრებას ხომ არ აპირებდა.



ლუიშ ფელიპე სკოლარი

# ტიერი ანრი 100

## ვიეირას უიმედობა და რიბერის ოპტიმიზმი

საფრანგეთი

**ტიერი ანრიმ** საფრანგეთის ნაკრებში მე-100 მატჩი ჩაატარა. სამშაბათს, "ლურჯებმა" კოლუმბიას უმასპინძლეს და მინიმალური ანგარიშით დაამარცხეს. ერთადერთი გოლი **ფრანკ რიბერიმ**, 11-მეტრიანით შეაგდო. "ბაიერნის" ნახევარმცველმა 27-ე სანაკრებო მატჩში მეოთხე გოლი გაიტანა.

პენალტი ანრის წაქცევისთვის დაინიშნა. ასე რომ, "ბარსელონის" ვარსკვლავმა იუბილე გოლით თანაავტორობით აღნიშნა. ტიერიმ ნამატჩევს ასეთი კომენტარი გააკეთა: *"ბევრი თავდამსხმელი ვერ დაიკვეხნის იმით, რომ ევროპის რომელიმე ძლიერი ნაკრების შემადგენლობაში 100 შეხვედრა ჩაატარა. ეს რიცხვი ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, მაგრამ ამ საღამოს უფრო მნიშვნელოვანი ამბავიც მოხდა. საფრანგეთმა მოიგო. იმედია, ევროპის ჩემპიონატზეც გავიმარჯვებთ."*

ფრანგებმა ბოლო სამი ამხანაგური მატჩი ლათინოამერიკელებთან ჩაატარეს - კოლუმბიასთან გამარჯვებამდე, 2:0 მოუგეს ეკვადორს და 0:0 დაასრულეს შეხვედრა პარაგვაისთან. რიბერის აზრით, მისასალმებელია, რომ ფრანგებს ერთი გოლიც არ გაუშვიათ. ფეხბურთელის თქმით, ეს დაცვის ხაზის საიმედოობაზე მეტყველებს.



შეტევაზეა ტიერი ანრი

საფრანგეთი შვეიცარიაში გუშინ გაემგზავრა. გუნდის პირველ მატჩს, რუმინეთის წინააღმდეგ, 9 ივნისს ჩაატარებს. რიბერი: *"ჩვენ ევროპის ჩემპიონობა გვინდა. რთულ ჯგუფში ვართ. ამიტომაც პირველი შეხვედრა აუცილებლად უნდა მოვიგოთ."*

რუმინელთა წინააღმდეგ ვერ ითამაშებს გუნდის კაპიტანი **პატრიკ ვიეირა**. მოგეხსენებათ, **რაიმონ დომენეკს** "არსენალის" ყოფილი ნახევარმცველი მატიო ფლამინიც გამოძახებული ჰყავს. ფრანგებს იმედი აქვთ, რომ ვიეირა მომდევნო მატჩისთვის გამოჯანმრთელდება. ფეხბურთელმა კი ასეთი განცხადება გააკეთა - თუ ჩემპიონატის დაწყების დღეს შესამჩნევად უკეთ არ ვიქნები, მწვრთნელს ვთხოვ, რომ შემცვალოსო. 23-კაციან შემადგენლობაში ცვლილების შეტანის ვადა პირველ მატჩამდე 24 საათით ადრე იწურება.

კოლუმბიასთან მატჩში დომენეკმა ის 11 ფეხბურთელი გამოიყვანა, რომელსაც რუმინელთა წინააღმდეგ, სავარაუდოდ, ძირითადში დააყენებს: *კუპე, გალასი, აბიდალი, სანიოლი, ტურამი, მალუდა, მაკელელე, ტულალანი, რიბერი (76. ნასრი), ანრი (76. ანელკა), ბენზემა (67. ლასანა დიარა).* პირველი ტაიმის მიწურულს ანრის გოლის გატანაც შეეძლო. ტიერიმ ეროვნულ გუნდში სადებიუტო შეხვედრა 1997 წელს, სამხრეთი აფრიკის წინააღმდეგ ჩაატარა. მის აქტივშია სარეკორდო, 44 სანაკრებო გოლი.

# ბრიუკნერი შეუძლოდ შეიქნა

## რატომ თამაშობს ბაროში ძირითად შემადგენლობაში?


კარელ ბრიუკნერს მილან ბაროშის გამო აკრიტიკებენ

**ჩეხეთი**

სამშაბათს ჩეხების თავკაც **კარელ ბრიუკნერს** პრესკონფერენცია უნდა გაემართა. ჟურნალისტებთან შეხვედრამდე ცოტა ხნით ადრე, ვეტერანი მწვრთნელი შეუძლოდ გახდა. პრესკონფერენცია ჩაიშალა, მწვრთნელი კი საავადმყოფოში წაიყვანეს. მოგვიანებით, ნაკრების პრესმდივანმა განაცხადა, რომ ბრიუკნერი თავს კარგად გრძნობდა და მეორე დღეს ვარჯიშის ჩატარებას აპირებდა. ბრიუკნერს კონტრაქტი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ უმთავრდება. მის ადგილას, სავარაუდოდ, დღევანდელ მეორე მწვრთნელ **პეტრ რადას** დანიშნავენ. ბრიუკნერი ნაკრებში 2001 წლის დეკემბერში მივიდა. მან გუნდი 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალსა და 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიყვანა. ორი წლის წინათ გერმანიაში ჩეხებმა უსახურად იასპარეზეს და ჯგუფიდან ვერ გავიდნენ.

ჩეხი ჟურნალისტები შიშობენ, რომ გუნდს უკეთესი პერსპექტივა არც ამ ჩემპიონატზე უჩანს. მათი აზრით, **ტომაშ როსიცკის** ტრავმამ გუნდი კიდევ უფრო დაასუსტა. ჩეხების თავდასხმა კი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. კრიტიკა უმთავრესად **მილან ბაროშისკენაა** მიმართული. 2004 წლის ევროპის პირველობაზე მან ხუთი გოლი გაიტანა და ნამდვილი გმირი გახდა. მილანი ისეთი პოპულარული იყო, რომ სახლიდან ცხვირს ვერ ყოფდაო, წერს პრაღული გამოცემა "ბლესკი". ოთხი წლის შემდეგ ვითარება რადიკალურადაა შეცვლილი. მიმომხილველები სულ უფრო ხშირად სვამენ კითხვას, ხომ არ დადგა დრო, ფეხბურთელმა ძირითადი შემადგენლობიდან თადარიგში გადაინაცვლოს. მან ნაკრების მაისურით 2007 წლის მარტის შემდეგ არ გაუტანია. ბაროშს ეროვნულ გუნდში 64 მატჩი აქვს ჩატარებული. მის აქტივშია 31 გოლი. საუცხოო შედეგია, მაგრამ მისი ბოლო გოლიდან წელიწადი და სამი თვე მიიწურა.

რამდენიმე დღის წინათ ბრიუკნერმა განაცხადა, რომ ბაროშს უკან დახეულ ფორვარდად უპირებს დაყენებას. ჩეხების შეტევებს ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი **იან კოლერი** გაუძღვება. თუ მილანმა კვლავ ვერ გაამართლა, ძირითადში მოხვედრის შანსი გაუჩნდება ჩეხეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირ **ვაცლავ სვერკოშს**. ოსტრავის "ბანიკის" ფეხბურთელმა ნაკრებში სადებიუტო მატჩი გასულ სამშაბათს, ლიტველთა წინააღმდეგ ჩაატარა. მან პარასკევს, შოტლანდიის ნაკრებთან შეხვედრაშიც ითამაშა. ჩეხეთი ევროპის ჩემპიონატს შაბათს, ტურნირის თანამასპინძელ შვეიცარიასთან მატჩით გახსნიან. მომდევნო მატჩებში ჩეხები პორტუგალიასა და თურქეთს შეხვდებიან.

# ბეენჰაკერმა გუნდი ველოსიპედიდან გადმოსვა

## კათოლიკური ეკლესია ნაკრების წარმატებისათვის ილოცებს

**პოლონეთი**

პოლონეთის ნაკრები ავსტრიაში გერმანიიდან ჩავიდა. გუნდმა ევროპის ჩემპიონატისათვის მზადების დასკვნითი ეტაპი გერმანიაში გაიარა. მთელი შეკრების განმავლობაში ფეხბურთელები ერთხელაც არ მსხდარან ავტობუსში. ისინი სასტუმროდან სავარჯიშო მოედანზე და უკან ჯგუფურად, ველოსიპედებით დადიოდნენ. პოლონელებმა ველოსიპედები ავსტრიაშიც გაიყოლეს, მაგრამ იქ ფეხბურთელები ორთვალა ტრასპორტით აღარავის უნახავს. ბოლო პრესკონფერენციისას **ლეო ბეენჰაკერს** ჰკითხეს, ავტობუსში რატომ გადაჯექითო, რაზეც მწვრთნელმა მიუგო: "*მოგეხსენებათ, სასტუმრო, სადაც ჩვენ გავჩერდით, მთის წვერზე მდებარეობს. სასტუმროდან სტადიონზე ველოსიპედებით დაშვება ძალიან ადვილი და სასიამოვნოა. სასტუმროში დაბრუნება კი - არც ისე, განსაკუთრებით, ვარჯიშის შემდეგ. რა თქმა უნდა, თუ დოპინგს მივიღებთ, აღმართშიც იოლად ავალთ, მაგრამ არა მგონია, ეს კარგი აზრი იყოს.*"


ლეო ბეენჰაკერი

ამასობაში, პოლონეთის ეკლესიამ გულშემატკივრებს მოუწოდა, ეროვნული ნაკრებისათვის მხურვალედ ილოცონ. პოლონეთი ევროპის ერთ-ერთი ყველაზე რელიგიური სახელმწიფოა, კათოლიკურ ეკლესიას კი უდიდესი ავტორიტეტი აქვს. აი, ეკლესიის ოფიციალური წარმომადგენლის განცხადება: "*ფეხბურთელებს დიდად დავეხმარებით, თუ მათთვის ვილოცებთ. ჩვენმა ბიჭებმა უნდა იგრძნონ, რომ ისინი მარტონი არ არიან და პოლონეთის მთელი კათოლიკური თემი მათ გვერდითაა.*"

გულშემატკივრებს, რომლებიც ევროპის ჩემპიონატზე აპირებენ გამგზავრებას, ეკლესიამ უმორჩილესად სთხოვა, არ დაივიწყონ ათი მცნება: "*მუდამ გახსოვდეთ, რომ მეტოქის გულშემატკივარი ისეთივე ადამიანია, როგორიც ჩვენ. ჭეშმარიტი მორწმუნე თავს უფლებას არ მისცემს, სხვას რაიმე ავნოს.*" პოლონეთის ნაკრები B ჯგუფში გერმანიასთან, ავსტრიასა და ხორვატიასთან ერთად მოხვდა. ის ჩემპიონატის პირველ მატჩს 8 ივნისს, გერმანიასთან გამართავს.

# ვილია ორ მატჩს გამოტოვებს?

**ესპანეთი**

ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ესპანეთის ნაკრებს დიდი უსიამოვნება შეემთხვა. **დავიდ ვილიამ** და **სერხიო გარსიამ** ტრავმები მიიღეს. "ვალენსიისა" და "სარაგოსის" ვარსკვლავებს მუხლები აწუხებთ. განსაკუთრებით საგანგაშო ვილიას ტრავმაა. დავიდს ვარჯიშზე მეტად მტკივნეულად ჩაარტყეს და ექიმების გარემოცვაში აღმოჩნდა. "სელექსიონის" სამედიცინო შტაბის წარმომადგენლები ამ ეტაპზე დამაიმედებელ პროგნოზს ვერ აკეთებენ. ისინი არ გამორიცხავენ, რომ ვალენსიელს კონტინენტის პირველობის ორი მატჩის გამოტოვება მოუხდეს. თუ ეს ვარაუდი გამართლდება, **ლუის არაგონესი** სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოჩნდება. აი, რას ამბობს ექიმის **მანუელ დელ პონტე**: "*სამწუხაროდ, დამაიმედებელი პროგნოზის გაკეთება არ შეგვიძლია. განმეორებით შემოწმებამდე ზუსტ დიაგნოზს ვერ დავსვამდით. ვილიას კომპიუტერული გამოკვლევა ჩავუტარეთ და ძალიან შემაშფოთებელ სურათს წავაწყდით. მას მუხლში დიდი სისხლჩაქცევა აქვს. გამოცდილება მკარნახობს, რომ ამ ტრავმის მოშუშებას მინიმუმ 10 დღე დასჭირდება. გამორიცხული არ არის, სარეაბილიტაციო პერიოდი კიდევ უფრო გაიზარდოს*".


ვილიას ტრავმა. ესპანეთისთვის დიდი დანაკლისია

გასაკვირი არ არის, რომ პრესამ ვილიას უფრო მეტი ყურადღება დაუთმო, ვიდრე სერხიო გარსიას, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ "სარაგოსის" ფორვარდი ესპანეთის ეროვნული გუნდის ხელმძღვანელობას ფეხებზე ჰკიდია. რა თქმა უნდა, არაგონელსაც სრულფასოვანი სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარეს და, ფაქტობრივად, იდენტური დიაგნოზი დაუსვეს. მასაც სისხლჩაქცევა აქვს, თუმცა შედარებით ნაკლები ზომის. აღსანიშნავია, რომ ტრავმები **დავიდ სილვასა** და **ფერნანდო ტორესსაც** აწუხებთ, მაგრამ ამ შემთხვევაში, საშიში არაფერია.

ამ უსიამოვნო ინფორმაციის მიუხედავად, ესპანეთში ევროპის ჩემპიონატის დაწყებას მოუთმენლად ელიან. ამ მოუთმენლობის ერთადერთი მიზეზი გამარჯვების წყურვილია. გულშემატკივრები დარწმუნებულები არიან, რომ "სელექსიონი" სამშობლოში ჩემპიონის სტატუსით დაბრუნდება. ოპტიმიზმი ქვეყნის პრემიერ-მინისტრსაც არ აკლია. **ხოსე ლუის საპატერო** ეროვნული გუნდის ფეხბურთელებს შეხვდა და ევროპის თასის მოპოვება სთხოვა. პრემიერისა და მოთამაშეების შეხვედრას ჟურნალისტთა მთელი არმია ესწრებოდა. ბუნებრივია, საპატეროს განცხადებები ყველა გამოცემაში დაიბეჭდა:

"*ასე ოპტიმისტურად არასოდეს ვყოფილვარ განწყობილი. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ბიჭები ფინალში გავლენ და გაიმარჯვებენ. მოვიდა დრო, როცა ყველამ ერთად დიდი წარმატებით უნდა გავიხაროთ. რა თქმა უნდა, კონკურენცია ძალიან დიდი იქნება, მაგრამ მიმაჩნია, რომ საუკეთესო შემადგენლობა და ყველაზე გამოცდილი მწვრთნელი გვყავს. ჩემს საქმეებს ისე დავგეგმავ, რომ ფინალზე დასწრებაში ხელი არ შემეშალოს. ამ დიდი დღის მოლოდინით ვცხოვრობ*".

აღმოჩნდა, რომ საპატერო საფეხბურთო საკითხებში შესანიშნავადაა გარკვეული. ყოველ შემთხვევაში, "სელექსიონს" მან ზუსტი დიაგნოზი დაუსვა: "*ხშირად მსმენია, რომ ესპანეთის ეროვნულ გუნდს, ძლიერი ფეხბურთელების დეფიციტი აქვს, მაგრამ მე ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ ვეთანხმები. როგორ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ჩვენს ფეხბურთელებს კლასი აკლიათ? ეს დიდი სისულელეა, ჩემი აზრით, "სელექსიონის" მთავარი პრობლემა ფსიქოლოგიაში უნდა ვეძებოთ. ვფიქრობ, ბიჭებს საკუთარი შესაძლებლობების რწმენა აკლიათ. იმედია, ამჯერად ამ ავადმყოფობას დავძლევთ. გუნდის ბოლო შეხვედრები ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევს. მაგალითად, პერუსთან მატჩი ავიღოთ. მიუხედავად იმისა, რომ დაცვაში გარკვეული პრობლემები გვქონდა, მაინც ძალიან კმაყოფილი დავრჩი. ფეხბურთელებს ერთი წამითაც არ შეპარვიათ ეჭვი, რომ გაიმარჯვებდნენ. სიამაყით შემიძლია განვაცხადო, რომ "სელექსიონი" ევროპაში ყველაზე გააზრებულ და კომბინაციურ ფეხბურთს თამაშობს. როცა ფეხბურთელი ბურთს მიიღებს, ის აზროვნებს და ბურთს უაზროდ არ იშორებს. პირიქით, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ შეტევას საუკეთესო გაგრძელება მოუნახოს*".

შემდეგ, სენიორ საპატერომ საზოგადოებას საყვარელი ფეხბურთელების ვინაობა გაუმხილა. როგორც მოსალოდნელი იყო, ბატონი პრემიერი ყველაზე მეტად ბარსელონელებს აფასებს, კონკრეტულად კი **ჩავისა** და **ინიესტას**: "*რადგან თავს არ მანებებთ, გეტყვით, რომ პირადად მე ყველაზე მეტად ჩავისა და ინიესტას თამაში მომწონს. ისინი შემოქმედებითი ფეხბურთელები არიან. ბურთს არაჩვეულებრივად აკონტროლებენ, თამაშს შესანიშნავად კითხულობენ და შეუპოვრად იბრძვიან. მჯერა, ანდრესი და ჩავი ესპანეთს უდიდეს წარმატებებს მოუტანენ*".

საპატეროს კონკურენტების შესახებაც ჰკითხეს. პრემიერს ორიგინალური პასუხი არ გაუცია: "*ჩვენი კონკურენტები, რა თქმა უნდა, იტალია, საფრანგეთი, გერმანია და პორტუგალია იქნებიან. მიხარია, რომ საფრანგეთი და იტალია ურთულეს ჯგუფში მოხვდნენ. შესაძლოა, ერთ-ერთი მათგანი პლეი ოფში ვერ გავიდეს, ან თუ გავა, არაქათგამოცლილები იქნებიან. შესაძლოა, ვინმემ მიკერძოებაში დამდოს ბრალი, მაგრამ გარწმუნებთ, გულწრფელად ვლაპარაკობ. გული მიგრძნობს, რომ წელს მოჯადოებულ წრეს გავარღვევთ და ნანატრი გამარჯვებით გავიხარებთ*".

მერე ჟურნალისტებმა ფეხბურთელებისთვის მოიცალეს. აღსანიშნავია, რომ ოპტიმიზმი არავის აკლია, თუმცა პროფესიული პრინციპებიდან გამომდინარე, საპატეროს მსგავს ოპტიმისტურ პროგნოზს არ აკეთებენ. ყველაზე თამამი განცხადება ტორესმა შემოგვთავაზა. მისი თქმით, შესაძლებლობების მაქსიმუმის გამომჟღავნების შემთხვევაში, "სელექსიონი" ფინალში გავა.

ბოლოს, "დიარიო მარკას" კორესპონდენტი არაგონესსაც გაესაუბრა. მთავარმა მწვრთნელმა პროგნოზებზე საუბარი არ ისურვა. პრემიერ-მინისტრს მან კეთილი სურვილებისთვის დიდი მადლობა გადაუხადა, თუმცა იქვე დასძინა, რომ შორსმიმავალ გეგმებზე საუბარს პერუსთან მატჩში გამოაშკარავებული პრობლემების აღმოფხვრაზე მუშაობა ურჩევნია. მხცოვანი სპეციალისტის აზრით, დაცვის ხაზში გარკვეული ცვლილებებია საჭირო. ეს არა იმდენად კადრებს, რამდენადაც ტაქტიკას ეხება.

**ილია ნიკოლაიშვილი**

### პოლიციამ რეპეტიცია გაიარა

ჟენევის პოლიციამ გენერალური რეპეტიცია გაიარა. სამართალდამცველები ორ ბანაკად გაიყვნენ. ერთნი ვითომ მოჯანყე გულშემატკივრები იყვნენ, მეორენი კი ისინი, ვისაც მათი გაკონტროლება ევალება. ჟენევის პოლიციის ხელმძღვანელობა რეპეტიციით კმაყოფილი დარჩა. მაღალჩინოსანმა პოლიციელებმა იქვე აღნიშნეს, გართულებებს არ ველოდებით, იმედია, ჩვენი ოსტატობის გამოყენება არ მოგვიწევსო.

7-დან 15 მაისამდე ჟენევაში ევროპის ჩემპიონატის სამი შეხვედრა გაიმართება. ამ ქალაქში ჩეხეთის, პორტუგალიისა და თურქეთის ნაკრებები ითამაშებენ. ამავე ქალაქის მთავარ მოედანზე დაგეგმილია ორი გიგანტური ეკრანის დამონტაჟება. ორგანიზატორები მათ წინ 60 ათასამდე გულშემატკივრის თავმოყრას ელოდებიან. პოლიციას სწორედ ასეთ დროს მოუწევს ყურადღებით ყოფნა.

ორ დღეში, შვეიცარიაში 750 ფრანგი სპეცრაზმელი ჩავა. ისინი შვეიცარიის შინაგან საქმეთა მინისტრს დაემორჩილებიან და მეზობელ კოლეგებს გართულებების თავიდან აცილებაში დაეხმარებიან. ჟენევაში ბოლო ამბოხება 2003 წელს მოხდა. მეზობელი საფრანგეთის პატარა ქალაქ ევიანში დიდი რვეიანის სამიტი მიმდინარეობდა. იქიდან გამოძევებულმა სოციალისტებმა ჟენევაში გადაწყვიტეს თავიანთი პროტესტის გამოხატვა და ქალაქის პოლიციას გვარიანი თავსატეხი გაუჩინეს. მაშინ წესრიგის აღსადგენად გერმანული სპეცრაზმის გამოძახება გახდა საჭირო.

ხვალ ჟენევის მთავარ მოედანზე **იანიკ ნოას** უფასო კონცერტი გაიმართება. ნოა ყოფილი ჩოგბურთელია. დღეს ის საფრანგეთის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული შემსრულებელი გახლავთ. ამიტომ მის კონცერტზე ათასობით მსმენელს ელოდებიან.

### ყველა დოპინგტესტი უარყოფითია

უეფა სიამოვნებით იუწყება, რომ ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ჩატარებულმა ყველა დოპინგტესტმა უარყოფითი პასუხი აჩვენა. შემთხვევითი შერჩევის წესით, ყველა ნაკრებში ათ-ათი ფეხბურთელი შემოწმდა. თითოეული მატჩის შემდეგ, ანალოგიური წესით ორივე გუნდის ორ-ორ ფეხბურთელს შეამოწმებენ. ტურნირზე გამგზავრების წინ თექვსმეტივე ფინალისტმა ხელი მოაწერა უეფას საგანგებო ანტისადოპინგო ქარტიას. ნაკრებები ფეხბურთელთა სისუფთავეს საკუთარი ძალებითაც დაუღალავად ამოწმებენ. დოპინგტესტზე ჩავარდნილ სპორტსმენს მინიმუმ ორწლიანი დისკვალიფიკაცია ელოდება. უმკაცრესი სასჯელი არ ასცდება ეროვნულ გუნდსაც, რომლის მოთამაშე უკანონო ქმედებაში იქნება მხილებული.

### პორტუ ჩემპიონთა ლიგიდან გააძევეს

როგორც მოსალოდნელი იყო, უეფამ "პორტუს" ჩემპიონთა ლიგაში თამაში აუკრძალა. საუბარია მომავალ, 2008/09 წლების სეზონზე. ევროფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ ესოდენ მკაცრი ვერდიქტი პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის მიერ გასულ თვეში მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე გამოიტანა. მოგეხსენებათ, ჩემპიონთა ლიგის ყოფილ გამარჯვებულს (2003/04), იმავე სეზონში, შინაურ პირველობაზე მსაჯების მოქრთამვაში ედება ბრალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი. ევრო 2008. მონაწილეების წარდგენა




# C ჯგუფი

## საფრანგეთი, რუმინეთი, იტალია, ჰოლანდია

# სიკვდილის ჯგუფი

C ჯგუფში მოხვედრილი გუნდების მწვრთნელები, წილისყრის დასრულების შემდეგ იმ მოკრივეებს ჰგავდნენ, რომლებსაც რინგზე მოწინაამდეგისგან ძლიერი დარტყმა გაეპარებათ ხოლმე. განსაკუთრებით საინტერესო სანახავი **რაიმონ დომენეკი** იყო - საფრანგეთი პირველი ამოილეს და მწვრთნელი მეტოქეებს ელოდა...

მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონების დამრიგებელი აშკარად უკმაყოფილო ჩანდა, მაგრამ სხვას რას უნდა ელოდო ადამიანისგან, რომელსაც უთხრეს, ჯერ ჰოლანდიასთან უნდა ითამაშოო, შემდეგ რუმინეთთან და ბოლოს იტალიასთანო? მხიარულობის საბაბი ნამდვილად არ იყო და ყველანი დანაღვლიანებულნი იყვნენ - **მარკო ვან ბასტენი, რობერტო დონადონი** და **ვიქტორ პიცურკა**. ნებისმიერ ტურნირზე გვხვდება "სიკვდილის ჯგუფი" და ამ შემთხვევაში, ის შეადგინეს წყვილმა ნაკრებებმა, რომლებიც უკვე ხვდებოდნენ ერთმანეთს შესარჩევ ტურნირში: იტალია საფრანგეთს და ჰოლანდია - რუმინეთს.

დომენეკმა დაიჩივლა - ამ გუნდებთან უფრო შორეულ ეტაპზე ვისურვებდი შეხვედრასო; დონადონი ამბობდა, რომ მის გუნდს არც შესარჩევი და არც ფინალური ტურნირის წილისყრისას გაუმართლა. უფრო ბუნდოვანი ჩანდა ვან ბასტენის კომენტარები - ჰოლანდიელი იტალიას და საფრანგეთს აქებდა და ამბობდა - წინ ბევრი სამუშაო გვაქვსო.

და მხოლოდ ვიქტორ პიცურკამ მოახერხა საკუთარი თავის გამხიარულება: *"ძალიან სასიამოვნო და იოლი ჯგუფია, სადაც მოხვდნენ მსოფლიო ჩემპიონი, ვიცე-ჩემპიონი და ჰოლანდია, რომელსაც ჩვენ კარგად ვიცნობთ. იმედი მაქვს, ჩემი გუნდი ბევრ უნიკალურ შთაბეჭდილებებს მიიღებს"*.

აქვე უნდა დავამატოთ, რომ ამ ჯგუფის ბინადრებს შორის პრინციპული დაპირისპირება არსებობს. მაგალითად, იტალია-საფრანგეთი. ეს გუნდები ადრეც დიდად არ წყალობდნენ ერთმანეთს, **მატერაცისა** და **ზიდანის** ცნობილი შეტაკებისა და ევრო 2008-ის შესარჩევ ტურნირში ფრანგების გამარჯვების შემდეგ კი, ისინი საბოლოოდ გადაეკიდნენ ერთმანეთს. სხვათა შორის, თუ არ ჩავთვლით პენალტების სერიით წაგებას, ფრანგები "სკუადრა აძურასთან" 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ არ დამარცხებულან.

## საფრანგეთი




| № | ფეხბურთელი | ა | დ.თ. | სმ | წონ | თამ | გოლ | კლუბი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სტივ მანდანდა | მეკ | 28.03.85 | 185 | 82 | 1 | - | მარსელი |
| 2 | ჟან-ალენ ბუმსონგი | მცვ | 14.12.79 | 190 | 88 | 23 | 1 | ლიონი |
| 3 | ერიკ აბიდალი | მცვ | 11.07.79 | 180 | 75 | 34 | - | ბარსელონა (ესპ) |
| 4 | პატრიკ ვიეირა | ნახ | 23.06.76 | 191 | 83 | 105 | 6 | ინტერი (იტა) |
| 5 | ვილიამ გალასი | მცვ | 17.08.77 | 181 | 72 | 61 | 2 | არსენალი (ინგ) |
| 6 | კლოდ მაკელელე | ნახ | 18.02.73 | 174 | 70 | 67 | - | ჩელსი (ინგ) |
| 7 | ფლორან მალუდა | ნახ | 13.06.80 | 181 | 73 | 38 | 3 | ჩელსი (ინგ) |
| 8 | ნიკოლა ანელკა | თავ | 14.03.79 | 184 | 77 | 47 | 11 | ჩელსი (ინგ) |
| 9 | კარიმ ბენზემა | თავ | 19.12.87 | 183 | 73 | 10 | 3 | ლიონი |
| 10 | სიდნი გოვუ | თავ | 24.07.79 | 175 | 72 | 32 | 7 | ლიონი |
| 11 | სამირ ნასრი | ნახ | 20.06.87 | 178 | 75 | 9 | 2 | მარსელი |
| 12 | ტიერი ანრი | თავ | 17.08.77 | 188 | 83 | 99 | 44 | ბარსელონა (ესპ) |
| 13 | პატრის ევრა | მცვ | 15.05.81 | 175 | 76 | 11 | - | მანჩესტერ იუნ (ინგ) |
| 14 | ფრანსუა კლერი | მცვ | 18.04.83 | 187 | 77 | 12 | - | ლიონი |
| 15 | ლილიან ტიურამი | მცვ | 01.01.72 | 182 | 70 | 139 | 2 | ბარსელონა (ესპ) |
| 16 | სებასტიან ფრეი | მეკ | 18.03.80 | 189 | 85 | 2 | - | ფიორენტინა (იტა) |
| 17 | სებასტიან სკილაჩი | მცვ | 11.08.80 | 183 | 79 | 13 | - | ლიონი |
| 18 | ბაფეტიმბი გომისი | თავ | 06.08.85 | 184 | 77 | 2 | 2 | სენტ ეტიენი |
| 19 | ვილი სანიოლი | მცვ | 18.03.77 | 180 | 79 | 55 | - | ბაიერნი (გერ) |
| 20 | ჟერემი ტულალანი | ნახ | 10.09.83 | 183 | 77 | 12 | - | ლიონი |
| 21 | ლასინა დიარა | ნახ | 10.03.85 | 173 | 67 | 12 | - | პორტსმუთი (ინგ) |
| 22 | ფრანკ რიბერი | ნახ | 01.04.83 | 170 | 62 | 26 | 3 | ბაიერნი (გერ) |
| 23 | გრეგორი კუპე | მეკ | 31.12.72 | 181 | 80 | 30 | - | ლიონი |

### ზიზუს გარეშე

ზინედინ ზიდანის დიდი ფეხბურთიდან წასვლამ ბევრი ჩააფიქრა საფრანგეთის ნაკრების მომავალზე. გაიხსენეს 50-60-იანი წლების დიადი ბომბარდირები, **რაიმონ კოპა** და **ჟიუსტ ფონტენი**, რომელთა წასვლის შემდეგაც, საფრანგეთის ნაკრებს ხანგრძლივი ჩავარდნა ჰქონდა საერთაშორისო არენაზე. პარალელები იქნა გავლებული **მიშელ პლატინის** ეპოქასთანაც, რომლის დასრულების შემდეგ, "მამლები" ასევე კარგა ხანი ვერ ახერხებდნენ უმაღლეს დონეზე დაბრუნებას - იქამდე, სანამ ასპარეზზე ზიზუ არ გამოჩნდა.

საფრანგეთის ნაკრების ა მჟამინდელი მწვრთნელი რაიმონ დომენეკი ფეხბურთელობისას ძალიან უხეში, აგრესიული და ბრაზიანი მოთამაშე იყო. თურმე მატჩის წინ, ის სპეციალურად მეტოქე გუნდის გულშემატკივრების სექტორთან ახლოს ხურდებოდა, დასცინოდა და აღიზიანებდა მათ, რათა სამაგიეროდ მათგან ზიზღი ეგრძნო. აი, ასე იქმნიდა სამატჩო განწყობას მუსიე დომენეკი. მისთვის, რაც უფრო უარესია - მით უფრო კარგია. რაც უფრო მეტი უსიამოვნებაა მის თავს, მით უფრო წარმატებით უმკლავდება პრობლემებს.

მუნდიალის ფინალიდან გამოყოლილი წყენის ხარჯზე, საფრანგეთის ნაკრებმა ევრო 2008-ის კვალიფიკაციის სტარტზე სიამოვნებით გაიარა იტალიელთა თავზე - 3:1. მხოლოდ ბრმა ვერ შეამჩნევდა იმ დღეს მსოფლიო ჩემპიონების სრულ უსუსურობას. თუმცა საფრანგეთის ნაკრებისთვის და მისი მწვრთნელისთვის დამახასიათებელმა ყოყოჩობამ ამ გუნდს ორჯერ ცუდი სამსახური გაუწია. ფრანგებმა მოახერხეს და ორჯერ, ერთნაირი ანგარიშით (0:1) წააგეს შოტლანდიის ნაკრებთან.

სწორედ ეს დამარცხებები გახდა იმის მიზეზი, რომ წინ დამაჯერებელი ნაბიჯებით მიმავალმა საფრანგეთმა პირველი ადგილი იტალიას დაუთმო და ფინიშისკენ ისეთი სიტუაციაც კი შეიქმნა, რომ "მამლები" შეიძლებოდა საერთოდ ვერ გასულიყვნენ ევროპის ჩემპიონატზე. მაგრამ შოტლანდიამ შანსი ვერ გამოიყენა და **ტიერი ანრიმ** და კომპანიამ ინგლისის ნაკრების ბედი არ გაიზიარა. ამასთან, ანრიმ საფრანგეთის ნაკრების ყველა დროის ბომბარდირის ტიტული მიშელ პლატინის ჩამოართვა, როცა ლიტვასთან ორი ბურთი გაიტანა და მეორე გოლი 42-ე აღმოჩნდა ამ ფორვარდისთვის.

ნიშანდობლივია ისიც, რომ დომენეკმა, რომელსაც 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ვეტერანების ჭკუაზე სიარულს აბრალებდნენ, შესარჩევის მსვლელობისას ეს ვარაუდები სრულად გააქარწყლა. პირველი მერცხალი გახდა **დავიდ ტრეზეგე** - ფორვარდი, რომელმაც მუნდიალის ფინალში გადამწყვეტი პენალტი ვერ გაიტანა. "იუვენტუსის" ფორვარდს ნაკრებში აღარ იძახებდნენ და ამას მისი ცუდი სათამაშო ფორმითა და არაელიტურ დივიზიონში ("იუვენტუსი" შარშანწინ სერია B-ში თამაშობდა) გამოსვლით ხსნიდნენ. როდესაც "იუვე" სერია A-ში დაბრუნდა, ფრანგი საკმაოდ ბევრს იტანდა, მაგრამ დომენეკმა ის მხოლოდ ერთხელ გამოიძახა ნაკრებში, საბოლოო განაცხადში შეყვანა კი მაინც არ აღირსა.

ასეთი დონის ფორვარდის მოშორებას მწვრთნელს არ აპატიებდნენ, დომენეკს ტურინელისთვის ღირსეული შემცვლელი რომ არ მოეძებნა. ფრანგების დამრიგებელმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ შესანიშნავად იცნობს იუნიორთა ფეხბურთს. ჯერ კიდევ 2007 წლის მარტში, მან ნაკრებში გამოუძახა 20 წლის ტალანტებს - ნახევარმცველ **სამირ ნასრისა** და ფორვარდ **კარიმ ბენზემას**. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი საფრანგეთის წლევანდელი ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი გახდა.

მწვრთნელმა სხვა ახალგაზრდა შემსრულებლებიც მოიზიდა, რომლებიც ნელნელა ავიწროებენ ძირითად შემადგენლობაში დამსახურებულ ვეტერანებს. ნაკრებს დაუბრუნდა უძღები შვილი - **ნიკოლა ანელკა**. განაცხადში მოხვდა "სენტ ეტიენის" ნაკლებად ცნობილი ფორვარდი **ბაფეტიმბი გომისი**, რომელმაც ამ სეზონში 16 გოლი გაიტანა. ფრანგებს დანაკლისიც აქვთ - ნახევარმცველი **აბუ დიაბი** ("არსენალი"), მცველი **ჟულიენ ესკუდე** ("სევილია"), თუმცა მათი არყოფნა გუნდს დიდად არ უნდა დაეტყოს.

სავარაუდოდ, წლევანდელი ჩემპიონატი უკანასკნელი იქნება მთელი რიგი ვეტერანებისთვის (**კუპე, სანიოლი, ტიურამი, მაკელელე, ვიეირა**, ანრი), რომლებიც მაჟორულ ნოტაში შეეცდებიან ნაკრებთან გამოთხოვებას, მით უმეტეს, რომ ევროპის ბოლო ჩემპიონატზე ფრანგებმა ფიასკო განიცადეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ამჯერად მათგან წარმატებას ელიან...

## რუმინეთი

| № | ფეხბურთელი | ა | დ.თ. | სმ | წონ | თამ | გოლ | კლუბი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბოგდან ლობონტი | მეკ | 18.01.78 | 184 | 7 | 62 | - | დინამო |
| 2 | კოზმინ კონტრა | მცვ | 15.12.75 | 179 | 74 | 61 | 7 | ხეტაფე (ესპ) |
| 3 | რაჟვან რატი | მცვ | 26.05.81 | 178 | 72 | 46 | 1 | შახტარი (უკრ) |
| 4 | გაბრიელ ტამაში | მცვ | 09.11.83 | 188 | 77 | 30 | 2 | ოსერი (საფ) |
| 5 | კრისტიან კივუ | მცვ | 26.10.80 | 183 | 77 | 57 | 3 | ინტერი (იტა) |
| 6 | მატეი რადოი | ნახ | 23.03.81 | 177 | 77 | 41 | 1 | სტიაუა |
| 7 | ფლორენტინ პეტრე | ნახ | 15.01.76 | 167 | 61 | 48 | 5 | ცსკა (ბულ) |
| 8 | პოლ კოდრეა | ნახ | 04.04.81 | 174 | 69 | 32 | 1 | სიენა (იტა) |
| 9 | ჩიპრიან მარიკა | თავ | 02.10.85 | 182 | 72 | 22 | 7 | შტუტგარტი (გერ) |
| 10 | ადრიან მუტუ | თავ | 08.01.79 | 180 | 74 | 59 | 27 | ფიორენტინა (იტა) |
| 11 | რავჟან კოშიჩი | ნახ | 19.02.81 | 181 | 74 | 20 | 1 | ლოკომოტივი (რუს) |
| 12 | მარიუშ პოპა | მეკ | 31.07.78 | 182 | 79 | - | - | პოლიტეხნიკა |
| 13 | იონუტ საპურანუ | მცვ | 05.04.84 | 187 | 81 | - | - | რაპიდი |
| 14 | სორინ გიონეა | მცვ | 11.05.79 | 187 | 82 | - | - | სტიაუა |
| 15 | დორინ გოიანი | მცვ | 12.12.80 | 194 | 83 | 18 | 3 | სტიაუა |
| 16 | ბანელ ნიკოლიტა | ნახ | 07.01.85 | 178 | 71 | 18 | 1 | სტიაუა |
| 17 | კოზმინ მოტი | მცვ | 03.12.84 | 183 | 74 | 1 | - | დინამო |
| 18 | მარიუშ ნიკულაე | თავ | 16.05.81 | 188 | 84 | 29 | 13 | ინვერნესი (შოტ) |
| 19 | ადრიან კრისტეა | ნახ | 30.11.83 | 179 | 73 | 5 | - | დინამო |
| 20 | ნიკოლაე დიკა | ნახ | 09.05.80 | 181 | 73 | 24 | 6 | სტიაუა |
| 21 | დანიელ ნიკულაე | თავ | 06.10.82 | 185 | 76 | 22 | 4 | ოსერი (საფ) |
| 22 | სტეფან რადუ | მცვ | 22.10.86 | 183 | 79 | 6 | - | ლაციო (იტა) |
| 23 | ედუარდ სტანჩოიუ | მეკ | 03.03.81 | 183 | 75 | - | 1 | კლუჟი |

### იმედიანი პიცურკა

ამ ჯგუფში ვიქტორ პიცურკას გუნდს აუტსაიდერის სტატუსი აქვს მინიჭებული. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ რუმინეთის ნაკრებს, რომელსაც 90-იან წლებში ბევრი უფრთხოდა (სხვანაირად ვერ იქნებოდა, რადგან იმ გუნდში ბრწყინავდნენ **გეორგე ჰაჯი, ფლორინ რადუჩოიუ, ვიორელ მოლდოვანი, დორინელ მუნტეანუ, გეორგე პოპესკუ, დან პეტრესკუ, ადრიან ილიე** და სხვები), დღეს ცოტა ვინმე ილებს სათვალავში.

ამაში დამნაშავეები თავად რუმინელები არიან, რომლებმაც ევრო 2000-ის წინ, მინი-აჯანყება მოაწყვეს და მოიშორეს მწვრთნელი (ვიქტორ პიცურკა), რომელმაც გუნდი ფინალურ ეტაპზე გაიყვანა. მაშინ ნაკრების ვეტერანებმა **ემერიხ ენეის** ხელმძღვანელობით მუშაობა მოისურვეს, მაგრამ ცნობილმა სპეციალისტმა (1986 წელს "სტიაუას" ჩემპიონთა თასი მოაგებინა) კონტინენტის პირველობის დასრულებისთანავე მიატოვა ნაკრები. ამის შემდეგ, რუმინელთა გუნდში სამწვრთნელო ქაოსმა დაისადგურა. **ლასლო ბოლონიმ** 2001 წლამდე იმუშავა და ნაკრები ლისაბონის "სპორტინგში" გაცვალა. მისმა შემცვლელმა ჰაჯიმ, 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ბოლო ნაწილი ჩააგდო და ისიც მალე წავიდა. ამის შემდეგ, გუნდი ჩაიბარა რუმინული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთმა საუკეთესო მწვრთნელმა - **ანგელ იორდანესკუმ**, მაგრამ მან გუნდი ევრო 2004-ზე ვერ გაიყვანა და ცუდად დაიწყო 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი.

ვინ იცის, რამდენი ხანი გაგრძელდებოდა ეს ტანჯვა-წამება, ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელობას კვლავ პიცურკასთვის რომ არ მიემართა. "სტიაუას" ისტორიაში ერთ-ერთმა საუკეთესო ბომბარდირმა, მაგრამ ნაკრებში დაუფასებელმა ფეხბურთელმა სწრაფად დაამყარა წესრიგი და წარმატებასაც მიაღწია. თუმცა რუმინელებს საკვალიფიკაციოში სტარტი, მაინცდამაინც, არ გამოუვიდათ - შინ ფრე ბულგარეთთან, რასაც ზედიზედ ექვსი გამარჯვება მოჰყვა, მათ შორის ჰოლანდიასთან - 1:0.

დღეს, რუმინეთი კვლავ მაღალ ადგილს იკავებს ფიფას რეიტინგში. ამ გუნდის ძალა საკუთარ თავზე გამოსცადა ჰოლანდიელმა **გუუს ჰიდინკმა**, რომლის რუსეთის ნაკრებმაც ამხანაგურ მატჩში 0:3 წააგო, თანაც ისე, რომ თავად რუსებმა აღიარეს - მეტოქემ არანაირი შანსი არ დაგვიტოვაო. სავარაუდოდ, იტალიელები და ფრანგები გადახედავენ თავიანთ დამოკიდებულებას ამ გუნდის მიმართ, ჰოლანდიელებმა კი ისედაც კარგად იციან, ვისთან აქვთ საქმე.

პიცურკამ კარგი სასელექციო სამუშაო ჩაატარა და თავისი წინამორბედებისგან განსხვავებით, მკაფიოდ განსაზღვრა იმ ფეხბურთელთა წრე, რომელიც წარმატებული გამოსვლისთვის იქნება საჭირო. ხუთ მოთამაშეს - **კრისტიან კივუს, ბოგდან ლობონტს, ადრიან მუტუს, ფლორენტინ პეტრესა** და **კოზმინ კონტრას** ის ევრო 2000-ის საკვალიფიკაციოდან იცნობს. ამ "ძველებს" კი, ახალბედა ფეხბურთელების მთელი ჯგუფი დაუმატა. მათ შორის უნდა გამოვყოთ **მარიუშ პოპა, დორინ გოანი, სტეფან რადუ, ბანელ ნიკოლიტა, რაჟვან კოშიჩი**... გარდა ამისა, პიცურკამ ნაკრებში დააბრუნა ფორვარდი **მარიუშ ნიკულაე**.

## ჰოლანდია



| № | ფეხბურთელი | ა | დ.თ. | სმ | წონ | თამ | გოლ | კლუბი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ედვინ ვან დერ სარი | მეკ | 29.10.70 | 197 | 84 | 123 | - | მანჩესტერ იუნ (ინგ) |
| 2 | ანდრე ოოიერი | მცვ | 11.07.74 | 184 | 80 | 33 | 2 | ბლექბერნი (ინგ) |
| 3 | ჯონი ჰეიტინგა | მცვ | 15.11.83 | 180 | 72 | 32 | 4 | აიაქსი |
| 4 | იორის მატიისენი | მცვ | 05.04.80 | 182 | 72 | 28 | 2 | ჰამბურგი (გერ) |
| 5 | ჯოვან ვან ბრონკჰორსტი | მცვ | 05.02.75 | 178 | 76 | 74 | 4 | ფეიენოორდი |
| 6 | დემი დე ზეუვი | ნახ | 26.05.83 | 174 | 71 | 12 | - | ალკმაარი |
| 7 | რობინ ვან პერსი | თავ | 06.08.83 | 183 | 71 | 23 | 7 | არსენალი (ინგ) |
| 8 | ორლანდო ენგელაარი | ნახ | 24.08.79 | 196 | 92 | 3 | - | ტვენტე |
| 9 | რუუდ ვან ნისტელროი | თავ | 10.07.95 | 188 | 80 | 59 | 30 | რეალი (ესპ) |
| 10 | ვესლი სნეიდერი | ნახ | 09.06.84 | 170 | 67 | 42 | 8 | რეალი (ესპ) |
| 11 | არიენ რობენი | თავ | 23.01.84 | 180 | 75 | 31 | 8 | რეალი (ესპ) |
| 12 | მარიო მელხიოტი | მცვ | 04.11.76 | 187 | 74 | 20 | - | ვიგანი (ინგ) |
| 13 | ჰენკ ტიმერი | მეკ | 03.12.71 | 182 | 82 | 4 | - | ფეიენოორდი |
| 14 | ვილფრედ ბუმა | მცვ | 15.06.78 | 180 | 82 | 31 | 2 | ასტონ ვილა (ინგ) |
| 15 | ტიმ დე კლერი | მცვ | 08.11.78 | 183 | 70 | 12 | - | ფეიენორდი |
| 16 | მაარტენ სტეკელენბურგი | მეკ | 22.09.82 | 194 | 84 | 10 | - | აიაქსი |
| 17 | ნაიჯელ დე იონგი | ნახ | 30.11.84 | 174 | 72 | 20 | - | ჰამბურგი (გერ) |
| 18 | დირკ კუიტი | თავ | 02.05.80 | 184 | 77 | 35 | 6 | ლივერპული (ინგ) |
| 19 | კლაას იან ჰუნტელაარი | თავ | 21.02.84 | 186 | 78 | 10 | 4 | აიაქსი |
| 20 | იბრაჰიმ აფელეი | ნახ | 02.04.86 | 180 | 68 | 2 | - | ეინდჰოვენი |
| 21 | ხალედ ბულარუზი | მცვ | 28.12.81 | 176 | 74 | 21 | - | სევილია (ესპ) |
| 22 | იან ვენეგოორ ოფ ჰესელინკი | თავ | 02.03.82 | 191 | 92 | 13 | 2 | სელტიკი (შოტ) |
| 23 | რაფაელ ვან დერ ვაარტი | თავ | 11.02.83 | 175 | 70 | 51 | 10 | ჰამბურგი (გერ) |

### ვან ბასტენი და ექვსი ფორვარდი

დონადონისგან განსხვავებით, რომელმაც ნაკრებში მუშაობის გაგრძელება მოისურვა, მარკო ვან ბასტენმა ერთი წლით ადრე გამოაცხადა, რომ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ დატოვებდა "ნარინჯისფერთა" მთავარი მწვრთნელის პოსტს. ბუნებრივია, ახალგაზრდა სპეციალისტი შეეცდება დიდების ზენიტში გამოეთხოვოს ნაკრებს, მაგრამ ამ სიტუაციაში ბევრი რამ არა მასზე, არამედ ფეხბურთელებზე იქნება დამოკიდებული. მათ შორის კი, ბევრი არ არის მწვრთნელის მხარეს. ავილოთ მაგალითად, **კლარენს ზეედორფი**, რომელმაც უარი განაცხადა საწვრთნელ ბანაკში გამოცხადებაზე. მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის ურთიერთობა მაშინ დაიძაბა, როცა ნაკრებში მისვლისთანავე ვან ბასტენმა სხვა შემსრულებლებზე გააკეთა აქცენტი. ზეედორფმა, რომელიც "ნარინჯისფერებს" 2006 წლის ნოემბერში დაუბრუნდა, ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტში საპასუხო სვლა გააკეთა, რითაც ძალიან გაანაწყენა ნაკრების მესაჭე, მაგრამ მარკოს სხვა გზა არ ჰქონდა და ფეხბურთელის ეს პოზიცია უნდა მიეღო. შურისძიება შედგა.

შესარჩევი ტურნირის მსვლელობისას, სადაც ჰოლანდიელებს პრაქტიკულად, არანაირი პრობლემა არ შექმნიათ, ვან ბასტენი აქტიურად იწვევდა თავის გუნდში ახალგაზრდა ფეხბურთელებს. სხვათა შორის, "ნარინჯისფერებს" კარგი თაობა ეზრდება - 23-წლამდელთა ნაკრებმა ზედიზედ ორჯერ - 2006 და 2007 წლებში ევროპის ჩემპიონატის მოგება შეძლო. თუმცა 23-კაციანი განაცხადის შედგენისას, ამ ახალგაზრდა ფეხბურთელებიდან ბევრმა ვერ გაუძლო მკაცრ კონკურენციას. მაგალითად, მცველი **ურბი ემანუელსონი** ("აიაქსი") და ნახევარმცველი **ედვიჯეს მადურო** ("ვალენსია") ბოლო მომენტში გამოაკლდნენ საწვრთნელ ბანაკს.

მეორეს მხრივ, ვან ბასტენი მხოლოდ ახალგაზრდა ფეხბურთელებზე არ ყოფილა ორიენტირებული და ხანდახან, სრულიად მოულოდნელ სვლებს აკეთებდა. მან ნაკრებში მიიწვია ასაკოვანი **დენი ლანდზაატი** და **ორლანდო ენგელაარი**, ხოლო გაფართოებული შემადგენლობის დასახელებამდე, შეკრებაზე მიიწვია 37 წლის მეკარე **სანდერ ბოშკერი**, მოკრძალებული "ტვენტედან". საბოლოოდ, ამ სამეულიდან ავსტრია/შვეიცარიაში გამგზავრების უფლება მხოლოდ ენგელაარმა მიიღო.

ჰოლანდიის ნაკრების მთავარ მწვრთნელს ყველაზე რთული არჩევანის გაკეთება შეტევით ხაზში მოუწევს, ვინაიდან საბოლოო განაცხადში, ერთმანეთისგან განსხვავებული შვიდი ფორვარდი მოხვდა: ცენტრალური თავდამსხმელები - **რუუდ ვან ნისტელროი, კლას-იან ჰუნტელაარი, იან ვენეგოორ ოფ ჰესელინკი** და ოთხი გარემარბი - **დირკ კუიტი, რობინ ვან პერსი, არიენ რობენი** და **რაიან ბაბელი**. თუმცა ცოტა ხნის წინათ, შვიდეული ექვსეულად გადაკეთდა, ვინაიდან ტრავმა მიიღო ბაბელმა და მის ნაცვლად ნაკრებში მცველი **ბულარუზი** მიიწვიეს.

სხვათა შორის, სწორედ თავდამსხმელებთან დაკავშირებული გაუგებრობები იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც ჰოლანდიის ნაკრები ნაადრევად გამოეთიშა 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატს. მაშინ მწვრთნელებმა ვერაფრით მონახეს ფორვარდების ოპტიმალური ტრიო. და თუ წელსაც იგივე განმეორდება, სერიოზულად დასაფიქრებელი გახდება მარკოს სამწვრთნელო შესაძლებლობები.

## იტალია

### 40 წელი ტიტულის გარეშე

მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა კვალიფიკაციის სტარტზე გვარიანად ანერვიულა საკუთარი გულშემატკივარი. იტალიელები ისედაც შეშფოთებით შეხვდნენ "სკუადრა აძურას" მთავარი მწვრთნელის პოსტზე ახალგაზრდა **რობერტო დონადონის** დანიშვნას, რომელმაც 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ტრიუმფატორი **მარჩელო ლიპი** შეცვალა, ხოლო ახალი მწვრთნელის პირველმა შედეგებმა ეს პესიმიზმი კიდევ უფრო გაამძაფრა: შინ ლიტვასთან ნათამაშები ფრესა (1:1) და სტუმრად საფრანგეთთან წაგების (1:3) შემდეგ, იტალიელთა აქტივში მხოლოდ ერთი ქულა იყო.

ალბათ, არ ღირს დეტალებში იმის მოყოლა, რა ხდებოდა ამ დროს იტალიაში, რა ულტიმატუმებს აყენებდნენ გულშემატკივრები და ჟურნალისტები. მაგრამ ის მარცხი საფრანგეთის ნაკრებთან შესარჩევის ბოლომდე ერთადერთი აღმოჩნდა: მომდევნო 10 შეხვედრიდან იტალიის ნაკრებმა ცხრა მოიგო (ერთი ფრე საფრანგეთთან - 0:0) და დამაჯერებლად დაიკავა პირველი ადგილი. თუმცა დონადონიმ საზოგადოების თვალში ბოლომდე რეაბილიტირება მაინც ვერ მოახერხა და ეს არც არის გასაკვირი: მსოფლიო ჩემპიონატზე გამარჯვების შემდეგ ნაკრებს სათავეში ჩაუდგე და გადამეტებული ზეწოლა არ იგრძნო - ეს უბრალოდ, უტოპიაა.

დონადონის მიმართ პრეტენზიები მხოლოდ ცუდად დაწყებული საკვალიფიკაციოთი არ შემოიფარგლებოდა. მწვრთნელს აკრიტიკებდნენ საკადრო პოლიტიკისთვისაც, პირველ რიგში იმის გამო, რომ იგნორირებული ჰყავდა **ალესანდრო დელ პიერო**, რომელმაც სერია A-ში დაბრუნებულ "იუვენტუსში" ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა. განსაკუთრებით თავზეხელაღებული ოპონენტები კი, დონადონის აბრალებდნენ ნაკრებიდან **ალესანდრო ნესტასა** ("მილანი") და **ფრანჩესკო ტოტის** ("რომა") წასვლას. კრიტიკოსები ამბობდნენ, რომ ეს ფეხბურთელები კარიერის ზენიტში იმყოფებიან, ნაკრებისთვის დიდი სარგებლის მოტანა შეუძლიათ და თურმე ერთადერთი პრობლემა ისაა, რომ არ სურთ დღევანდელი მწვრთნელის ხელმძღვანელობით თამაში.

დონადონი მართლაც დიდი ზეწოლის ქვეშ იმყოფება და გულშემატკივრებს ყველა წყენა მხოლოდ იმ შემთხვევაში დაავიწყდებათ, თუ გუნდი ევროპის ჩემპიონატზე გაიმარჯვებს, სადაც იტალიელებს 1968 წლის (40 წელი გავიდა) შემდეგ არ ჰქონიათ ტრიუმფი.

სხვათა შორის, "სკუადრა აძურას" დამრიგებელმა უყურადღებოდ არ დატოვა ხალხის აზრი (თუმცა წარუმატებლობის შემთხვევაში, ბოროტი ენები იტყვიან, რომ მწვრთნელი თავის გადაწყვეტილებებში დარწმუნებული არ იყო და ხალხის ჭკუაზე დადიოდაო) და 20 მაისს, გაფართოებულ შემადგენლობაში დელ პიეროც შეიყვანა. შეიძლება ეს იმიტომაც მოხდა, რომ შესარჩევ ციკლში ალესანდროს პოზიციაზე მოთამაშე **ვინჩენცო იაკუნტამ** ტრავმა მიიღო და გამოჯანმრთელება ვერ მოასწრო. ასეა თუ ისე, იტალიის ნაკრებში იმ ვეტერანის დაბრუნებას, რომელმაც სერია A-ში 21 გოლი გაიტანა, დიდი მოწონებით შეხვდნენ.

სამაგიეროდ, ბევრს გაუკვირდა იმავე სიაში სკანდალური და უდისციპლინო თავდამსხმელის, **ანტონიო კასანოს** გამოჩენა (ეს ფორვარდი "რეალს" ეკუთვნის, მაგრამ გასული სეზონი არენდის წესით "სამპდორიაში" გაატარა და 22 მატჩში 10 გოლიც გაიტანა). მაგრამ დონადონი ამ მხრივ მშვიდადაა: *"არ მგონია, რომ ანტონიოს შემთხვევაში რისკზე მივდივარ. ის იუნიორი აღარ არის და კარგად ესმის, რას ნიშნავს ერთიანი კოლექტივის წევრობა. მის პროფესიონალურ თვისებებს რაც შეეხება, მე ის ზედმიწევნით კარგად ვიცი"*.

როგორც ჩანს, დონადონიმ კასანო 34 წლის **ფილიპო ინძაგის** ნაცვლად მიიწვია. ვეტერანი ნამდვილად ვერ დაიკვეხნიდა კარგი სათამაშო ფორმით და ამ სიტუაციაში, გაცილებით ლოგიკური იყო ევროპის ჩემპიონატზე ახალგაზრდა ფეხბურთელის წაყვანა. მით უმეტეს, რომ თავად დონადონიმ მაისის შუა რიცხვებში, ახალი კონტრაქტი გააფორმა ეროვნულ ფედერაციასთან - 2010 წლამდე. ასე რომ, ინძაგისა და კასანოს შემთხვევაში პერსპექტივაზე გაკეთებული არჩევანი გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს. თუმცა ახალ კონტრაქტში არის პუნქტი, რომლის მიხედვითაც შეიძლება ხელშეკრულების გაუქმება - ეს იმ შემთხვევაში, თუ ნაკრები ევრო 2008-ს ჩააგდებს.

**გია თვალაბეიშვილი**




| № | ფეხბურთელი | ა | დ.თ. | სმ | წონ | თამ | გოლ | კლუბი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჯანლუიჯი ბუფონი | მეკ | 28.01.78 | 190 | 83 | 80 | - | იუვენტუსი |
| 2 | კრისტიან პანუჩი | მცვ | 12.04.73 | 184 | 73 | 51 | 3 | რომა |
| 3 | ფაბიო გროსო | მცვ | 28.11.77 | 190 | 79 | 29 | 3 | ლიონი (საფ) |
| 4 | ჯორჯო კიელინი | მცვ | 14.08.84 | 186 | 76 | 9 | 1 | იუვენტუსი |
| 5 | ალესანდრო გამბერინი | მცვ | 27.08.81 | 185 | 78 | 2 | - | ფიორენტინა |
| 6 | ანდრეა ბარძალი | მცვ | 08.05.81 | 186 | 79 | 20 | - | პალერმო |
| 7 | ალესანდრო დელ პიერო | თავ | 09.11.74 | 175 | 74 | 85 | 26 | იუვენტუსი |
| 8 | ჯენარო გატუზო | ნახ | 09.01.78 | 177 | 77 | 56 | 1 | მილანი |
| 9 | ლუკა ტონი | თავ | 26.05.77 | 185 | 78 | 32 | 15 | ბაიერნი (გერ) |
| 10 | დანიელე დე როსი | ნახ | 24.07.83 | 184 | 83 | 32 | 4 | რომა |
| 11 | ანტონიო დი ნატალე | თავ | 13.10.77 | 170 | 73 | 16 | 5 | უდინეზე |
| 12 | მარკო ბორიელო | თავ | 18.06.82 | 185 | 80 | 1 | - | სამპდორია |
| 13 | მასიმო ამბროზინი | ნახ | 29.05.77 | 182 | 72 | 30 | - | მილანი |
| 14 | მარკო ამელია | მეკ | 02.04.82 | 188 | 78 | 6 | - | ლივორნო |
| 15 | ფაბიო კვალიარელა | თავ | 31.01.83 | 182 | 73 | 8 | 3 | უდინეზე |
| 16 | მაურო კამორანეზი | ნახ | 04.10.76 | 177 | 70 | 33 | 2 | იუვენტუსი |
| 17 | მორგან დე სანქტისი | მეკ | 26.03.75 | 190 | 86 | 2 | - | სევილია (ესპ) |
| 18 | ანტონიო კასანო | თავ | 12.07.82 | 175 | 73 | 3 | 1 | სამპდორია |
| 19 | ჯანლუკა ძამბროტა | მცვ | 19.02.77 | 181 | 76 | 69 | 2 | მილანი |
| 20 | სიმონე პეროტა | ნახ | 17.09.77 | 178 | 72 | 40 | 2 | რომა |
| 21 | ანდრეა პირლო | ნახ | 19.05.79 | 177 | 68 | 44 | 6 | მილანი |
| 22 | ალბერტო აკვილანი | ნახ | 07.07.84 | 186 | 77 | 3 | - | რომა |
| 23 | მარკო მატერაცი | მცვ | 19.08.73 | 193 | 82 | 39 | 2 | ინტერი |



### კალენდარი

**9 ივნისი**
რუმინეთი-საფრანგეთი (20:00)
ჰოლანდია-იტალია (22:45)

**13 ივნისი**
იტალია-რუმინეთი (20:00)
ჰოლანდია-საფრანგეთი (22:45)

**17 ივნისი**
საფრანგეთი-იტალია (22:45)
ჰოლანდია-რუმინეთი (22:45)

### შესარჩევი ტურნირი

**იტალია**

*12 მატჩი; +9=2-1; 22-9; 29 ქულა (I ადგილი)*

| | |
|---|---|
| იტალია-ლიტვა | 1:1 |
| საფრანგეთი-იტალია | 3:1 |
| იტალია-უკრაინა | 2:0 |
| საქართველო-იტალია | 1:3 |
| იტალია-შოტლანდია | 2:0 |
| ფარერები-იტალია | 1:2 |
| ლიტვა-იტალია | 0:2 |
| იტალია-საფრანგეთი | 0:0 |
| უკრაინა-იტალია | 1:2 |
| იტალია-საქართველო | 2:0 |
| შოტლანდია-იტალია | 1:2 |
| იტალია-ფარერები | 3:1 |

*გოლები: ტონი (5), ფ. ინძაგი (3), დი ნატალე (2), კვალიარელა (2), ჯილარდინო, ოდო, დე როსი, კამორანეზი, პეროტა, პირლო, გროსო, პანუჩი, კიელინი, ავტოგოლი*

**საფრანგეთი**

*12 მატჩი; +8=2-2; 25-5; 26 ქულა (II ადგილი)*

| | |
|---|---|
| საქართველო-საფრანგეთი | 0:3 |
| საფრანგეთი-იტალია | 3:1 |
| შოტლანდია-საფრანგეთი | 1:0 |
| საფრანგეთი-ფარერები | 5:0 |
| ლიტვა-საფრანგეთი | 0:1 |
| საფრანგეთი-უკრაინა | 2:0 |
| საფრანგეთი-საქართველო | 1:0 |
| იტალია-საფრანგეთი | 0:0 |
| საფრანგეთი-შოტლანდია | 0:1 |
| ფარერები-საფრანგეთი | 0:6 |
| საფრანგეთი-ლიტვა | 2:0 |
| უკრაინა-საფრანგეთი | 2:2 |

*გოლები: ანრი (6), გოვუ (3), ანელკა (4), ტრეზეგე (2), საა (2), ბენზემა (2), მალუდა, რიბერი, ნასრი, როტენი, ბენ არფა, ავტოგოლი*

**რუმინეთი**

*12 მატჩი; +9=2-1; 26-7; 29 ქულა (I ადგილი)*

| | |
|---|---|
| რუმინეთი-ბულგარეთი | 2:2 |
| ალბანეთი-რუმინეთი | 0:2 |
| რუმინეთი-ბელარუსი | 3:1 |
| ჰოლანდია-რუმინეთი | 0:0 |
| რუმინეთი-ლუქსემბურგი | 3:0 |
| სლოვენია-რუმინეთი | 1:2 |
| რუმინეთი-სლოვენია | 2:0 |
| ბელარუსი-რუმინეთი | 1:3 |
| რუმინეთი-ჰოლანდია | 1:0 |
| ლუქსემბურგი-რუმინეთი | 0:2 |
| ბულგარეთი-რუმინეთი | 1:0 |
| რუმინეთი-ალბანეთი | 6:1 |

*გოლები: მუტუ (6), მარიკა (5), დიკა (4), კონტრა (2), დ. ნიკულაე (2), ტამაში (2), გოიანი (2), როსუ, ნიკოლიტა, ფ. პეტრე*

**ჰოლანდია**

*12 მატჩი; +8=2-2; 15-5; 26 ქულა (II ადგილი)*

| | |
|---|---|
| ლუქსემბურგი-ჰოლანდია | 0:1 |
| ჰოლანდია-ბელარუსი | 3:0 |
| ბულგარეთი-ჰოლანდია | 1:1 |
| ჰოლანდია-ალბანეთი | 2:1 |
| ჰოლანდია-რუმინეთი | 0:0 |
| სლოვენია-ჰოლანდია | 0:1 |
| ჰოლანდია-ბულგარეთი | 2:0 |
| ალბანეთი-ჰოლანდია | 0:1 |
| რუმინეთი-ჰოლანდია | 1:0 |
| ჰოლანდია-სლოვენია | 2:0 |
| ჰოლანდია-ლუქსემბურგი | 1:0 |
| ბელარუსი-ჰოლანდია | 2:1 |

*გოლები: ვან პერსი (4), ვან ნისტელროი (2), სნეიდერი (2), მატიისენი, კუიტი, ვან ბრონკჰორსტი, ჰუნტელაარი, კოვერმანსი, ვან დერ ვაარტი, ავტოგოლი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2008

# ვის ხელშია ძალაუფლება?

## ვინც ავტობუსში უკან ზის, გუნდში ყველაზე მეტი ეთქმის!




**გერმანია**

"გერმანია - ერთი გუნდი - ერთი მიზანი!" ეს გერმანიის ნაკრების დევიზი გახლავთ. სწორედ ეს წერია ავტობუსზე, რომლითაც ბუნდესგუნდი ევროპის ჩემპიონატის დროს ავსტრიასა და შვეიცარიაში იმოგზაურებს. გერმანიის ნაკრების თავგადაკლულ ფანებს ცხადია, დააინტერესებს ის, თუ ვინ სად ზის ავტობუსში. აი, დანარჩენებისთვის კი, ეს ინფორმაცია ალბათ უინტერესოა. მაგრამ ჩვენი გერმანელი კოლეგები ამტკიცებენ, რომ ამას ძალიან დიდი, თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს - იერარქიის თვალსაზრისით.

რას გვეუბნება ის ფაქტი, რომ გუნდის კაპიტანი **მიხაელ ბალაკი** და ახალწვეული **ჰაიკო ვესტერმანი** ერთმანეთისგან საკმაოდ მოშორებით სხედან? "ბილდმა" ავტობუსში ადგილების განაწილების თემაზე მთელი ფილოსოფია შექმნა.

ფაქტი ის გახლავთ, რომ შეფები ყოველთვის ყველაზე წინ სხედან. გერმანიის ნაკრების თავკაცი **იოახიმ ლიოვი** და მისი ასისტენტი **ჰანსი ფლიკი** წინ, მძღოლთან ყველაზე ახლოს სხედან. ბუნდესგუნდის მენეჯერ **ოლივერ ბირჰოფისა** და მეკარეების მწვრთნელ **ანდრეას კიოპკეს** ადგილი კი მძღოლის უკანაა. მედპერსონალი შეფების უკანაა განლაგებული - გუნდის მთავარი ექიმი დოქტორი **მიულერ ვოლფარტი, მაიერი** და დოქტორი **შმიდტი** ბირჰოფისა და კიოპკეს უკან სხედან. მათ გვერდით არიან ფიზიოთერაპევტები **ბუნცი, მიულერი, კატცენმაიერი** და **ედერი**. იქვე, ეულად ზის გერმანიის ნაკრების ფსიქოლოგი, დოქტორი **ჰერმანი**.

რაც შეეხება ფეხბურთელებს. აი, გუნდის ბოსები და მათთან დაახლოებული ფეხბურთელები სულ უკან, ბოლო რიგებში სხედან და ეს ფაქტობრივად ყველა გუნდში ასეა ხოლმე. აღსანიშნავია, რომ ჯგუფური მგზავრობის დროს, ავტობუსის ბოლო ადგილები სტატუსის სიმბოლოდაა მიჩნეული. სულ უკან, მარცხენა მხარეს, მაგიდაა განთავსებული, რაც თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ ეს ავტობუსში საუკეთესო ადგილია. ამ ადგილს, რა თქმა უნდა, გუნდის კაპიტანი **მიხაელ ბალაკი** იკავებს. დააკვირდით: მასთან ერთად, მაგიდასთან **ოლივერ ნოივილი** ზის - ვეტერანი, გამოცდილი თავდამსხმელი, რომელიც ბალაკის ერთ-ერთი უახლოესი მეგობარია. ოლივერი და მიხაელი "ლევერკუზენში" ერთად თამაშობდნენ და შეიძლება ითქვას, რომ საუკეთესო მეგობრები არიან. წინდაწინვე ცნობილია, რომ ნოივილი ბუნდესგუნდის ძირითად შემადგენლობაში არ ითამაშებს - ლიოვმა ის ევროპის ჩემპიონატზე ჯოკრის სტატუსით წაიყვანა. მაგრამ ნოივილს უდიდესი გამოცდილების გამო გუნდში დიდი წონა აქვს, რაც ცალსახად ბალაკის დამსახურებაცაა. კაპიტნის უახლოეს მეგობარს ნებისმიერ გუნდში წონადი სიტყვა ეთქმის.

მოკლედ, ნოივილისა და ბალაკის დუეტი გერმანიის ნაკრების პირველი შეფობაა. "დაჯგუფება", რომელსაც ყველაზე დიდი ძალაუფლება აქვს. რაც შეეხება მეორე დაჯგუფებას - მას ავტობუსის ბოლო რიგების მეორე მხარეს, ბალაკისა და ნოივილის გვერდით ვხედავთ. მათ პირობითად, შეგვიძლია, მემარცხენეები ვუწოდოთ. აქ **ტორსტენ ფრინგსს**, რომელიც ბუნდესგუნდში ერთ-ერთი მთავარი კაცია, თავისი ბრემენელი მეგობრები ჰყავს შემოკრებილი - **ტიმ ბოროვსკი** და **კლემენს ფრიტცი**. როგორც ხედავთ, "ძველებს" თავის შემადგენლობაში **ბასტიან შვაინშტაიგერიც** "მიუღიათ". აღსანიშნავია, რომ შვაინი "ძველებში" ერთადერთი ფეხბურთელია, რომელიც "ბაიერნში" თამაშობს.

იერარქიაში მესამე კაცს (ბალაკისა და ფრინგსის შემდეგ), სალონის უკანა ნაწილში თავისი ადგილი აქვს, მაგრამ ყოველთვის იქ არ ზის. **იენს ლემანს** ვგულისხმობთ. ეს უკანასკნელი თავისი გამოცდილებითა და ასაკით, რა თქმა უნდა, უმნიშვნელოვანესი ფიგურაა. როგორც მისი წინამორბედი **ოლივერ კანი**, ხშირად ლემანიც განმარტოებულია. მეკარეები თითქმის ყოველთვის ასე არიან ხოლმე. ლემანიც, მგზავრობისას, უმეტესად მუსიკას უსმენს.

*"ის მოთამაშეები, რომლებიც ნაკრებში დიდი ხანია თამაშობენ, რა თქმა უნდა, გარკვეულწილად პრივილეგირებულები არიან. ბალაკი, ფრინგსი, კლოზე, ლემანი - მათ ახალგაზრდებზე ზრუნვა ევალებათ," -* აცხადებს ბუნდესმწვრთნელი ლიოვი.

**გოტფრიდ ლენცი**

ჰამბურგი

# ზიდანი მწვრთნელს ადანაშაულებს

## მოჰამედი: სტევენსი ისე მეპყრობოდა, როგორც ლორსა და განავალს!



მოჰამედ ზიდანი და ჰუუბ სტევენსი

ეგვიპტელი **მოჰამედ ზიდანი** "ჰამბურგში" 2007 წელს "მაინციდან" გადავიდა და ჩრდილოგერმანული კლუბის ქომაგები მასზე უდიდეს იმედებს ამყარებდნენ. მაგრამ 26 წლის ფორვარდმა მოლოდინი ვერ გაამართლა. ზიდანმა 21 თამაშში მხოლოდ 2 გოლის გატანა შეძლო, რაც, დაგვეთანხმებით, თავდამსხმელისთვის ძალიან ცუდი შედეგია. ბოლო დროს ის მუდმივად სათადარიგოთა სკამს ხეხავდა. ახლა, ფეხბურთელი ამ ყველაფერში არა საკუთარ თავს, არამედ "ჰამბურგის" აწ უკვე ექსთავკაც **ჰუუბ სტევენსს** ადანაშაულებს.

*"ჰუუბ სტევენსი ისე მეპყრობოდა, როგორც ლორს და განავალს. საერთოდ, ეს სეზონი ჩემს კარიერაში ყველაზე საშინელი გამოდგა. არადა, სტევენსი იყო ის კაცი, ვისაც თავის დროზე ჩემი გადაბირება ძალიან უნდოდა და ამისათვის ბოლომდე იბრძოლა. არ მესმის, რატომ არ გამაკარა გუნდს. წესითა და რიგით, ყველა თამაშში მინიმუმ 30 წუთი მაინც უნდა მოეცა იმისათვის, რომ ფორმა ალმედგინა,"* - აცხადებს ეგვიპტელი და იქვე დასძენს, - *"ისე იქცეოდა, თითქოს საერთოდ არ ვარსებობდი. "მაინცში" ყველაზე მნიშვნელოვანი ფეხბურთელი ვიყავი, "ჰამბურგში" კი თავი აბსოლუტურად უსარგებლო და უმაქნის ფეხბურთელად მაგრძნობინეს. HSV-ში ერთ-ერთი საუკეთესო ანაზღაურება მაქვს (2.5 მილიონი ევრო წელიწადში - რედ) და არ მესმის, რატომ არ მიყენებენ."*

ეგვიპტელი ჩივის, ხანდახან სტევენსი გასახდელში ისეთ რალაცებს გვეუბნებოდა, თითქოს ადამიანები კი არა, ლორები ვიყავით, პატივს ოდნავადაც არ გვცემდაო. *"შესაბამისად, მეც აღარ მქონდა იმის სურვილი, რომ მისთვის მეთამაშა და გამეხარებინა. ასეთ ადამიანებს სალამსაც კი არ ვეუბნები ხოლმე,"* - განრისხებულია ზიდანი.

ჰუუბი "ჰამბურგის" დამრიგებელი აღარ არის და ეგვიპტელსაც იმედი გაუჩნდა, რომ მომავალი სეზონიდან გუნდში ყველაფერი შეიცვლება. მას HSV-სთან კონტრაქტი 2010 წლამდე აქვს გაფორმებული. მოჰამედი: *"ზამთარში გუნდიდან მხოლოდ იმიტომ არ წავედი, რომ ვიცოდი, სეზონის ბოლოს სტევენსი აიბარგებოდა. იმედი მაქვს, ჩვენი ახალი მწვრთნელი მარტინ იოლი ჰუუბისგან კარდინალურად განსხვავებული მწვრთნელი იქნება. ჰამბურგი შესანიშნავი ქალაქია და აქ თავს იდეალურად ვგრძნობ."*

ამბობს, მაქსიმალურად კონცენტრირებული ვიქნები და ყველაფერს გავაკეთებ, რომ ამ გუნდშიც უმნიშვნელოვანესი ფიგურა გავხდეო. ისე, ასეთი განცხადებები ამ ფეხბურთელისგან ადრეც არაერთხელ მოგვისმენია, მაგრამ მაინც. ვნახოთ...

**გოტფრიდ ლენცი**

ტრანსფერი

# გადაწყდა: ბუტი ბაიერნში!

## მიუნხენელებმა რენზინგს იდეალური დუბლიორი უპოვეს




რამდენიმე დღის წინათ გაცნობეთ, რომ "ბაიერნის" ხელმძღვანელები ვეტერან მეკარე **ჰანს-იორგ ბუტთან** აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს და რომ დიდი შანსი იყო, გერმანიის ნაკრების ყოფილი მესამე კიპერი მიუნხენურ კლუბში გადასულიყო. ახლა უკვე შეგვიძლია დაბეჯითებით გითხრათ, რომ 34 წლის ბუტი ბაიერნელია და მომავალი სეზონიდან რეკორდმაისტერის სათადარიგო მეკარე იქნება. როგორც იცით, **ოლივერ კანის** წასვლის შემდეგ (ოლიმ კარიერა დაამთავრა), ბავარიელთა პირველი მეკარე **მიხაელ რენზინგი** გახდა. შესაბამისად, მიუნხენელებს სათადარიგოთა სკამისთვის კარის ახალი დარაჯი სჭირდებოდათ.

ბუტი ბოლოს ლისაბონის "ბენფიკაში" ირიცხებოდა, სადაც თავს კარგად აღარ გრძნობდა. გამოცდილ მეკარეს ძირითად შემადგენლობაში არ ათამაშებდნენ, რის გამოც კონტრაქტი, რომელიც პორტუგალიურ კლუბთან 2009 წლამდე აკავშირებდა, ვადაზე ადრე გაწყვიტა. შესაბამისად, "ბაიერნს" მის სანაცვლოდ ერთი ცენტის გადახდაც კი არ მოუწევს.

*"რაკი "ბენფიკიდან" უპრობლემოდ გამათავისუფლეს, შეიძლება ითქვას, რომ "ბაიერნთან" ყველაფერი მოგვარებულია. ძალიან მიხარია, რომ სამშობლოში ვბრუნდები. გერმანული ფეხბურთი და ბუნდესლიგა ძალიან მენატრებოდა,"* - უთხრა ბუტმა "ბილდს". შეგახსენებთ, რომ ჰანს-იორგს ბუნდესლიგაში 324 თამაში აქვს ჩატარებული.

აქვს თუ არა ბავარიელთა პირველ მეკარეს, მიხაელ რენზინგს ნერვიულობის საბაბი? ბუტი ამბობს, მასთან ჯერ არ მისაუბრია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ერთმანეთს ძალიან კარგად გავუგებთ, რაც არ უნდა იყოს, ორივე ჩრდილოეთი გერმანიიდან ვართო. ფაქტი ის გახლავთ, რომ თუკი რენზინგს ერთხელ მაინც დაუცდება ფეხი, ბუტი მაქსიმალურად ეცდება, თავისი შანსი გამოიყენოს და "ბაიერნის" სასტარტო შემადგენლობაში ადგილი დაიმკვიდროს.

*"ყველანი კმაყოფილები ვართ, რადგან გადმოვიბირეთ მეკარე, რომელსაც უდიდესი გამოცდილება აქვს. ბუტი ზუსტად ის მეკარეა, რომელიც გვჭირდებოდა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ არ ვიცნობ არცერთ ფეხბურთელს, რომელსაც ჰანს-იორგ ზე კარგი ხასიათი აქვს,"* - ეს კი ბავარიელთა ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** სიტყვებია. კმაყოფილია გენერალური მენეჯერი **ული ჰიონესიც**.

ბუტმა ბუნდესლიგა 2007 წელს, მას მერე დატოვა, რაც "ლევერკუზენის" ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა. ამის შემდეგ მეკარე, რომელსაც გერმანიის ჩემპიონატში 26 გოლი აქვს გატანილი (თერთმეტმეტრიანებს ურტყამდა), "ბენფიკაში" გადავიდა, სადაც ვერ გაბედნიერდა. მეკარემ, რომელსაც გერმანიის ნაკრებში 3 თამაში აქვს ჩატარებული, "ბენფიკაში" სულ 6 თამაში ჩაატარა. ახლა კი, გერმანიაში ბრუნდება.

**გოტფრიდ ლენცი**

დორტმუნდი

# სუბოტიჩი 3.5 მილიონად

## კლოპმა ბორუსიაში საყვარელი მცველი მიიყვანა

დორტმუნდის "ბორუსიის" ახალი მთავარი მწვრთნელი **იურგენ კლოპი**, რომელმაც ამ პოსტზე **თომას დოლი** შეცვალა, საქმეს შეუდგა და გუნდის გაძლიერება, რა თქმა უნდა, იმ პოზიციიდან დაიწყო, სადაც ვესტფალიურ კლუბს ყველაზე მეტად უჭირს - დაცვიდან. გუშინ გადაწყდა, რომ "მაინცის" 19 წლის უნიჭიერესი მცველი **ნევენ სუბოტიჩი**, რომელსაც უდიდეს მომავალს უწინასწარმეტყველებენ, მომავალი სეზონიდან "დორტმუნდში" ითამაშებს. როგორც ხედავთ, კლოპი პირველ რიგში თავის ყოფილ კლუბს მიადგა და საინტერესოა, კიდევ რამდენ მოთამაშეს დაიმატებს "მაინციდან", რომელიც მეორე ბუნდესლიგაში ჩარჩა.

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, "ბორუსია" "მაინცს" სუბოტიჩის სანაცვლოდ 3.5 მილიონ ევროს გადაუხდის. ფეხბურთელმა BVB-სთან უკვე გააფორმა ხუთწლიანი კონტრაქტი (2013 წლამდე). მაინც რას წარმოადგენს დორტმუნდელთა ახალი უკანახაზელი? კლოპი არ მალავს, რომ ასეთ ნიჭიერ და გაწონასწორებულ მცველთან აქამდე არასდროს უმუშავია. გასულ სეზონში იურგენი სუბოტიჩს მუდმივად ენდობოდა. თავად განსაჯეთ, 19 წლის ნევენმა მეორე ბუნდესლიგაში 33 თამაში ჩაატარა. "მაინცის" შეფებს ტალანტის გაყიდვა არ სურდათ, მაგრამ როდესაც "ბორუსიამ" ფეხბურთელს კონკრეტული წინადადებით მიმართა, ამ უკანასკნელს დიდხანს არ უფიქრია და რა საკვირველია, არჩევანი BVB-ს სასარგებლოდ გააკეთა. აღსანიშნავია, რომ სუბოტიჩისთვის პირველ ბუნდესლიგაში აღზევებული "ჰოფენჰაიმის" მწვრთნელი **რალფ რანგნიკიც** იბრძოდა.

*"ძალიან მიხარია, რომ "ბორუსიამ" ნევენის გადმობირება შეძლო. ის ჩემი გუნდისთვის უდიდესი შენაძენია. კმაყოფილი ვარ,"* - აცხადებს კლოპი. შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში "დორტმუნდის" უსუსტესი წერტილი სწორედ დაცვის ცენტრი იყო, სადაც ვეტერანები, **კრისტიან ვიორნსი** და **რობერტ კოვაჩი** ძალიან ცუდად გამოიყურებოდნენ.

**გოტფრიდ ლენცი**

კალათბურთი. ინტერვიუ კოტე ტულუშთან

# შემოდგომიდან მწვრთნელობას ვიწყებ

**გუშინ,** გამოვაქვეყნეთ ჩვენი გაზეთის ტრადიციული გამოკითხვის შედეგები, რომლის მიხედვით მე-16 ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელად კოტე ტულუში დასახელდა. შარშან და შარშანწინ გამოკითხვის შედეგების გამომზეურების მეორე დღეს შემოგთავაზეთ ინტერვიუ პირველობის MVP-სთან. ტრადიციას არც წელს დავარღვევთ და ვაქვეყნებთ ინტერვიუს კოტე ტულუშთან.

იგი საუბრობს როგორც "ავიამშენზე", ასევე გამოკითხვის შედეგებზე, მაგრამ იცით კიდევ რას ამბობს? - შემოდგომიდან მწვრთნელობას ვიწყებო. დანარჩენს თავად კოტე მოგვახსენებს...



- ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელად დასახელება ჩემთვის დიდი სიურპრიზი იყო. ნამდვილად არ ველოდი, რომ MVP-ს წოდებას ნაგებული გუნდის წევრი მივიღებდი. ამასთან, მყავდა მეტად სერიოზული კონკურენტები: ლაშა გამყრელიძე, გიორგი შერმადინი, გიორგი ნიკოლაძე, იოვან სტეფანოვი, ვიქტორ სანიკიძე, მიხეილ ბერიშვილი, მიხეილ ფანჩულიძე... ასეთ კონკურენციაში გამარჯვება ძალიან სასიხარულოა. მინდა, მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც სამეულში შემიყვანა. ნებისმიერი კალათბურთელისთვის მნიშვნელოვანია, როცა შრომას უფასებენ. ახლა კიდევ უფრო ვრწმუნდები, რომ ამ სეზონში ტყუილად არ მიშრომია, ტყუილად არ მირბენია. ეს აღიარება სტიმულსა და თავდაჯერებულობას მმატებს, რაც მომავლისთვის აუცილებლად გამომადგება.

**- საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო სამეული კოტე ტულუშის აზრით როგორი იქნება?**

- სამი ძალიან ცოტაა, მაგრამ ვეცდები, მაინც გამოვარჩიო... ლაშა გამყრელიძე, გიორგი შერმადინი და გიორგი ნიკოლაძე. ოღონდ ზურაბ ტომარაძის მაგალითს მივყვები და თითოეულ მათგანს თანაბარ ქულას დავუწერ. თამაშგარე დამრჩა იოვან სტეფანოვი, რომელმაც ფინალებში მაღალ დონეზე ითამაშა.

**- ფინალებში "ავიას" რა დააკლდა?**

- გვაკლდა ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი ხოშტარია. ფინალურ სერიებში მანამდე ჩემთან ერთად მინაშვილსა და ნიკოლაძეს ჰქონდა მიღებული გამოცდილება. მათ ამჯერადაც ბოლომდე იბრძოლეს და გადამწყვეტ მომენტში არაერთხელ გამოირჩნენ. საერთო ჯამში გუნდის გამოსვლით ნასიამოვნები ვარ, მაგრამ აქვე დავამატებ - "ავიას" წლეულს მეტი ეკუთვნოდა.

**- ახალგაზრდებიც საკმარისად დაგეხმარნენ...**

- ამ თემაზე კითხვის დასმა დამასწარი. ნიკოლაძე და მინაშვილი იმიტომ ვახსენე, რომ აქამდე მათ არაერთი ფინალი აქვთ ნათამაშები, თორემ ყველამ კარგად დაინახა, რაოდენ დიდი წვლილი შეიტანეს გუნდის წინსვლაში ბუბა კვიმსაძემ, ნოდარ ბერაიამ, რიჩარდ მათიაშვილმა, დავით იმნაძემ, პლაიდე როდუმტამ, ლადო სუხიშვილმა... ყველამ. მათიაშვილი და ბერაია 20-21 წლისანი არიან და წლევანდელ პლეი ოფში დიდი გამოცდილება მიიღეს, რაც მომავლისთვის აუცილებლად გამოადგებათ.

**- ორი წლის წინათ გაჩემპიონებულ "ავიასა" და წლევანდელს შორის რა სხვაობას ხედავ?**

- პირველ რიგში, სერიოზული სხვაობაა შემადგენლობებს შორის. 2006 წლის გუნდიდან წლევანდელი ფინალები მე, ნიკოლაძემ, მინაშვილმა და როდუმტამ ვითამაშეთ.

**- მაშინ ძირითადად გამთამაშებელი იყავი, ახლანდელ ფინალებში - მსროლელი...**

- სხვათა შორის, რეგულარულ ჩემპიონატში ამჯერადაც მხოლოდ გამთამაშებლის ფუნქციების შესრულება მიწევდა. პლეი ოფში მწვრთნელმა მსროლელად გადამიყვანა, თუმცა, თუ დააკვირდით, რუსთავში გამართულ მატჩებში გადამწყვეტ მომენტებში ისევ გამთამაშებლის ამპლუას დავუბრუნდი და თამაშის ორგანიზებას ჩემს თავზე ვიღებდი.

**- მწვრთნელმა, მაინც და მაინც გადამწყვეტი სერიის წინ რატომ გადაგიყვანა მსროლელად?**

- პლეი ოფში მატჩები ერთმანეთის მიჯრით იმართებოდა. გამთამაშებლის ფუნქციების მოშორებით ცოტა ამოსუნთქვის საშუალებას მაძლევდა. მაგრამ რა დასვენებაზეა საუბარი, როცა გამყრელიძისა და ლეჟავას მეურვეობა მიწევდა.

**- მაინც არ ამბობ, გამთამაშებლობა გირჩევნია, თუ მსროლელობა.**

- მოედანზე ვიდგე და სადაც გუნდს დავჭირდები, იქ დავდგები. არც სკამზე ჯდომისას გამოვთქვამ პრეტენზიას როცა გუნდი იგებს, მაგრამ როცა მარცხდება, პრეტენზია აუცილებლად მექნება.

**- სანაკრებო ამბებს გულისხმობ?**

- რა თქმა უნდა, ისლანდიაში ჩემს გარდა კიდევ რამდენიმე კალათბურთელი იმსახურებდა თამაშს, მაგრამ სათადარიგოთა სკამიდან არ ავმდგარვართ...

**- ნაკრებს მწვრთნელი შეუცვალეს...**

- სლოვენიაში ვთამაშობდი, თუმცა, მაშინ იგორ კოკოშკოვზე არაფერი მსმენია. მწვრთნელს არ ვიცნობ, ამიტომ საუბარი მიჭირს. ვიმედოვნებ, რომ იგი გუნდს გამოადგება. მთავარი კი ისაა, რომ ყველა კალათბურთელი მწყობრში შეხვდეს ოფიციალურ მატჩებს. ძალიან მძიმე ჯგუფში მოვხვდით, თუმცა დღევანდელ კალათბურთში იოლი არაფერია.

**- გასულ ჩემპიონატს როგორ შეაფასებდი?**

- ყველაფერი შედარებითია და უნდა აღვნიშნო, რომ მე-16 პირველობა წინამორბედებთან შედარებით უკეთესი იყო. თავად განსაჯეთ: ფინალისტმა "ავიამ" საწყისი ორი წრე ცხრილის ფსკერზე დაასრულა. მეორე მაგალითსაც მოვიყვან: საბოლოოდ მეექვსე ადგილზე გასულმა "მაკაბიმ" ქვეყნის ჩემპიონს ორჯერ მოუგო. თუკი ასეთი დაძაბულობა მომდევნო სეზონშიც შენარჩუნდება, ამას რა აჯობებს. ხოლო, თუ ჩემპიონატს ერთი-ორი გუნდი დაემატება, უკეთესი იქნება. შეიძლება კლუბების მომატების შემთხვევაში კალათბურთელების რაოდენობა საკმარისი არ იყოს, მაგრამ თითო გუნდს 2-3 ლეგიონერი თუ შეემატება, ეს ქართული კალათბურთის წინსვლაში წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

**- უარყოფითზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა...**

- ცხადია, ევროპის დონის ჩემპიონატამდე ჩვენს პირველობას ბევრი უკლია, მაგრამ შარშანდელთან შედარებით პირობები გაცილებით გაუმჯობესდა: ვერის ბაღიდან სპორტის სასახლეში გადავედით, ცხელი წყლისა და განათების პრობლემა აღარ გვაქვს. სხვაობა საგრძნობია, ამიტომ ამ ეტაპზე უკმაყოფილების საბაბი არა მაქვს. თუ მომავალში პირობები კიდევ უფრო გაუმჯობესდა, მხოლოდ გამეხარდება.

**- ჩვენი ჩემპიონატის მომავალზე კი ვისაუბრეთ, მაგრამ შენს სამომავლო გეგმებზე არაფერი გვითქვამს. ისევ ნიღბით აპირებ თამაშს?**

- ადრე გითხარი, რომ თუ ჩემპიონი გავხდი, ნიღაბს გაისადაც გავიკეთებ-მეთქი. მართალია, ოქროს მედალი ვერ მოვიპოვე, მაგრამ ნიღბის მოხსნა-არმოხსნის საკითხი ჯერ არ გადამიწყვეტია. მისი ტარება ერთი მხრივ უსიამოვნოა - ძალიან ცხელია, მეორეს მხრივ, კარგია - მეტოქე ჩემი სახის გამომეტყველებას ვერ კითხულობს და მოქმედების გამოცნობაც უჭირს.

**- ცხვირი კიდევ გაწუხებს?**

- სუნთქვა აღარ მიჭირს, მაგრამ ტკივილებს ისევ ვგრძნობ. ექიმთან მისვლაც არ მინდა, მეშინია არ მითხრას, საქმე სერიოზულადააო.

**- "ავიამშენში" დარჩენას აპირებ?**

- კლუბის გამოცვლას არ ვჩქარობ. "ავიამშენში" გაისადაც სიამოვნებით დავრჩებოდი, მაგრამ არც იმას გამოვრიცხავ, რომ კარიერა სხვა ქართულ კლუბში გავაგრძელო. მაქვს შემოთავაზებები "მშობლიური" ირანიდანაც... თუმცა, საქართველოში დარჩენა მირჩევნია, რადგან სხვა საქმესაც მინდა ხელი მოვკიდო.

**- კერძოდ?**

- ბავშვთა მწვრთნელობას ვაპირებ. ოღონდ ეს საქმე მოქმედ კალათბურთელის კარიერას არანაირად არ შეუშლის ხელს. თან ვითამაშებ და თან პატარებს ვავარჯიშებ. სლოვენიაში დიდი გამოცდილება შევიძინე, ბევრი რამ ირანშიც ვისწავლე, ცხადია, საქართველოშიც მინდა ჩემი ცოდნა ბავშვებს გავუზიარო. კარიერის დასრულების შემდეგ მწვრთნელობას ვაპირებდი და რაც ადრე დავიწყებ ამ საქმიანობას, მთ მეტ გამოცდილებას შევიძენ.

**- მწვრთნელობას როდის ჰკიდებ ხელს?**

- სექტემბრიდან.

**- სად და ვის ავარჯიშებ, თუ გაქვს გარკვეული?**

- 30-ე საჯარო სკოლაში ბავშვებს ჩემი მეგობარი ლაშა თოიძე ავარჯიშებს. მეც იქ ავიყვან პატარებს. ვვარაუდობ, რომ მინიმალური ასაკი 10 წელი იქნება. მეც სწორედ 10 წლისამ დავიწყე თამაში. მანამდე კალათბურთი რა იყო, არ ვიცოდი...

**- ?!**

- მანამდე ცურვასა და ჩოგბურთზე დავდიოდი. კალათბურთში ჩემი და ვარჯიშობ და და ერთხელ დარბაზში რომ გავყევი, უკან აღარ გამომიშვეს.

**- დის მიბაძვით, ალბათ, მანამდეც თამაშობდი...**

- არა. მანამდე არანაირი შეხება არ მქონია, მაგრამ დარბაზში რომ მივედი, ეტყობა მწვრთნელსაც მოვეწონე და მეც ძალიან მომეწონა საკალათბურთო ატმოსფერო.

**ვაჟა სიმონიშვილი**

---

რაგბი. ლეგიონერები

# პერიგო ვერ გადავიდა



კახა უჩავა და ბიძინა სამხარაძე

**საფრანგეთის** სარაგბო ჩემპიონატის ფედარალ 1 დივიზიონში პლეი ოფის ფინალისტთა და შესაბამისად, მეორე დივიზიონში გადამსვლელთა ვინაობა გაირკვა. გაისად ელიტაში "კოლომიე" და "ბურგ ან ბრესი" ითამაშებს.

"კოლომიემ" ელიტაში აღსაზევებლად გზა **თედო ზიბზიბაძის** "პერიგოს" გადაუღობა. განმეორებით შეხვედრაში კოლომიეში მასპინძლებმა ერთი საჯარიმოთი მეტი გაიტანეს და მეტოქე 9:6 დაამარცხეს. შეგახსენებთ, რომ პირველი მატჩი ფრედ 12:12 დასრულდა. ზიბზიბაძემ "პერიგოს" შემადგენლობაში თავიდან ბოლომდე ითამაშა. ამავე გუნდში იასპარეზებს მომავალი სეზონიდან **ირაკლი გუნდიშვილიც.**

მეორე ნახევარფინალურ წყვილში "ბურგ ან ბრესმა" ორი მატჩის ჯამში "ექსი" დაამარცხა.

დასრულდა რუმინეთის ჩემპიონატი, სადაც ქართველთა გუნდმა "ფარულმა" საბოლოოდ ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. **ბიძინა სამხარაძის, კახაბერ უჩავას, ლაშა თავართქილაძის, ირაკლი ნატროშვილისა** და **გიორგი ხოსიტაშვილის** გუნდმა გადამწყვეტ მატჩში მესამე ადგილისთვის "ბაია მარეს" სძლია 26:10. ხუთივე ქართველი ძირითად შემადგენლობაში იყო, სამხარაძემ კი 54-ე წუთზე ლელო გაიტანა.

მორიგი ტურის შეხვედრები გაიმართა რუსეთის ჩემპიონატში. **გიორგი ელიზბარაშვილისა** და **გიორგი ლომსაძის** "კრასნი იარმა" **დავით კიკნაძისა** და **ბექა ყურაშვილის** ნოვოკუზნეცკის "სმენას" უმასპინძლა. შეხვედრის დიდი ნაწილი სტუმართა უპირატესობით მიმდინარეობდა და იარელებმა მხოლოდ თამაშის დასკვნით ნაწილში შეძლეს მატჩის სათავისოდ შემობრუნება 23:21.

უპრობლემოდ, დიდი ანგარიშით 51:0 დაამარცხა ჩიტაში ადგილობრივი "უნივერსიტეტი" **რატი ურუშაძისა** და **დავით კაჭარავას** "ენისეიმ". ურუშაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, კაჭარავა განაცხადში არ იყო.

**ბესიკ ჯანგავაძე**

---

ტრანსფერები

# კვირიკაშვილი მასიში

**საქართველოს** მორაგბეთა ნაკრების 10-ნომერმა **მერაბ კვირიკაშვილმა** მეორე დივიზიონის "პო" დატოვა და ფედერალ 1-ში მოასპარეზე "მასისთან" გააფორმა ხელშეკრულება. შეგახსენებთ, რომ ამ პარიზულ გუნდში დღესდღეობით ორი ქართველი მორაგბე, **დავით დადუნაშვილი** და **ვიქტორ დიდებულიძე** ირიცხება. აქვე თამაშობდა **გიორგი ჩხაიძეც**, რომელიც "მეტრო რასინგში" გადაბარგდა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

---

ჩოგბურთი

# ორივე დამარცხდა

**ამ კვირაში** მსოფლიოს კორტებზე საქომაგო აღარავინ დაგვირჩა. თუმცა ორმაგად სამწუხაროა, რომ **სოფიო ქვაცბაიასა** და **სალომე დევიძის** მარცხის მიზეზი ტრავმა იყო. ქვაცაბაია თურქეთის ქალაქ იზმირში იყო მე-6 ნომრად განთესილი, ხოლო დევიძე ამავე ნომრით ამერიკის ქალაქ ჰილტონ ჰედში უნდა გამოსულიყო. ორივე მცირე ტურნირია, 10-ათასიანი საპრიზო ფონდით. ქვაცაბაია 15 წლის ბრიტანელ **მურთან** თამაშში დამარცხდა, რის გამოც გუშინ ვერც წყვილთა თანრიგში გამოვიდა, სადაც რუს **ავგუსტა ციბიშევასთან** ერთად მე-2 ნომრად იყო განთესილი. მოულოდნელად, კორტზე ვერც სალომე დევიძე ვიხილეთ, ის ავსტრალიელ **ემელინ სტარს** არ გამოუცხადდა. სალომეს ნაცვლად ბადეში „იღბლიანი დამარცხებული", ამერიკელი **ბეგლი** ჩასვეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი

# ქუთაისმა თოთხმეტწლამდელებს უმასპინძლა


მარიამ დანელია

ქუთაისში, მაია ჩიბურდანიძის სახელობის საჭადრაკო სკოლაში დასრულდა საქართველოს 14-წლამდელთა ჩემპიონატი გოგონათა და ვაჟთა შორის. ასაკობრივ ჩემპიონატებს ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ, რადგანაც გამარჯვებულები მსოფლიოსა და ევროპის ასაკობრივ ჩემპიონატებზე მიემგზავრებიან და, როგორც წესი, ქართველები წარმატებით ასპარეზობენ.

ჩემპიონატმა საინტერესოდ და დაძაბულად ჩაიარა; მონაწილეთა კვალიფიკაცია მაღალი იყო და, რა თქმა უნდა, ყველაზე დიდი ტემპერატურა ცხრილის ზედა ნაწილში შეინიშნებოდა. რამდენიმე ანგარიშგასაწევი მოჭადრაკე არ თამაშობდა, მაგრამ ამით ბევრი არაფერი დაკლებია ტურნირს.

შვეიცარიული სისტემით 9 ტურად ჩატარდა ეს ტურნირიც, ისევე როგორც სხვა დანარჩენი. მოსაფიქრებლად 90 წუთი ეძლეოდათ მოჭადრაკეებს, ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით.

გოგონებში 30 მონაწილე იყო, ვაჟებში - 57. გოგონათა შორის ფავორიტებად **მარიამ დანელია** და **ნათია ჯალაბაძე** ითვლებოდნენ, - ისინი პირველ-მეორე ნომრები იყვნენ რეიტინგით. საბოლოოდ ასეთი განლაგებითაც დაასრულეს ტურნირი: მარიამ დანელიამ ჩემპიონის ტიტული მოიპოვა 7.5 ქულით, ჯალაბაძემ კი ვერცხლი ირგუნა – 7 ქულა დააგროვა. მესამე ადგილზე მეექვსე ნომერი **ნანი უნაფქოშვილი** გავიდა 6.5 ქულით.

ვაჟებში პირველობა არავის დაუთმო **ნოდარ ლორთქიფანიძემ** - მანაც 7.5 ქულით დაასრულა ტურნირი და ერთპიროვნულად მივიდა ფინიშის ხაზთან. 7 ქულა ორმა გაიყო - **რამაზ ენდელაძემ** და **ნიკა ვოლკოვმა**; 6.5 ქულა კი მხოლოდ **კახაბერ წერეთელს** აღმოაჩნდა. აღსანიშნავია, რომ ტურნირში **ირაკლი ბერაძეც** მონაწილეობდა, რომელიც ამ თაობის ლიდერად ითვლება, მაგრამ მისი ბოლოდროინდელი შედეგები სასურველ შთაბეჭდილებას ვერ ტოვებს და ამჯერადაც არასათანადოდ ითამაშა - 6 ქულით მეხუთეზე გავიდა. ირაკლი განთესვით პირველი იყო და რეიტინგში რამდენიმე პუნქტს დაკარგავს, ლორთქიფანიძე კი მოიმატებს, თუმცა ბევრს არა, რადგანაც მეორე ფავორიტი იყო. მესამეზე გასულმა ვოლკოვმა განთესვის სადარი ადგილი დაიჭირა.

საბოლოო ათეულები ასეთია: **გოგონები: 1. მარიამ დანელია - 7.5; 2. ნათია ჯალაბაძე - 7; 3. ნანი უნაფქოშვილი - 6.5; 4. ნინო ანაკიძე - 6; 5. დეა გოგიშვილი - 6; 6. ვიკა ბობოხიძე - 6; 7. თეკლა ფარჯიანი - 5.5; 8. ანა შამათავა - 5.5; 9. ანა მარდალეიშვილი - 5.5; 10. დეა ჩაკვეტაძე - 5.5.**

ვაჟები: **1. ნოდარ ლორთქიფანიძე - 7.5; 2. რამაზ ენდელაძე - 7; 3. ნიკა ვოლკოვი - 7; 4. კახაბერ წერეთელი - 6.5; 5. ირაკლი ბერაძე - 6; 6. ლაშა კაჭარავა - 6; 7. ვაჟა დვალიშვილი - 6; 8. გიორგი ლომიძე - 6; 9. ტატო ქოჩაკიძე - 6; 10. ოთარ მანგიაშვილი - 6.**

ზვიად შათირიშვილი

მძლეოსნობა

# ქევხიშვილი ამერიკის საუკეთესო ახალგაზრდაა


მარიამ ქევხიშვილი

ამერიკის შეერთებულ შტატებში მოვარჯიშე მძლეოსანმა **მარიამ ქევხიშვილმა** მორიგ წარმატებას მიაღწია. ქართველმა გოგონამ ფლორიდის შტატის ქალაქ კეინტუნში ამერიკის ახალგაზრდულ პირველობაზე იასპარეზა, სადაც ჩემპიონობა არავის დაანება.

მარიამმა ბირთვი 17,56 მეტრზე გადააგდო, რაც მისი საუკეთესო მაჩვენებელი არ ყოფილა, მაგრამ შეჯიბრების მოსაგებად სავსებით საკმარისი აღმოჩნდა. ცნობისათვის, ქევხიშვილმა პირადი რეკორდი ამ ზამთარს ჭერქვეშ დაამყარა, როდესაც ბირთვი 17,85 მეტრზე ტყორცნა.

როგორც საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ყარამან საბანაშვილმა** გვაცნობა, ზამთრის შემდეგ, ეს იყო პირველი შეჯიბრება ღია ცის ქვეშ, რომელზეც ქევხიშვილმა იასპარეზა. ამდენად, მის მიერ ნაჩვენები შედეგი დამაკმაყოფილებელია. საბანაშვილი იმედოვნებს, რომ მისი შეგირდი პეკინის ოლიმპიურ თამაშებამდე ბოლომდე გაიხსნება და ოპტიმალურ ფორმაში შევა.

მორიგ შეჯიბრებას ქევხიშვილი 14-15 ივნისს ჩაატარებს - ამჯერად, ამერიკის ღია ჩემპიონატზე უფროსებში იასპარეზებს.

კობა ხატისაშვილი

ჭადრაკი. ინტერვიუ ლევან ფანცულაიასთან

# მზად ვარ, მოჭადრაკის კარიერა გავწირო!..

29 ივნისს, ქართველი მოჭადრაკეები ახალ პრეზიდენტს აირჩევენ და ორი წლით ჩააბარებენ ეროვნული ჭადრაკის ბედს. ფედერაციაში საქმეები რომ კარგად არ მიდის, წინა ხელისუფლების მუშაობის დროსაც გამოჩნდა და არც მანამდე დაუკრეფია ია-ვარდი რამდენიმე ჩინოსანს; სულ 6 წლის განმავლობაში ქართულმა ჭადრაკმა 6 (?!) პრეზიდენტი გამოიცვალა და, რა გასაკვირია, რომ საქმე სულ უკან და უკან წავიდა... ამჯერად პრეზიდენტობის მსურველი ხუთია. ხუთივე კარგად ცნობილი სახელია, მაგრამ შანსები რომ სხვადასხვაგვარია, ბუნებრივია. შანსებს ყრილობა გამოაჩენს, მაგრამ ყველაზე მოულოდნელი ამ კვინტეტში 22 წლის დიდოსტატის, ლევან ფანცულაიას გამოჩენა იყო. ლევანი ძალიან ნიჭიერი მოჭადრაკეა, თავისი თაობის უდავო ლიდერია და დიდი შანსი აქვს მთელი ქართული ჭადრაკის უპირველეს ოსტატადაც იქცეს. მის ასაკში ჩინოვნიკობაზე არ ფიქრობენ, მაგრამ ლევანმა ასე გადაწყვიტა და, ალბათ, საამისოდ სერიოზული მიზეზებიც აქვს. თუ რა, თავად მოგვახსენებს.


ლევან ფანცულაია

**- ლევან, რამ განაპირობა თქვენი გადაწყვეტილება, კენჭი გეყარათ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე?**

- გადაწყვეტილება იოლად არ მიმიღია - დიდხანს ვფიქრობდი. წლებია, ქართულ ჭადრაკში დამკვიდრებულ უსამართლობას, უწესრიგობას და გულგრილობას ვხედავ. ამით ყველა ზარალდება და მსურს არსებულ განუკითხაობას წერტილი დავუსვა. შემოვიკრიბე ძალზედ სერიოზული და გამოცდილი ხალხი, რომელთაც დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება გააჩნიათ, - მათი მხარდაჭერის დიდი იმედი მაქვს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ სოლიდურ ბიზნესმენებთან ერთად მოვდივარ, - ფინანსური გარანტიები უმთავრესია იმ საქმეში, რის გაკეთებასაც ვფიქრობ. არსებულ ვითარებას სხვაგვარად ვერ გამოვასწორებ.

**- საარჩევნო კამპანიაში როცა ერთვები, პირველი, რაც უნდა განსაზღვროს კანდიდატმა, საკუთარ შესაძლებლობებში ელექტორატის დარწმუნებაა; აუცილებელია, ამომრჩეველს საარჩენო პროგრამა გააცნო და კონკრეტული გზები აჩვენო. გაქვთ თუ არა პროგრამა და რა შეგიძლიათ უთხრათ დღეს ამომრჩევლებს?**

- პროგრამაზე ვმუშაობ და მას ოდნავ მოგვიანებით, დაახლოებით ერთ კვირაში წარვადგენ წინასაარჩევნო შეხვედრაზე. ცხადია, დეტალურად გავაცნობ ჩემს გეგმებს დაინტერესებულთ და ყველა კითხვაზე მიიღებენ პასუხს. ყრილობაზე კი ჩემს პარტნიორ ბიზნესმენებთან ერთად მოვალ და არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმითაც ვაჩვენებ დელეგატებს, რომ დაპირებები ფუჭი არ არის - საბანკო გარანტიებს წარვადგენ იმ თანხებზე, რის მოზიდვასაც ვაპირებ.

**- ასეთი განცხადება ყურადსაღებია და, მართლაც, საინტერესო. მაგრამ ყრილობამდე თუ გააცხადებთ, რა რაოდენობის თანხას მოიზიდავთ?**

- ჯერჯერობით თანხის დასახელებისგან თავს შევიკავებ. ერთს კი გეტყვით, რომ თანხა სოლიდური იქნება. შემიძლია მოგახსენოთ თუ რას გავაკეთებ ამ ფულით: პირველ რიგში, აქცენტს წლევანდელ საჭადრაკო ოლიმპიადისთვის მზადებაზე გადავიტანთ.. მოვაწყობთ ნაკრებთა ხანგრლივ შეკრებას და მწვრთნელებად რუსეთიდან გამოცდილ და მსოფლიოში ცნობილ სპეციალისტებს მოვიწვევთ. აუცილებლად ჩამოვაყალიბებთ ვაჟთა კლუბს, რომელიც ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე გამოვა. რაც მთავარია, პერსპექტიულ და ნიჭიერ ბავშვებს მივაქცევთ განსაკუთრებულ ყურადღებას და ყველა ღონეს ვიხმართ, რომ მათ დაოსტატებისთვის შესაბამისი პირობები შევუქმნათ. აუცილებელია შეიქმნას ჯგუფი, რომელშიც ნაკრების რეზერვი შევა და წარმატების შემთხვევაში ნაკრებშიც მოხვდებიან. ვფიქრობ, ასეთი მიდგომა ყველა მოჭადრაკეს კარგ სტიმულს მისცემს. ამას გარდა, შეიქმნება ძლიერი პრესსამსახური. თვეში ერთხელ გამოვა საჭადრაკო ჟურნალი, სადაც ქართველ მოჭადრაკეთა ცხოვრებაზე და შემოქმედებაზე იქნება მოთხრობილი. ცხადია, რომ საკმაოდ ადგილს დავუთმობთ მსოფლიო საჭადრაკო ცხოვრებას და გამოჩენილ მოჭადრაკეთა შემოქმედებასაც არ ავუვლით გვერდს. ჭადრაკის სასახლეში გამოიყოფა ოთახები, სადაც პროფესიონალ მოჭადრაკესაც შეეძლება თამაში და მოყვარულსაც. სამწუხაროდ, დღეისთვის ჭადრაკის სასახლეში ჭადრაკს ვერ ითამაშებ, რაც გაუგონარი რამ არის, მაგრამ რატომღაც დღემდე ეს პრობლემა გულთან ახლოს არავის მიუტანია...

**- ახალგაზრდებს ნამდვილად სჭირდებათ ყურადღება და სტიმული, მაგრამ ყურადღება არც ვეტერანებს აწყენდათ...**

- ცხადია, ვეტერანებსაც არ მოვაკლებთ ყურადღებას და მათ დიდ გამოცდილებას აუცილებლად გამოვიყენებთ. ვისარგებლებ შემთხვევით და მწუხარებას გამოვთქვამ უდიდესი ქართველი მოჭადრაკის, პირველი ქართველი დიდოსტატის ბუხუტი გურგენიძის გარდაცვალების გამო. ჩემი აზრით, ბატონი ბუხუტის გარდაცვალების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ უყურადღებობა იყო. ჩემი პრეზიდენტობის შემთხვევაში მსგავსი რამ აღარ მოხდება.

**- ცხადია, ჭადრაკი მხოლოდ თბილისით არ შემოიფარგლება და უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონებში მის განვითარებას. ამ კუთხით რას გეგმავთ?**

- რეგიონები ყოველთვის იყო ქართული ჭადრაკის უძლიერესი შენაკადი და, რა თქმა უნდა, ჩვენც დიდ ყურადღებას დავუთმობთ. გეტყვით, რომ სახელისუფლებო ორგანიზაციებიდან მაქვს მხარდაჭერა, რისი მეშვეობითაც რეგიონებში არსებულ საჭადრაკო სკოლებს ფინანსურად და მატერიალურად დავეხმარებით. შევუძენთ აუცილებელ ტექნიკას, კომპიუტერებით უზრუნველვყოფთ და ინტელექტუალურ დახმარებასაც არ დავიშურებთ. სხვათა შორის, ნიჭიერი ბავშვების დიდ ნაწილს სწორედ რეგიონებიდან ველით და მათი ზრდისთვის, როგორც მოგახსენეთ, დიდ ძალისხმევას მივმართავთ.

**- ლევან, საქართველოს მოჭადრაკეთა ოლიმპიური ნაკრების წევრი ხართ და დიდი პერსპექტივაც გაგაჩნიათ. პრეზიდენტობის შემთხვევაში სპორტულ კარიერას ხომ არ დაასრულებთ?**

- ისეთ სოლიდურ გუნდთან ერთად მოვდივარ, რომ ვფიქრობ, კარიერის შეთავსება არ გამიჭირდება. თუმცა თუ საჭირო გახდა, მზად ვარ, ქართული ჭადრაკის სასიკეთოდ კარიერა დავთმო, - ამ ეტაპზე მთავარი სწორი და სამართლიანი საჭადრაკო პოლიტიკაა, რაც უკუსვლას შეაჩერებს და აღორძინების გზაზე დაგვაყენებს.

**- ძალიან დიდ მსხვერპლს ხომ არ გაიღებთ?**

- არა, ქართული ჭადრაკი ამად ღირს! თუმცა როგორც გითხარით, ვეცდები, ორივე საქმე შევათავსო და მჯერა, შევძლებ კიდეც.

**- თქვენი ოპონენტები ახალგაზრდულ ასაკს ყველაზე დიდ მინუსად გითვლიან: გამოუცდელია, ამიტომ ფედერაციას რეალურად სხვა ხელმძღვანელი ეყოლება, თავად კი ტურნირებზე ივლისო. ჩვენ ყველანაირ პირობას შევუქმნით, რომ კარიერა წარმატებულად გააგრძელოს და როცა წლები გავა, შემდეგ ეცადოს პრეზიდენტობასო.**

- აქ მხოლოდ ჩემს ამბიციაზე არ არის საუბარი, - მრავლად გვყავს ნიჭიერი ახალგაზრდობა. მათ ყურადღება და ხელშეწყობა სჭირდებათ. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციას წლების განმავლობაში მართავდნენ უფროსი თაობის მოჭადრაკეები, მაგრამ რაც გამოვიდა ამ საქმიდან, კარგად ვხედავთ... ჩვენ ახალგაზრდები კი ვართ, მაგრამ სუფთა ხელებით საქმის კეთების სურვილით ვართ ანთებული და ეს გადამწყვეტი მგონია.

**- ამაზეც აქვთ თავიანთი არგუმენტი: ბოლოს ახალგაზრდებმა ხომ მართეს ფედერაცია და რა გააკეთეს კარგი, პირიქით - აქამდე არნახული დანაშაულობები ჩაიდინეს და მთლად დააქციეს ფედერაციაო.**

- ჩემს გუნდში მარტო ახალგაზრდები ნამდვილად არ არიან - უფროსი ასაკის ხალხსაც შეხვდებით, რაც ერთგვარ ბალანსს ქმნის. ასეთივე დაბალანსებული იქნება ჩვენი პოლიტიკაც. იმ ძველებს კი, ვინც მსგავს მოსაზრებებს გამოთქვამენ, ვეტყვი, რომ თუ რამის გაკეთება შეეძლოთ, აქამდე უნდა გაეკეთებინათ, მომავალში უკეთესს ველარ შექმნიან.

**- ოთხი კანდიდატიდან მთავარ კონკურენტად ვის მიიჩნევ?**

- გია გიორგაძეს, მაგრამ ჩემი კონკურენტები კონკრეტულ გეგმას არ ამზეურებენ და არც ფინანსურ გარანტიებს იძლევიან. მათი თქმით, ჯერ კარგად უნდა ჩაიხედონ ფედერაციის ფინანსურ საქმიანობაში და შესწავლის შემდეგ იტყვიან თუ რას გააკეთებენ კონკრეტულად. ასეთი მიდგომა მართებულად არ მიმაჩნია - მე არ ვუშინდები იმ ციფრებს და ვალებს, რაც შეიძლება დამხვდეს ჭადრაკის ფედერაციაში, - ჩემი პარტნიორების შეწევნით მზად ვარ, ყველა პრობლემა აღმოვფხვრა და ვითარება გამოვასწორო. მინდა მოგახსენოთ, რომ არ მჩვევია სიტყვის გატეხვა. ვინც კარგად მიცნობს, ამას დაგიდასტურებთ. ამიტომ ხმამაღლა ვაცხადებ: ყველა სიტყვაზე პასუხისმგებელი ვარ და ჩემი პრეზიდენტობის შემთხვევაში, ქართული ჭადრაკი აღორძინების გზას დაადგება.

ზვიად შათირიშვილი

ხელბურთი. ინტერვიუ იმედო ფხაკაძესათან

# მოვემზადოთ უნივერსიადაზე


იმედო ფხაკაძე (მარჯვნივ)

**საქართველოს ხელბურთელთა ნაკრები სტუ-ს ბაზაზე აგრძელებს სამზადისს ივლისის დასაწყისში გასამართი მსოფლიო უნივერსიადისათვის. 19 ივნისს გუნდი მინსკის საერთაშორისო ტურნირზე მიდის, 9 ივლისს კი იტალიაში უნივერსიადა იწყება. მთავარი მიზანი კი ევროპის 2010 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპისათვის მომზადებაა, რომელიც ოქტომბერში დაიწყება. გუშინ, საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ იმედო ფხაკაძეს გავესაუბრეთ.**

- ჯერჯერობით, 15 ხელბურთელით ვვარჯიშობთ. ლეგიონერებიდან მხოლოდ რეზო ჭანტურიასა (მეტალურგი, მაკედონია) და რატი მსხვილიძეს (სტიარნანი, ისლანდია) ველოდებით, რომლებიც მინსკის ტურნირამდე შემოგვიერთდებიან. ამჟამად დღეში ერთხელ, სალამოობით ვვარჯიშობთ, 10 ივნისიდან კი ინტენსიურ შეკრებასა და ორჯერად ვარჯიშებზე გადავალთ.

**- ხელბურთელები როგორ ფორმაში არიან?**

- საკლუბო სეზონი დამთავრდა და მთლად ოპტიმალურ ფორმაში არ არიან. სწორედ ამიტომ დავიწყეთ სამზადისი ცოტა ადრე, რათა ბიჭები სასურველ კონდიციებში შევიყვანოთ.

**- 19 ივნისს, მინსკის საერთაშორისო ტურნირი გეწყებათ...**

- ჩვენთვის მინსკში მთავარი შედეგი არ არის. ამჟამად, ძირითად აქცენტს მსოფლიო უნივერსიადისათვის მოსამზადებელ ეტაპზე ვაკეთებთ. ისე, ბელარუსის ტურნირზე მხოლოდ ორი შეხვედრის ჩატარება გვიწევს, რადგან შეჯიბრება პირდაპირ ნახევარფინალებით იწყება. კარგი იქნებოდა, რომ ტურნირი ჯგუფური სისტემით ჩაეტარებინათ, რითაც უფრო მეტი საკონტროლო მატჩის გამართვის საშუალება მოგვეცემოდა.

მინსკში 15 ან 16 ხელბურთელით გავემგზავრებით.

**- ბელარუსს, რუსეთსა და ლატვიას ოპტიმალური შემადგენლობები ეყოლებათ?**

- ამის შესახებ ინფორმაცია არ მაქვს, მაგრამ სავარაუდოდ, რუსებსა და მასპინძლებს სტუდენტური გუნდები უნდა ჰყავდეთ, რაკილა ჩვენსავით საუნივერსიადოდ ემზადებიან.

**- უნივერსიადაზე ჩვენი მეტოქეების ვინაობა როდის გაირკვევა და რა მიზანი გექნებათ?**

- მეტოქეთა ვინაობას, ალბათ, ტურნირამდე რამდენიმე დღით ადრე შევიტყობთ რაც შეეხება მიზანს, წინა უნივერსიადაზე საქართველოს ნაკრებმა ფინალში ითამაშა, რაც ძალიან დიდი წარმატება იყო. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ მაშინ სერგო დათუკაშვილი გვყავდა, რომელიც, ფაქტობრივად, ნახევარი გუნდია. ახლა კი ასაკის გამო, სერგოს უნივერსიადაზე თამაში არ შეუძლია და ეს ჩვენთვის დიდი დანაკლისია. თუმცაღა, ურიგო შემადგენლობა მაინც არ გვყავს, მაქსიმალურად მაღალი შედეგისათვის ვიბრძოლებთ და ვნახოთ...

მთლიანობაში, მინსკის ტურნირსაც და უნივერსიადასაც ევროპის ჩემპიონატის მოსამზადებელ ეტაპებად განვიხილავთ.

**კობა ხატისაშვილი**

პეკინი 2008. მეტოქეები. ძიუდო

# თეა და ჩრდილოკავკასიელები

რუსეთის ძიუდოისტ ვაჟთა ნაკრების თავკაცმა **სერგეი ტაბაკოვმა** ოლიმპიური გუნდის შემადგენლობა დაასახელა. ევროპის ჩემპიონი **რუსლან კიშმახოვი** (60), ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი **ალიმ გადანოვი** (66), ევროპის ჩემპიონი **სალამუ მეჟიდოვი** (73), საფრანგეთის სუპერთასის მფლობელი **ალიმ ბაშკაევი** (81), ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს მესამე პრიზიორი **ივან პერშინი** (90), ევროპის ჩემპიონი **რუსლან გასიმოვი** (100), ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოსა და ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი **ტამერლან ტმენოვი** (+100).

ტაბაკოვმა შემადგენლობა მოსკოვის სუპერთასის დასრულების შემდეგ დაასახელა და იმ ტურნირმა მართლაც შეიტანა სოლიდური ცვლილებები. კერძოდ, ოლიმპიადაზე წასვლა იმის შემდეგ გაინაღდეს ბაშკაევმა, პერშინმა და გასიმოვმა. იმ ტურნირზე ყველაზე ცუდად პერშინმა იჭიდავა, რომელიც ირანელ გომთან ნაადრევად დამარცხდა და უმედლოდ დარჩა. ამდენად, მისი მოხვედრა, ერთი შეხედვით, უცნაურად ჩანს, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით - კარგად თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ რუსებს ამ წონაში ძლიერი სხვა არავინ ჰყავთ. მართალია, ოლიმპიური პრიზიორი **ხასანბი ტაოვი** ჯერ ისევ ჭიდაობს და 23-წლიანებში ევროპის ჩემპიონი **ზაფარ მახმადოვიც** ნაკრებშია, მაგრამ ესენი იმავე მოსკოვის ტურნირზე ვალერი ლიპარტელიანმა პატარა ბავშვებივით გადათელა - ორივე დააიპონა. მანამ მახმადოვმა ევროპის ჩემპიონატზეც იჭიდავა, მაგრამ იმდენად სუსტად, დიდ ბიჭებში გარეულ პატარას ჰგავდაო, ამბობდნენ ჩვენი მწვრთნელები. თამამად შეიძლება ითქვას, ამ ეტაპზე ოლიმპიადისთვის ხელთ მხოლოდ პერშინი შერჩათ, არადა, კარგი დროება არც მას უდგას - ზედ ევროპის ჩემპიონატის წინ ხელი იტკინა და იმ ტურნირზე ვერ იასპარეზა. ახლა ვარჯიში კი განაახლა, მაგრამ მოსკოვში გამოჩნდა, რომ ფორმაში არაა. თუმცა ის კარგი მონაცემების სპორტსმენია და, ეტყობა, ტაბაკოვიც ამიტომ ენდო - რაც უნდა იყოს, ძლიერია, გამოცდილია და ოლიმპიადამდე ფორმის აღსადგენად დრო ჯერ კიდევ რჩება. მაგრამ რაოდენ ნაყოფიერადაც უნდა გამოიყენოს მან დარჩენილი დრო, ვეჭვობთ, იმდენად მოუმატოს, **ირაკლი ცირეკიძისთვის** სერიოზულ კონკურენტად იქცეს. უბრალოდ, ჩვენი ფალავანი ძალიან ძლიერია საიმისოდ, თუნდაც პერშინის დონის მოჭიდავემ ასე მოკლე პერიოდში სერიოზულად გაუსწროს.

ალსანიშნავია, რომ პერშინი რუსთა ნაკრებში ერთადერთი ეთნიკური რუსია ჩრდილოკავკასიელთა გარემოცვაში. მართალია, იმ ექვსეულიდან კიშმახოვი სტავროპოლელია, გასიმოვი - სანკტპეტერბურგელი, მაგრამ წარმოშობით ორივე კავკასიელია.

გასიმოვმა ოლიმპიადაზე წასვლა მოსკოვის ტურნირის მოგებით გაინაღდა, როცა ფინალში უშუალო კონკურენტი - **ასლან უნაშხოტლოვი** დაამარცხა. ეს საოცარი ფინალი იყო, ლამაზი დასაწყისით და საოცარი დასასრულით - ფეხში ორივე ხელით შესულმა უნაშხოტლოვმა მეტოქე წარმატებით აიყვანა და აატორტმანა ჰაერში. თითქოს გასიმოვს ბეჭებზე დაგდება არ უნდა ასცდენოდა, მაგრამ მან ჰაერშივე დაუპირისპირა მეტოქეს კონტრილეთი - თავისკენ დაქაჩა და ფეხით ისეთი ამოსმული მიაყოლა, უნაშხოტლოვი ამოტრიალდა და ტატამზე ბეჭებით დასკდომა გასიმოვს დაასწრო. არადა, სალიცენზიო ტურნირები უნაშხოტლოვმა ბევრად უკეთ ჩაატარა და რეიტინგში საგრძნობლად გაუსწრო გასიმოვს. ამიტომ ევროპაზეც ის აჭიდავეს, თუმცა ძალზე უფერულად გამოვიდა. *"ცხადია, უზომოდ მიხარია ეს გამარჯვება, რადგან ამით ოლიმპიადაზე წასვლაც გავინაღდე. მწვრთნელებმა ჯერ კიდევ ტურნირის დაწყებამდე გაგვაფრთხილეს, რომ პეკინში ის წავიდოდა, ვინც ტურნირზე უკეთ იასპარეზებდა, ასეთი კი მე აღმოვჩნდი. მე და უნაშხოტლოვი კარგად ვიცნობთ ერთმანეთს, რადგან დიდი ხანია, ნაკრებში ერთად გამოვდივართ, მაგრამ რაოდენ ძნელი წარმოსადგენიც უნდა იყოს, ოფიციალურ ტურნირზე პირველად შევხვდით ერთმანეთს. სამწუხაროდ, ტრავმების გამო ძალიან ბევრი დავკარგე შარშანდელი სეზონის მეორე ნახევარში და წლეულს, სეზონის დასაწყისშიც, მაგრამ ფორმა უკვე აღვიდგინე."* - განაცხადა იმ ტურნირის დამთავრებისთანავე გასიმოვმა.

ბაშკაევმა მოსკოვში ვერცხლი მოიპოვა, რადგან ხელის ტრავმის გამო ფინალში **გიორგი ბაინდურაშვილთან** ვერ იჭიდავა. მანამ ვერც ევროპის ჩემპიონატზე გამოიჩინა თავი, მაგრამ ტაბაკოვი მაინც ენდო. ჩანს, მიზეზი აქაც მისი კონკურენტის - **სირაზუდინ მაგომედოვის** სუსტი გამოსვლაა. ოლიმპიურმა პრიზიორმა **დმიტრი ნოსოვმა** ჭიდაობას თავი დაანება და ტაბაკოვს დიდი არჩევანი არც აქ ჰქონდა. მაგრამ აქ თუ ორ, მეტ-ნაკლებად თანაბარი დონის მოჭიდავეს შორის უნდა ამოერჩია


რუსლან გასიმოვი

ერთ-ერთი, ქვედა წონებში ამის ფუფუნებაც არ გააჩნია - 60, 66 და 73 წონით კატეგორიებში მწვავე კრიზისი ანუხებთ. კიშმახოვს, გადანოვსა და მეჯიდოვს სერიოზული კონკურენტები არ ჰყავთ და პეკინში მათი გამოსვლა ეჭვს არც იწვევდა. ჩინეთის საგზური ასევე ადრე გაინაღდა ტმენოვმა, თუმცა აქ ბევრად ძლიერი კონკურენციაა. ამის მიუხედავად, ოლიმპიადაზე წასვლა მაინც ადრევე გაინაღდა. შეიძლება ითქვას, ჯერ კიდევ სექტემბერში, მსოფლიო პირველობაზე, როცა ვერცხლის მედალი მოიპოვა. მართალია, ოლიმპიური გუნდის კარში ჯერ ისევ ედგა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ **ალექსანდრ მიხაილინის** აჩრდილი, მაგრამ უმთავრესი პრეტენდენტი მაინც ტმენოვი იყო. მოგვიანებით ამას მიხაილინის სუსტი გამოსვლები დაემატა და ტმენოვი თანდათან უკონკურენტო გახდა.

სხვათა შორის, მოსკოვის ტურნირზე კიშმახოვმაც ხელი იტკინა, მაგრამ მეორე დღესვე განაცხადა, ტრავმა არაა იმდენად სერიოზული, ოლიმპიადაზე გამოსვლაში ხელი შემიშალოსო.

დაბოლოს, იმასაც გეტყვით, რუსეთის ქალთა ოლიმპიურ გუნდში ქართველი მძიმეწონოსანი, ოლიმპიური პრიზიორი **თეა დონგუზაშვილიც** იჭიდავებს.

**ირაკლი თავაძე**

ალპინიზმი

# მამა-შვილი ამადაბლანზე



23 მაისს, ქართველი მთამსვლელები, მამა-შვილი ბიძინა და ირაკლი გუჯაბიძეები ჰიმალაის მთათა სისტემის მწვერვალ ამადაბლანზე (6852 მეტრი ზღვის დონიდან) ავიდნენ. მწვერვალის დასალაშქრად ჰიმალაიში ქართველი მთამსვლელები სამკაციანი შემადგენლობით (ბიძინა გუჯაბიძე, ირაკლი გუჯაბიძე, ლევან მუშკუდიანი) ჯერ კიდევ 18 აპრილს გაემგზავრნენ, თუმცა დასახულ მიზნამდე მათ მთელი ერთი თვისა და 5 დღის შემდეგ მიაღწიეს.

ძირითადი დამაბრკოლებელი მიზეზი უამინდობა იყო, რამაც მთამსვლელთა გეგმებში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა. უამინდობით გამოწვეული მცირედი შესვენებების შემდეგ, ქართველ მთამსვლელთა სამეულმა მწვერვალის საბოლოო შტურმი დაიწყო.

23 მაისს, მწვერვალზე მხოლოდ მამა-შვილი ბიძინა და ირაკლი გუჯაბიძეები ავიდნენ, ექსპედიციის კიდევ ერთი წევრი - ლევან მუშკუდიანი კი შუალედურ ბანაკში დარჩა. მთამსვლელები, რომელთა გამგზავრება ჰიმალაიში კაზინო "აჭარამ" დააფინანსა, თბილისში უკვე დაბრუნდნენ.

ალსანიშნავია, რომ ცუდი ამინდების გამო 2008 წლის გაზაფხულის სეზონზე, ამადაბლანზე მხოლოდ ერთეულმა მთამსვლელებმა მოახერხეს ასვლა, რომელთა შორის ბიძინა და ირაკლი გუჯაბიძეებიც აღმოჩნდნენ. ეს მამა-შვილის პირველი ერთობლივი ექსპედიცია იყო ასეთი სიმაღლის მწვერვალზე.

*სპორტის დეპარტამენტის პრესსამსახური*

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური სპორტი

მძლეოსნობა. რეკორდების ისტორია

# ჰეინსიდან ბოლტამდე



**9.72-ამიერიდან, 100 მეტრზე მორბენალი მამაკაცებისთვის ორიენტირად სწორედ ეს დრო ჩაითვლება. რეკორდი 21 წლის იამაიკელ სპრინტერ უსეინ ბოლტს ეკუთვნის. დღეს გავიხსენოთ ის მძლეოსნები, რომლებმაც 100 მეტრის გარბენას 10 წამზე ნაკლები მოანდომეს.**

## ჯიმ ჰეინსი (აშშ)

***მსოფლიო რეკორდი:*** *9.95*
***მოქმედების ადგილი:*** *მეხიკო (მექსიკა), 1968 წლის 14 ოქტომბერი*

**რა პირობებში:** ოლიმპიურ თამაშებზე. ყოფილმა ბეისბოლისტმა პირველმა გადალახა ათწამიანი ზღვარი. მეხიკოს თამაშებზე, მისი რეკორდი მეათასედი წამის სიზუსტით ელექტრონულმა წამზომმა დააფიქსირა. მანამდე, შედეგებს ხელის წამზომით ზომავდნენ. ამიტომაც საკრამენტოში, აშშ-ის ჩემპიონატზე ჰეინსის მიერ ნაჩვენები 9.90 წამი რეკორდად ოფიციალურად არ ულიარებიათ.

## კელვინ სმიტი (აშშ)

***მსოფლიო რეკორდი:*** *9.93*
***მოქმედების ადგილი:*** *კოლორადო-სპრინგსი (აშშ), 1983 წლის 3 ივლისი*

**რა პირობებში:** საერთაშორისო ტურნირზე. სმიტი ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიო ჩემპიონატის სამგზის გამარჯვებულია, მაგრამ მისი სახელი რატომღაც დავიწყებას მიეცა. არადა, ტიტულების რაოდენობით, ის თუნდაც **ასაფა პაუელს** ბევრად აღემატება. სწორედ კელვინმა, 15 წლის შემდეგ, საკუთარ კედლებში შეძლო ლეგენდარული ჰეინსის რეკორდის გაუმჯობესება.

სმიტმა ყველაზე დასანანი მარცხი სეულის ოლიმპიადაზე იწვნია, როცა ავანსცენაზე სხვა სპრინტერები გამოვიდნენ: **კარლ ლუისი, ბენ ჯონსონი** და **ლინფორდ კრისტი.**

## კარლ ლუისი (აშშ)

***მსოფლიო რეკორდი:*** *9.86*
***მოქმედების ადგილი:*** *ტოკიო (იაპონია), 1991 წლის 25 აგვისტო*

**რა პირობებში:** მსოფლიო ჩემპიონატზე. ეს იყო დიადი სპრინტის ეპოქა. მედლებისთვის ნამდვილი ბრძოლა ჯერ კიდევ სეულის ოლიმპიადაზე დაიწყო, როცა ბენ ჯონსონმა ფენომენალური შედეგი დააფიქსირა (9.79), მაგრამ კანადელს დოპინგის მიღება დაუმტკიცეს და მისი წამები დავიწყებას მიეცა.

სანამ ჯონსონი სასამართლოსთან დაობდა, სპრინტში ლუისი გამეფდა და მისი გამარჯვებების სერია 1991 წელს, კიდევ ერთი ბრწყინვალე რეკორდით დასრულდა - 9.86.

## ლეროი ბარელი (აშშ)

***მსოფლიო რეკორდი:*** *9.85*
***მოქმედების ადგილი:*** *ლოზანა (შვეიცარია), 1994 წლის 6 ივლისი*

**რა პირობებში:** საერთაშორისო ტურნირზე. ლუისის კიდევ ერთმა კონკურენტმა **ლეროი ბარელმა** კარიერის ბოლოს შეძლო ოლიმპიური თამაშების ცხრაგზის ჩემპიონის დამარცხება. მათი მეტოქეობა 1991 წლის ივნისში დაიწყო: ნიუ იორკის ტურნირზე ბარელმა 9.90 წამი დააფიქსირა (იმ ცნობილი გარბენის დროს, ერთბაშად ექვსმა (!) სპრინტერმა მოახერხა 10 წამზე ნაკლები დროის ჩვენება). მაგრამ ორი თვის შემდეგ, ლუისმა თავისი ცნობილი 9.86 დააფიქსირა (ლეროიმ სულ რაღაც ორი მეასედი წააგო!).

და მაინც, ბოლო სიტყვა ბარელმა თქვა, რომელმაც კარიერა ისე დაასრულა, ოლიმპიადებზე და მსოფლიო ჩემპიონატებზე პირადი ოქროს მედალი არ მოუგია.

## დონოვან ბეილი (კანადა)

***მსოფლიო რეკორდი:*** *9.84*
***მოქმედების ადგილი:*** *ატლანტა (აშშ), 1996 წლის 27 ივლისი*

**რა პირობებში:** ეს იყო კანადაში გადაბარგებული იამაიკელის კარიერის მწვერვალი: მსოფლიო რეკორდი და სენსაციური გამარჯვება ესტაფეტაში. ერთი წლის შემდეგ, ათენის მსოფლიო ჩემპიონატზე 5 მეასედი წააგო **მორის გრინთან** და დროულად წავიდა სპორტიდან.

## მორის გრინი (აშშ)

***მსოფლიო რეკორდი:*** *9.79*
***მოქმედების ადგილი:*** *ათენი (საბერძნეთი), 1999 წლის 16 ივნისი*

**რა პირობებში:** საერთაშორისო ტურნირზე. გრინმა ბენ ჯონსონის ანულირებული რეკორდი გაიმეორა. ორი თვის შემდეგ, 1999 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მან მორიგი სასწაული მოახდინა (9.80). კარიერა კი, 2004 წელს დაასრულა, როცა ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

გრინის კარიერისა ბევრს შეშურდებოდა: ოთხი ოლიმპიური მედალი (ორი ოქროსი), მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონობა. ალბათ, კარლ ლუისის შემდეგ, ასეთი წარმატებული არცერთი სპრინტერი არ ყოფილა.

## ტიმ მონტგომერი (აშშ)

***მსოფლიო რეკორდი:*** *9.78*
***მოქმედების ადგილი:*** *პარიზი (საფრანგეთი), 2002 წლის 14 სექტემბერი*

**რა პირობებში:** საერთაშორისო ტურნირზე. ტიმ მონტგომერი ერთადერთი იყო, ვისაც გრინისთვის კონკურენციის გაწევა შეეძლო, მაგრამ დოპინგსკანდალებში გაეხვა. მისი ცნობილი რეკორდი მაშინვე დაივიწყეს. ამერიკის ანტისადოპინგო სააგენტოს თანამშრომლებმა დაამტკიცეს, რომ მონტგომერი აკრძალული პრეპარატებით ვაჭრობდა და ამ გზით, ჯამში 1.7 მილიონი დოლარი იშოვნა. საინტერესოა, რომ სპრინტერის არცერთ დოპინგტესტს დადებითი შედეგი არ უჩვენებია.

ამა წლის მაისში, მონტგომერი სხვადასხვა მაქინაციისთვის (მათ შორის, ჰეროინით ვაჭრობისთვის) ოთხი წლით ჩასვეს ციხეში. *"ყველაფერი მქონდა, რაც მინდოდა. მწვერვალზე ვიყავი. ოქროს მედლები, ფანების ღიმილი... დღეს ეს ყველაფერი სხვა სამყაროს ნაწილია. ციხეში ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს"*, - განაცხადა სასამართლოს შემდეგ მძლეოსანმა.

## ჯასტინ გეტლინი (აშშ)

***მსოფლიო რეკორდი:*** *9.77 (გაიმეორა ასაფა პაუელის რეკორდი)*
***მოქმედების ადგილი:*** *დოჰა (კატარი), 2006 წლის 12 მაისი*

**რა პირობებში:** საერთაშორისო ტურნირზე. გეტლინმა იმ საღამოს 9.76 აჩვენა, მაგრამ ხუთი დღის შემდეგ, IAAF-მა ამ შედეგს ერთი მეასედი ნაუმატა და ამერიკელი პაუელის რეკორდის გამეორებას დასჯერდა. საქმე ისაა, რომ ელექტრონწამზომმა 9.766 დააფიქსირა და საერთაშორისო წესების თანახმად, დრო მათემატიკური წესით მრგვალდება ხოლმე.

გეტლინის კარიერაც დოპინგის გამო დაილუპა. მას ოთხწლიანი დისკვალიფიკაცია მისცეს, მაგრამ როგორც სპრინტერი ირწმუნება, მან არა დოპინგი, არამედ სამკურნალო პრეპარატები მიიღო. სპორტსმენი კვლავ სასამართლოს ძალით არკვევს ურთიერთობას IAAF-თან და ამ ხმაურიან საქმეს 6 ივნისს დაესმება წერტილი.

## ასაფა პაუელი (იამაიკა)

***მსოფლიო რეკორდი:*** *9.74*
***მოქმედების ადგილი:*** *რიეტი (იტალია), 2007 წლის 9 სექტემბერი*

**რა პირობებში:** საერთაშორისო ტურნირზე. პაუელმა, რომელიც 17 წლამდე ფეხბურთს თამაშობდა და სირბილზე საერთოდ არ ფიქრობდა, 2005 წელს ფანტასტიკური მსოფლიო რეკორდი დაამყარა (9.77). ის ერთი წლით ადრე, ათენის ოლიმპიურ თამაშებზეც ფავორიტად მოიაზრებოდა, მაგრამ ნერვულ დაძაბულობას ვერ გაუძლო. საერთოდაც, როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, იამაიკელს სერიოზული მეტოქეების კომპლექსი აწუხებს. დიდ ტურნირებზე ყოველთვის ჩავარდნა აქვს, სამაგიეროდ, ბრწყინვალე შედეგებს აფიქსირებს მაშინ, თუ გვერდით სერიოზული კონკურენტები არ ჰყავს.

## უსეინ ბოლტი (იამაიკა)

***მსოფლიო რეკორდი:*** *9.72*
***მოქმედების ადგილი:*** *ნიუ იორკი (აშშ), 2008 წლის 31 მაისი*

**რა პირობებში:** საერთაშორისო ტურნირზე. იამაიკელმა იუნიორმა პირველად 3 მაისს, მშობლიურ კინგსტონში გაისროლა და იმ მომენტისთვის მძლეოსნობის ისტორიაში მეორე შედეგი აჩვენა - 9.76. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ 21 წლის სპრინტერს მანამდე არასოდეს გაერბინა 100 მეტრი 10 წამზე ნაკლებ დროში. და საერთოდაც, ის უფრო 200 მეტრს დისტანციაზე სპეციალიზდებოდა, სადაც შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ამიტომაც, მეხის გავარდნასავით იყო გასულ შაბათს, ნიუ იორკში ნაჩვენები შედეგი. 9.72 - ეს სერიოზული გამოწვევაა მოქმედი მსოფლიო ჩემპიონისთვის, ამერიკელ **ტაისონ გეისთვის.** პეკინში ბოლტი, ნებისმიერ შემთხვევაში ფავორიტი იქნება.

**P. S.** 1996 წელს, ერთ-ერთ ტურნირზე ფენომენალური შედეგი დაფიქსირდა - 9.69 წამი. მისი ავტორი გახდა ბარბადოსელი **ობადელე ტომპსონი.** მართალია, მაშინ ზურგის ქარი 5.7 მეტრი წამში სიჩქარით უბერავდა, მაგრამ ფაქტია, რომ ასე სწრაფად არავის ურბენია.

**გია თვალაბეიშვილი**

ოლიმპიზმი. 2016 წლის თამაშები

# ოთხი ქალაქი შეირჩა

ჩიკაგო, ტოკიო, რიო დე ჟანეირო და მადრიდი ის ქალაქებია, რომელთა შორისაც, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (სოკ-ი) 2016 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძელს აირჩევს. გუშინ სოკ-ის აღმასრულებელმა კომიტეტმა ამჯერად დაიწუნა ისეთი ქალაქები, როგორებიცაა ყატარის დოჰა, აზერბაიჯანის ბაქო და ჩეხეთის პრაღა. თუმცა, ამის მიუხედავად, სოკ-ის პრეზიდენტმა **ჟაკ როგემ** ყველა პრეტენდენტს უმაღლესი შეფასება მისცა.

*"თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ყველა ქალაქის განაცხადი უმაღლეს შეფასებას იმსახურებს, მაგრამ ჩვენ მათ შორის არჩევანი უნდა გაგვეკეთებინა. ის ფაქტი, რომ ჩვენ ასეთ ძლიერ განაცხადებს შორის მოგვიწია არჩევა, იმაზე მეტყველებს, რომ ოლიმპიური მოძრაობა სწორ გზაზე დგას. მინდა, იმ ქალაქებს მივულოცო, რომლებიც კანდიდატებად ავირჩიეთ. ვიმედოვნებ, რომ ის ქალაქები, რომლებსაც ამჯერად ბედმა არ გაუღიმა, განვლილი პროცესის დროს დაგროვილ გამოცდილებას სამომავლოდ გამოიყენებენ"*, - ამბობს როგე.



შერჩეულ ქალაქებს ახლა თავიანთი პროექტების უფრო სიღრმისეული დამუშავება მოუწევთ, რათა ისინი სოკ-ის შემფასებელ კომისიას წარუდგინონ. რაც შეეხება 2016 წლის ოლიმპიადის მასპინძელს, მას 2009 წლის 2 ოქტომბერს სოკ-ის სესია აირჩევს, რომელსაც კოპენჰაგენი (დანია) უმასპინძლებს.

*"ჩვენ ოლიმპიური მოძრაობის ღირებულებებს შესაბამისად ვაფასებთ და მიგვაჩნია, რომ ოლიმპიადის მასპინძლობა შესანიშნავი შესაძლებლობა იქნებოდა იმისა, რომ მთელი მსოფლიოსთვის გაგვეცნო მადრიდი, როგორც მრავალმხრივ განვითარებული, მიმზიდველი და საცხოვრებლად ყოველმხრივ მოსახერხებელი ქალაქი"*, - ამბობს მადრიდის საგანაცხადო ჯგუფის ლიდერი **მერსედეს კოგენი.**

შეგახსენებთ, რომ მადრიდს წინა ორი ოლიმპიადის მასპინძლობის რეალური შანსი ჰქონდა, მაგრამ ორივე შემთხვევაში, სანუკვარი მიზნის მიღწევამდე თითო-ოროლა ხმა აკლდებოდა. სოკ-ის შემფასებელმა კომისიამ ესპანეთის დედაქალაქს ამჯერად მეორე უმაღლესი შეფასება დაუწერა.

შეფასებათა მხრივ, პირველ ადგილზე ტოკიო იყო, რომელმაც ზაფხულის ოლიმპიადას ერთხელ უკვე (1964 წელს) უმასპინძლა. კანდიდატების შერჩევამდე, მესამე ადგილს ჩიკაგო და დოჰა იყოფდნენ. შემდეგ კი რიო მოდიოდა.

*"ბედნიერები ვართ, რომ კანდიდატთა სიაში ჩვენი ქალაქიც მოხვდა, მაგრამ ეს ჯერ გამარჯვებას არ ნიშნავს. საქმეს მონდომებით უნდა მოვეკიდოთ. კარგად უნდა გავთვალოთ ჩვენი სუსტი მხარეები და მათი აღმოფხვრისთვის ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა ჩვენი მყარი პოზიცია კიდევ უფრო გავამყაროთ"*, - ამბობს ტოკიოს განცხადის შეფი **იჩირო კონო.**

კანდიდატთა სიაში დოჰას ვერმოხვედრა ბევრს გაუკვირდა, რადგან ყატარის დედაქალაქი კენჭისყრამდე ერთ-ერთ ლიდერად მოიაზრებოდა, რადგან მასში ოლიმპიადის მასპინძლობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა თითქმის გამართულია. მაგრამ მას ნაკლად ის გარემოება ჩაუთვალეს, რომ ქალაქში მხოლოდ 500 000 ადამიანი ცხოვრობს, რაც ოლიმპიური მასშტაბისთვის მეტისმეტად მცირედ მიიჩნიეს. გარდა ამისა, იმის გამო, რომ ყატარში ზაფხული მეტისმეტად ცხელი დროა, დოჰას განაცხადი ოლიმპიადის ოქტომბერში ჩატარებას ითვალისწინებდა.

კენჭისყრაში მონაწილეობა სოკ-ის აღმასრულებელი საბჭოს 14-მა წევრმა და როგემ მიიღეს. შედეგების გამოცხადება ნახევარი საათით გადაიდო, რის გამოც გაჩნდა ვარაუდი იმის შესახებ, რომ შესაძლოა, საბჭოში კონსესუსის მიღწევა ვერ მოხერხდა. თუმცა შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა, კენჭისყრის შედეგების გამოცხადებას კი კანდიდატი ქალაქების წარმომადგენელთა ზეიმი მოჰყვა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა

# ფრანგების ახალი იმედი



მთელი საჩოგბურთო საფრანგეთი გაელ მონფილსს იმედის თვალით შესცქერის

1983 წელს **იანიკ ნოა** საფრანგეთის ღია პირველობის ჩემპიონი გახდა. მას შემდეგ კი ფრანგული სასლემო ტურნირი ერთ ფრანგსაც არ მოუგია. მასპინძელთაგან ყველაზე ახლოს მიზანთან, 2001 წელს **სებასტიან გროჟანი** იყო, ვინც ნახევარფინალს მიაღწია, მაგრამ ფინალის საგზურის მოპოვება ველარ შეძლო.

არაა გამორიცხული, რომ ჩოგბურთის ფრანგ მოყვარულთა ლოდინი 25 წლის შემდეგ დასრულდეს. ამის იმედს კი მათ **გაელ მონფილსი** აძლევს, რომელმაც ნახევარფინალში, მსოფლიოს პირველ ჩოგან **როჯერ ფედერერთან** თამაშის უფლება მოიპოვა, ვინც ამ სეზონში ჩვეული შედეგიანობით ვერ გამოირჩევა. გუშინ ფრანგთა ახალმა იმედმა მეოთხედფინალში ესპანელი **დავიდ ფერერი** საკმაოდ იოლად, ოთხ სეტში დაამარცხა.

*"ამ ტურნირისთვის კარგად მოვემზადე. პირველ რიგში, იმას ვცდილობ, რომ თამაშით მაქსიმალურად მეტი სიამოვნება მივიღო, მაგრამ მთავარია, რომ ყურადღება ოდნავადაც არ მოვადუნო. ამ მაყურებლის და ჩემი ოჯახის მხურვალე მხარდაჭერას ვგრძნობ, რაც ძალიან მეხმარება. რაც მთავარია, კარგ,.სანახაობრივ ჩოგბურთს ვთამაშობ და თამაშის ხარისხსაც წინსვლასთან ერთად ვაუმჯობესებ"*, - ამბობს მონფილსი, ვისაც ამ სეზონში, როლან გაროსამდე მხოლოდ ხუთი შეხვედრა ჰქონდა მოგებული.

მონფილსმა ფერერთან შეხვედრა ბრეიკით დაიწყო და პირველი ხელი ბრეიკითვე დახურა. ესპანელისგან ასეთ სუსტ დასაწყისს ბევრი არ ელოდა, თუმცა მან მეორე სეტში თამაშის ხარისხი გამოასწორა და შესაბამისი მოსავალიც მოიმკო – სეტებში ანგარიში გაათანაბრა. ფერერს, ვინც წინა ორ ეტაპზე ხუთსეტიანი შეხვედრები მოიგო, განსაკუთრებით კარგად წალმა დარტყმები გამოსდიოდა, რომელთა წყალობითაც, ასევე ორჯერ შეძლო მეტოქის გეიმის მოგება.

მაგრამ ამით მონფილსი ვერ დააბნია. ფრანგმა აქცენტი შემტევ სტილზე გადაიტანა. ის მოწოდების მიღებაზევე ისე მძლავრად ურტყამდა, რომ მეტოქეს ბევრ პრობლემას უქმნიდა. თანაც, თავისი გრძელი ხელ-ფეხის წყალობით, ბურთს ყველგან სწვდებოდა. მას პრობლემები არც მაშინ ექმნებოდა, როცა ფერერი ბურთს მიმართულებას უცვლიდა. მოკლედ, მესამე სეტიც მონფილსმა მოიგო.

მაგრამ ფერერისთვის 1:2 ჩამორჩენა ამ ტურნირზე უცხო არ იყო – მან სწორედ ამ ანგარიშიდან ამოუქაჩა მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს, ავსტრალიელ **ლეიტონ ჰიუიტსა** და ჩეხ **რადეკ შტეპანეკს**. ჰოდა, ახლაც ბევრს ეგონა, რომ ფერერი ამ შეხვედრაშიც შეძლებდა მარცხისგან თავის დაღწევას, მაგრამ ესპანელს ამისათვის საჭირო ძალები აღარ შემორჩა.

მეოთხე სეტში მონფილსმა პირველი ხუთი გეიმი მოიგო და 5:0 დაწინაურდა. შემდეგ გეიმში ფერერმა თავის მოწოდებაზე ქულა აიღო, მომდევნოში კი, მეტოქის სერვისზე, 30:0 დაწინაურდა, მაგრამ უფრო მეტს ველარ მიაღწია. ფრანგმა ნერვები დაიმშვიდა, ანგარიში ზედიზედ ორი სერვის-ვინერით გაათანაბრა და პირველივე მატჩ პოინტი, ფერერის მიერ დაშვებული შეცდომის წყალობით, გამარჯვების ქულად აქცია.

აღსანიშნავია, რომ ოთხი წლის წინათ, მონფილსი იუნიორებში მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახდა. მან დიდი სლემის სამი ტურნირი – ავსტრალიის და საფრანგეთის ღია, ასევე უიმბლდონი მოიგო და ერთი ნაბიჯი დააკლდა იუნიორული დიდი სლემის შესრულებამდე – აშშ-ის ღიას მესამე წრეში გამოეთიშა (სერბ **ვიქტორ ტროიცკისთან** დამარცხდა). ცნობისათვის, იუნიორთა შორის დიდი სლემი მხოლოდ შვედ **სტეფან ედბერგს** აქვს შესრულებული.

ატპ-ს ტურზე მონფილსს ერთი ტურნირი აქვს მოგებული (სოპოტი, პოლონეთი). ორი წლის წინ კი, დოჰაში ფინალს მიაღწია, მაგრამ იქ ფედერერთან ორ სეტში (3:6, 6:7) დამარცხდა. დაკიდევ, მონფილსი ერთადერთი ჩოგბურთელია, ვისთან შეხვედრაშიც, ხორვატ გიგანტ **ივო კარლოვიჩს** ესისი არ მოუწოდებია. რა თქმა უნდა, ის შეხვედრა ფრანგის გამარჯვებით დასრულდა.

გუშინ მოსაგებად ოთხი სეტი დასჭირდა ფედერერსაც, ვინც ჩილელ **ფერნანდო გონსალესს** მოუგო. შვეიცარიელმა, გონსალესთან შეხვედრა უხეიროდ დაიწყო. შედეგად, ჩილელმა პირველი სეტი საკმაოდ იოლად მოიგო. ამ დროს, ბევრს ალბათ გაახსენდა, რომ შვეიცარიელი მაესტრო ამ სეზონს მისთვის შეუფერებლად ატარებს – აქამდე მხოლოდ ერთი ტურნირი აქვს მოგებული. თუმცა საფრანგეთის ღიასთვის ის მაინც განსაკუთრებით მოემზადა, რისი შედეგიც გუშინ, გონსალესთან შეხვედრის მეორე-მეოთხე სეტებში ვნახეთ.

მეორე სეტის დასაწყისიდან ფედერერი სრულიად გარდაიქმნა. მან მეოთხე და მერვე გეიმებში ბრეიკები მოიპოვა და სეტებში ანგარიში გაათანაბრა. მესამე სეტის პირველივე გეიმში, როცა შვეიცარიელი აწოდებდა, გონსალესი 40:0 დაწინაურდა. მაგრამ ესოდენ სოლიდური უპირატესობის გამოყენება ვერ შეძლო, რის გამოც მან ჯავრი ჩოგანზე იყარა.

ეს გარდატეხის მომენტი გამოდგა. საკუთარი ძალების რწმენა როგორც კი აღიდგინა, ფედერერმა უმალ დაიწყო მეტოქის განადგურება. შვეიცარიელს ყველაფერი გამოსდიოდა და თუ ხანდახან შეცდომასაც უშვებდა, ამას მის თამაშში დისონანსი არ შეჰქონდა.

*"ეს ის თამაშია, რასაც ვისურვებდი, განსაკუთრებით კი აქ, საფრანგეთის ღიაზე. ეს ჩემთვის ურთულესი ტურნირია და მიხარია, რომ მის მიწურულს ასეთ კარგ ფორმაში შევედი. რა თქმა უნდა, აქ ზედიზედ ოთხჯერ ნახევარფინალში გასვლა დიდი მიღწევაა, მაგრამ ბედნიერი ვიქნები, თუ ამ მიღწევას ტიტულითაც დავაგვირგვინებ"*, - განაცხადა ფედერერმა, ვინც დიდი სლემის ზედიზედ მე-16 ტურნირის ნახევარფინალში ითამაშებს.

ქალთა ბადეშიც ოთხივე ნახევარფინალისტის ვინაობაა გარკვეული. ერთ წყვილში, ერთმანეთს სერბები – **ანა ივანოვიჩი** და **ელენა იანკოვიჩი** დაუპირისპირდებიან, მეორეში კი ფინალისტის ვინაობას რუსები - **სვეტლანა კუზნეცოვა** და **დინარა საფინა** გაარკვევენ. გუშინ სწორედ ბოლო ორმა მოიპოვა ნახევარფინალის საგზური.

თუ კუზნეცოვა თავიდანვე ტურნირის ფავორიტთა შორის მოიხსენიებოდა, საფინას ასე შორს ბევრი არავინ ელოდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც **მარატ საფინის** უმცროსმა დამ მსოფლიოს პირველი ჩოგანი **მარია შარაპოვა** დაამარცხა, მისი შანსებიც გაიზარდა. მით უმეტეს, რომ მეოთხედფინალში მან კიდევ ერთი ძლიერი თანამემამულე, **ელენა დემენტიევა** დაამარცხა.

ისევე როგორც შარაპოვასთან შეხვედრაში, ამჯერადაც საფინამ პირველი სეტი წააგო და მეორეს 5:2-ს აგებდა. როგორც ჩანს, ეს ის ზღვარია, როცა დინარა მოსაგებად გარჯას იწყებს. ყოველ შემთხვევაში, ორივე მატჩში მან სწორედ ამ ზღვრიდან დაიწყო თამაშის შემობრუნება. მერვე გეიმში მან ბრეიკის აღება შეძლო, თუმცა თავის მოწოდებაზე, როცა ანგარიში 3:5 იყო, მატჩ პოინტის წინაშე აღმოჩნდა (შარაპოვასთან შეხვედრაშიც ზუსტად ასე იყო). მაგრამ ეს კრიტიკული ზღვარიც გადალახა, შემდეგ კიდევ ერთხელ აიღო მეტოქის მოწოდება და საქმე ტაიბრეიკამდე მიიყვანა, რომლის მოგების შემდეგ, დემენტიევასგან წინააღმდეგობას პრაქტიკულად აღარც შეხვედრია.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

**მამაკაცები**

**1/4 ფინალი**

**როჯერ ფედერერი** (შვეი, 1)-ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 24) 2:6, 6:2, 6:3, 6:4

**გაელ მონფილსი** (საფრ)-დავიდ ფერერი (ესპ, 5) 6:3, 3:6, 6:3, 6:1

**ქალები**

**1/4 ფინალი**

**სვეტლანა კუზნეცოვა** (რუს, 4)-კაია კანეპი (ესტ) 7:5, 6:2

**დინარა საფინა** (რუს, 13)-ელენა დემენტიევა (რუს, 7) 4:6, 7:6(5), 6:0

## TV სპორტი

**5 ივნისი. ხუთშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ფლუმინენსე (ბრაზილია)-ბოკა ხუნიორსი (არგენტინა).
14:05 ევრო 2008. ტელეჟურნალი.
15:05 2:1 - საფეხბურთო თოქ-შოუ.
16:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:20 ამხანაგური მატჩი. რუმინეთი-რუსეთი.
16:40 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:40 ამხანაგური მატჩი. ესპანეთი-აშშ.
19:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:50 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
20:00 ევრო 2008. ტელეჟურნალი.
21:00 საფეხბურთო კლუბი.
22:00 2:1 - საფეხბურთო თოქ-შოუ.
22:45 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ფლუმინენსე (ბრაზილია)-ბოკა ხუნიორსი (არგენტინა).
00:30 საფეხბურთო კლუბი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-მანჩესტერ იუნაიტედი.
09:00 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
09:10 სპორტდოსიე. ვინდსერფინგი.
09:40 ფეხბურთი. იტალიის თასი. ფინალი. რომა-ინტერი.
11:45 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-მალიორკა.
13:30 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
14:00 მძლეოსნობა. ჰოლანდიის გრანპრი.
17:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-იუვენტუსი.
18:45 სპორტკლუბი.
19:00 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
19:30 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
19:40 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ფლუმინენსე (ბრაზილია)-ბოკა ხუნიორსი (არგენტინა).
21:30 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
21:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
22:15 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. ფინალი. პიტსბურგი-დეტროიტი. VI მატჩი.
00:10 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
00:25 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-მანჩესტერ იუნაიტედი.
02:10 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-მალიორკა.
03:55 სპორტდოსიე. ვინდსერფინგი.
04:25 მძლეოსნობა. ჰოლანდიის გრანპრი.

**EUROSPORT**

10:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. XII დღე. მიმოხილვა.
10:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
11:00 ცხენოსნობა. სუპერლიგა. რომი. იტალია.
12:00 ცხენოსნობა. სუპერლიგა. სენტ გალენი. შვეიცარია.
13:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
13:15 სნუკერი. მსოფლიო ტური Swatch-FIVB. II დღე.
15:15 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. 1/4 ფინალი.
16:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. 1/2 ფინალი (LIVE).
20:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. XIII დღე. მიმოხილვა.
20:15 სნუკერი. მსოფლიო ტური Swatch-FIVB. II დღე.
22:15 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
22:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. XIII დღე. მიმოხილვა.
22:45 ფეხბურთი. ევრო 2008. პრევიუ.
23:15 პროფესიული კრივი. ნიუ იორკი. აშშ.
01:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. 1/2 ფინალი.
02:00 სნუკერი. მსოფლიო ტური Swatch-FIVB. II დღე.
03:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
03:15 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. XIII დღე. მიმოხილვა.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
09:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. ფიჯი.
10:00 ახალი ამბები.
12:15 ფეხბურთი. ევრო 2008. ამხანაგური მატჩი. რუსეთი-ლიტვა.
12:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ამხანაგური მატჩი. საფრანგეთი-კოლუმბია.
13:30 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. აშშ.
14:00 ახალი ამბები.
14:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. ფიჯი.
15:00 ახალი ამბები.
15:30 სნუკერი. მსოფლიო ტური Swatch-FIVB. II დღე (LIVE).
18:30 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. პლეიოფი.
19:15 ფეხბურთი. ევრო 2008. ამხანაგური მატჩი. საფრანგეთი-კოლუმბია.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ველოსპორტი. BMX. მსოფლიო თასი. დანია.
21:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 სერფინგი. მსოფლიო ტური. ფიჯი.
22:15 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. პლეიოფი.
22:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ამხანაგური მატჩი. პოლონეთი-დანია.
23:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ამხანაგური მატჩი. საფრანგეთი-კოლუმბია.
00:15 ფეხბურთი. ევრო 2008. ამხანაგური მატჩი. რუსეთი-ლიტვა.
01:00 ახალი ამბები.
01:15 სერფინგი. მსოფლიო ტური. ფიჯი.
01:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
01:45 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
02:45 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

| | | |
|---|---|---|
| **ფეხბურთი** | | |
| **ამხანაგური მატჩები** | | |
| ესტონეთი-ფარერები | | 4:3 |
| რუსეთი-ლიტვა | | 4:1 |
| ესპანეთი-აშშ | | 1:0 |
| **იტალია** | | |
| **სერია B** | | |
| პიზა-ლეჩე | | 0:1 |
| ბრეშია-ალბინოლეფე | | 1:0 |
| **შვედეთი** | | |
| **II დივიზიონი** | | |
| ბრომაპიოკარნა-სირიუსი | | 3:1 |
| ენჩოპინგი-იონჩოპინგი | | 4:1 |
| ფალკენბერგი-მიალბიუ | | 0:0 |
| კვიდინგი-ბუნკეფლო | | 0:0 |
| **ფინეთი** | | |
| **II დივიზიონი** | | |
| ტპ47-ოულუ | | 1:3 |
| **ნორვეგია** | | |
| რუსენბორგი-ბრანი | | 1:1 |
| **ნორვეგიის თასი** | | |
| ალგარდი-სანდნესი | | 2:3 |
| ალტა-ტრიომსდალენი | | 6:2 |
| ასანე-აალესუნდი | დ.დ. | 4:5 |
| ფლეკეროი-ბრინი | | 1:3 |
| ფრამი-სტაბეკი | | 0:2 |
| ჰიოდი-ნტნუი | | 4:1 |
| კფუმ-სტრიომსგოდსეტი | | 0:3 |
| კონგსვინგერი-ლოვენსკოგი | დ.დ. | 4:2 |
| კორსვოლი-ლინი | | 1:3 |
| მანგლერუდი-ნიბერგსუნდი | | 2:1 |
| ოსი-ჰაუგესუნდი | | 0:4 |
| პორს გრენ.-ჰიონეფოსი | დ.დ. | 5:3 |
| რანჰეიმი-ნარდო | | 8:0 |
| სანდეფიორდი-მანდალი | | 4:0 |
| სკარბოვიკი-სიოგნდალი | დ.დ. | 1:6 |
| სპრინტი-მოსი | | 0:6 |
| სტარტი-ტონსბერგი | | 2:1 |
| სტავანგერი-ვიკინგი | | 0:2 |
| სტეინკიერი-მიოლდე | 1:1, პენ. | 2:4 |
| ასკერი-ნოტოდენი | | 1:0 |
| **რუსეთი** | | |
| **II დივიზიონი** | | |
| ზვეზდა-სკა ენერგია | | 1:2 |
| ანჟი-ურალი | | 1:1 |
| კამაზი-ბალტიკა | | 1:1 |
| მაშუკი-დინამო (ბარ) | | 1:1 |
| საკ მოსკოვი-სიბირი | | 1:0 |
| ვოლგა-ტორპედო | | 1:0 |
| ალანია-მეტალურგი | | 1:0 |
| ჩერნომორეცი-როსტოვი | | 0:1 |
| ს. ენერგია-ნოსტა | | 4:3 |
| სკა-ვიტიაზი | | 2:3 |
| ყუბანი-დინამო (ბრ) | | 3:0 |
| **სლოვენია** | | |
| **პლეიოფი** | | |
| დრავა-ბონიფიკა | | 2:0 |
| **უნგრეთის თასი** | | |
| დებრეცენი-ჰონვედი | | 2:1 |
| **ეკვადორი** | | |
| ასოგესი-ოლმედო | | 2:0 |
| **კალათბურთი** | | |
| **საბერძნეთი** | | |
| პანიონიოსი-მარუსი | | 88:74 |
| პანათინაიკოსი-ოლიმპიაკოსი | | 90:76 |
| **საფრანგეთი** | | |
| რუანი-ლე მანი | | 73:60 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# საწოლში მადონასთან

**მარტინა ნავრატილოვა - ყველა დროის ყველაზე ტიტულოვანი ჩოგბურთელი ქალი. მას ვერავინ შეედრება მოგებული ტურნირების რაოდენობით, ვერც კორტზე მოპოვებული ჰონორარების სიდიდით. მაგრამ, ქერათმიან მარტინას არანაკლები პოპულარობა მოუტანა მისმა მრავალრიცხოვანმა რომანებმა... თავისსავე სქესის წარმომადგენლებთან. ის თვით მადონასთანაც კი აღმოჩნდა ლოგინში!**



მარტინა ნავრატილოვა 1960 წელს, ჩეხოსლოვაკიის პატარა პროვინციულ ქალაქში დაიბადა. 13 წლის ასაკში პროფესიონალი ჩოგბურთელი გახდა, 1974 წელს კი, აშშ-ს ღია პირველობა მოიგო, რისთვისაც 50 ათასი დოლარი მიიღო. პრალელმა ჩინოვნიკებმა მარტინას ეს თანხა მთლიანად ჩამოართვეს და მხოლოდ 200 დოლარი დაუტოვეს. ალბათ, სწორედ მაშინ გადაწყვიტა ნავრატილოვამ ჩეხოსლოვაკიიდან გაქცევა. 18 წლის ჩოგბურთელმა ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა თავის სამშობლოსთან, ნათესავებთან და მეგობრებთან და 1975 წელს, აშშ-ში პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვა. ასე აღმოჩნდა იგი, "შეშლილ სამყაროში"...

ნავრატილოვაზე მფარველობა თავის თავზე აიღო ცნობილმა ამერიკელმა ჩოგბურთელმა **ბილი ჯინ კინგმა**. თავიდან, მარტინას რჩევებით ეხმარებოდა. შემდეგ, გოგონას ერთად ვარჯიში შესთავაზა. ცოტა მოგვიანებით კი, საწოლში მიიწვია ახალი მეგობარი. მარტინა დათანხმდა და როგორც შემდეგ აღიარა, დიდი სიამოვნებაც მიიღო. ამასობაში, საყვარლებმა კორტზე დამეგობრებაც გადაწყვიტეს და წყვილთა თანრიგში დაიწყეს თამაში. ნავრატილოვა-კინგის დუეტის ზედიზედ რამდენიმე ტურნირში ტრიუმფმა, ყოფილი ჩეხი ლესბოსული სექსის სარგებლობაში დაარწმუნა.

მათი რომანი ხანმოკლე აღმოჩნდა. ნავრატილოვა **სანდრა ჰეილიმ**, მილიონერის 35 წლის ქვრივმა გაიტაცა. პირველი ღამის შემდეგ, ჰეილიმ ახალ საყვარელს სთხოვა თმები შეეღება. სწორედ ამის შემდეგ გახდა მარტინა ქერათმიანი.

ჰეილიმ და ნავრატილოვამ სამი წელი იცხოვრეს ერთად. ისე ჩანდა, რომ სტაბილური პირადი ცხოვრება პროფესიული ოსტატობის ამაღლებას უწყობდა ხელს: 1978 წლის 10 ივლისს, ქალთა საჩოგბურთო ასოციაციის კომპიუტერმა მარტინა რეიტინგის პირველ ადგილზე დააყენა.

მაგრამ მომავალ წელს, ნავრატილოვას ვერავინ ცნობდა - იგი ტურნირს ტურნირზე აგებდა და აშკარად ვერ ფარავდა ნერვიულობასა და გაღიზიანებას. თურმე ამ ყველაფრის მიზეზი ჰეილის დაუკმაყოფილებელი სექსუალური მოთხოვნილებები ყოფილა. სანდრას მარტინასთან ნებივრობა არა კვირაში ერთხელ ან ორჯერ, არამედ ყოველდღიურად უნდოდა! ბოლოს და ბოლოს, საქმე იქამდე მივიდა, რომ ნავრატილოვა არჩევანის წინაშე დადგა: ან სიყვარული, ან სპორტი. მან არჩევანი გააკეთა - ჩოგბურთში დარჩა.

თუმცა, საყვარელ ქალთან განშორება მისთვის ძალიან მძიმე აღმოჩნდა. იგი ნერვიული სტრესის გამო საავადმყოფოშიც კი აღმოჩნდა. ხოლო როცა შინ დაბრუნდა, "დეილინიუსის" კორესპოდენტს შეხვდა. ძნელი სათქმელია, რა ბზიკმა უკბინა მაშინ ჩვეულებრივ ენაუთქმელ ნავრატილოვას, მაგრამ ფაქტია, რომ ჩოგბურთელმა ჟურნალისტს გული გადაუშალა.

სამი დღის შემდეგ, "დეილინიუსის" პირველ გვერდზე დიდი ასოებით ეწერა: *"მე ლესბოსელი ვარ და ვამაყობ ამით"*. აგორდა გრანდიოზული სკანდალი, რომელსაც ნავრატილოვასთვის ფრიად უსიამოვნო შედეგები მოჰყვა. ამერიკული საზოგადოებრივი აზრი ჩოგბურთელის წინააღმდეგ წავიდა. როცა მარტინა კორტზე გადიოდა, ტრიბუნებიდან შეურაცხმყოფელი სიტყვები და წყევლა-კრულვა ესმოდა. ერთბაშად სამმა ფირმამ გაწყვიტა ნავრატილოვასთან კონტრაქტი, ამ უკანასკნელის "ამორალური საქციელის" გამო. და რაც მთავარია, ამერიკის ხელისუფლებამ შეაჩერა მარტინასთვის ქვეყნის მოქალაქეობის მინიჭების პროცესი. სენატში ჩოგბურთელის დეპორტაციის მოთხოვნაც კი გაისმა.

ასეთ მკაცრ პირობებში მყოფი ნავრატილოვა, დროებით ესპანეთში, საკუთარ სახლში ჩაიკეტა. პუბლიკის წინაშე კი, მხოლოდ თავის აგენტთან ერთად ჩნდებოდა. საზოგადოებისთვის და პრესისთვის თვალის ასახვევად, საჯაროდ ორჯერ მამაკაცსაც კი აკოცა. კოცნის სურათები გაზეთებში გამოქვეყნდა და სკანდალიც ნელ-ნელა მიიჩქმალა...

1981 წლის ივნისში, ნავრატილოვას, როგორც იქნა ამერიკის მოქალაქეობა აღირსეს. ამ სასიხარულო მოვლენიდან სამი კვირის თავზე, მარტინამ 30 წლის **ნენსი ლიბერმანი** გაიცნო. იგი ჩოგბურთელის ბინაში მასაჟისტის სტატუსით გამოცხადდა, რათა უიმბლდონზე გამართული ბატალიების შემდეგ, მარტინასთვის სტრესი და დაძაბულობა მოეხსნა. ძალიან მალე გაირკვა, რომ ლიბერმანს ზურგისა და ფეხების გარდა, ქალის სხეულზე სხვა ისეთი ადგილებიც სცოდნია, სადაც ასევე შეიძლება დაძაბულობის მოხსნა.

ნავრატილოვას შემდეგი საყვარელი გახდა ყოფილი მის ტეხასი - **ჯუდი ნელსონი**. დღეს, მარტინა ამ ქალს ვამპირსა და ქურდს უწოდებს, მაშინ კი, ჯუდის სხვაგვარად ეპყრობოდა. მართლია, ნელსონი არც ისე ახალგაზრდა იყო და ორი შვილიც ჰყავდა, მაგრამ ნავრატილოვას იგი ერთი ნახვით შეუყვარდა. იმდენად, რომ საქორწინო კონტრაქტის მსგავს ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რომლის მიხედვითაც ჯუდის საჩოგბურთო ჰონორარების ნახევარი ეკუთვნოდა.

საინტერესო ის არის, რომ ჯუდი ნელსონი ლესბოსული სიყვარულის მიმართ მეტად გულცივი იყო. თუმცა, შესანიშნავი მსახიობი გახლდათ და ნავრატილოვას ოსტატურადაც ატყუებდა. სანამ, მარტინა კლასიფიკაციაში პირველ ჩოგნად რჩებოდა და დიდ ტურნირებს იგებდა, ნელსონი მას ცივ ნიავს არ აკარებდა და ჩოგბურთელის ყველანაირ ახირებულ თხოვნას ასრულებდა. მაგრამ ამასობაში, ქალთა ტურში **შტეფი გრაფი** და **მონიკა სელეში** გამოჩნდნენ, რომლებმაც ნავრატილოვა ჩრდილში მოაქციეს, ნელსონმაც გადაწყვიტა, რომ აღარ ღირდა მსახიობობანას თამაში და "განქორწინებაზე" სასამართლოში განცხადება შეიტანა. ჯუდი "გაწეული სამსახურისთვის" ჩოგბურთელის ქონების ნახევარს ითხოვდა.. ეს კი, არც მეტი, არც ნაკლები, 60 მილიონი გახლდათ! ბუნებრივია, ქალბატონი ნელსონი თავის მოთხოვნებს ოფიციალურ კონტრაქტსაც ურთავდა თან.

ამბობენ, როცა ნავრატილოვამ ჯუდის ღალატის შესახებ შეიტყო, კინაღამ კომაში ჩავარდა. *"ეს როგორ გააკეთა! მე ხომ ის ძალიან მიყვარდა!"* - გაიძახოდა ჩოგბურთელი. 1991 წლის ზაფხულში ნავრატილოვასა და ნელსონის სასამართლო პროცესი დაიწყო. მიუხედავად მარტინას ადვოკატების აქტიური მცდელობისა, სასამართლომ დააკმაყოფილა ჯუდის სარჩელი და ნავრატილოვას ყოფილი საყვარლისთვის 10 მილიონი დოლარის გადახდა დაუწესა!

"მეუღლის მარწუხებიდან" განთავისუფლებულმა მარტინამ სული აიშვა. როგორც ამბობენ, მას ხშირად ხედავდნენ ლოს ანჯელესში, ადგილობრივი ლესბოსელების კომპანიაში.

ერთხელ კი, ჩოგბურთელს ბისექსუალი **მადონა** გააცნეს. სუპერვარსკვლავები ბელ-ეირში, მადონას ვილაში განცალკევდნენ, მაგრამ როგორც ამბობენ, მაშინდელი ღამით მომღერალიცა და ჩოგბურთელიც იმედგაცრუებულნი დარჩნენ...

მას შემდეგ, ისინი აღარ შეხვედრიან ერთმანეთს.

გიორგი **თვალია**

კალათბურთი. ახალი ამბები

# დეტროიტმა მწვრთნელი გაუშვა



**მიუხედავად** იმისა, რომ "დეტროიტ პისტონზი" ზედიზედ სამი სეზონი გადიოდა აღმოსავლეთი კონფერენციის ფინალში, ამ გუნდის პრეზიდენტმა **ჯო დუმარსმა** მთავარი მწვრთნელის პოსტიდან **ფლიპ სონდერსი** გადააყენა.

*"რთულია ასეთი გადაწყვეტილების მიღება, მით უმეტეს, რომ ჩვენი სამი სეზონის განმავლობაში საკმაოდ წარმატებულად ვთანამშრომლობდით. მაგრამ ჩემი აზრით, გუნდში ცვლილებების დრო დადგა. ფლიპს უდიდეს მადლობას ვუცხადებით მისი მონდომებული მუშაობისა და საქმისადმი ერთგულების გამო. ახლა სხვამ უნდა სცადოს უფრო მეტის მიღწევა"*, - განაცხადა პრეზიდენტმა.

სონდერსი "დეტროიტის" მწვრთნელად სამი წლის წინათ, **ლარი ბრაუნის** ნაცვლად დაინიშნა. მას გუნდთან 4-წლიანი კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული, რომლის თანახმადაც ჯამში 20 მილიონი დოლარი უნდა მიეღო.

■ ■ ■

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ვეტერანი **ალონზო მოურნინგი** მომავალი სეზონისთვის "მაიამი ჰიტის" რიგებში დაბრუნებას აპირებს. და ეს მიუხედავად იმისა, რომ მუხლის ტრავმის გამო, ზოს თითქმის მთელი შარშანდელი წელი გაუცდა.

■ ■ ■

ამასობაში, საინტერესო ინფორმაციას აქვეყნებს გაზეთი Chicago Tribune. გამორიცხული არ არის, რომ "მაიამის" ლიდერი **დუეინ უეიდი**, გაცვლის შედეგად "ჩიკაგო ბულზის" შემადგენლობაში ჩაირიცხოს. თავად კალათბურთელს არც დაუდასტურებია და არც უარყვია ეს ინფორმაცია.

*"ჩიკაგოში" სავარაუდო გადასვლის შესახებ ჭორი მეც შევიტყვე, მაგრამ ამ საკითხზე სრულიადაც არ ვნერვიულობ. ჩემზე არაფერი არ არის დამოკიდებული. მხოლოდ გამიხარდება, თუ რომელიმე გუნდი ჩემი პიროვნებით დაინტერესდება"*, - განუცხადა იმავე Chicago Tribune-ს უეიდმა.

გია **თვალაბეიშვილი**

ავტოსპორტი

# სამი პილოტის კომბინაცია

რუბრიკას წარმოგიდგენთ
Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი



"რენოს" შემადგენლობაში **ნელსინიო პიკეს** აშკარად სუსტი გამოსვლა, ბრაზილიელი პილოტის მომავალი კარიერის შესახებ ათასგვარი სპეკულაციების საბაბი გახდა. მოვლენების განვითარების ძალიან საინტერესო ვერსიას გვთავაზობს შვეიცარიული ყოველკვირეული Motorsport Aktuell, თუმცა გამოცემა ინფორმაციის წყაროს არ ასახელებს.

ჟურნალი წერს, რომ კანადის გრანპრის შემდეგ, სამი პილოტი გაუცვლის ერთმანეთს ადგილებს: ფორმულა 1-ის ვეტერანი, შოტლანდიელი **დევიდ კულტჰარდი** პიკეს ჩაანაცვლებს და **ფერნანდო ალონსოს** ახალი მეწყვილე გახდება.

"რედ ბულში" კულტჰარდის ადგილს ნიჭიერი **სებასტიან ფეტელი** დაიკავებს, მით უმეტეს, რომ ამაზე საუბარი უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს. რაც შეეხება თავად ნელსინიოს, ის "ტორო როსოს" პილოტი გახდება, სადაც უფრო მშვიდი ატმოსფეროა და მრბოლელები არ განიცდიან ისეთ ზეწოლას, როგორც ეს თუნდაც "რენოში" ხდება.

Motorsport Aktuell კიდევ უფრო შორს მიდის და საგაისო პერსპექტივებზე საუბრობს: ფეტელი და პიკე შესაბამისად "რედ ბულსა" და "ტორო როსოში" დარჩებიან, შოტლანდიელ პილოტს კი, ფორმულადან საპატიო გაცილება ელის.

მაგრამ ამ ჰიპოთეზას თავისი სუსტი მხარეები გააჩნია. წლეულს, შოტლანდიელი პიკეს მსგავსად არასტაბილურია და რაში უნდა აწყობდეს მისი ტრანსფერი ფრანგულ საჯინიბოს? ის ფაქტი, რომ "რედ ბული" ფრანგულ ძრავებს იყენებს, ამ სიტუაციაში წონად არგუმენტად არ გამოდგება.

მეორე მიზეზიც არსებობს: სავარაუდოდ, "ტორო როსოს" თანამფლობელი **გერჰარდ ბერგერი** ნებაყოფლობით არ დათანხმდება პერსპექტიული ფეტელის შუა სეზონში სხვაგან გაშვებას (მიუხედავად იმისა, რომ გერმანელს კონტრაქტი სწორედ "რედ ბულთან" აქვს გაფორმებული). თეორიულად, თუ ასეთი რამ მართლაც მოხდება, მხოლოდ სოლიდური ფულადი კომპენსაციის ხარჯზე.

მაგრამ Motorsport Aktuell გვახსენებს, რომ ფორმულა 1-ში ყველაფერი შეიძლება მოხდეს: ერთი წლის წინათ, ვინმეს რომ ეთქვა, "რენოს" პილოტი **ჰეიკი კოვალაინენი** ახალ სეზონში "მაკლარენის" ბოლიდით იქროლებდა, ამ ფანტაზიორს, აუცილებლად მასხრად აიგდებდნენ. მაგრამ დღეს ეს რეალობაა.

გია **თვალაბეიშვილი**